

1972/2



1 , 7 2 5

ଅବସାନିକତା

ଯୁଗମ୍ଭୟ

୧. ପାରଶାଙ୍କପା —	ଲେଖକ	3
୨. ଘନଶ୍ଵରପା —	ଲେଖକ	9
୩. ହରଜାଙ୍କପା —	ଲେଖକ	13
୪. ତାଣନାଳପା —	ରଚନା	
ଲେଖକ		14
୫. ସାଥୀନୀଳ —	ଶାହାତି, କବିତା, ରଖଶାହାତି ଏବଂ ସାମଶାହାତି ମହାକାବ୍ୟ	15
୬. କଷତାତୋଣ୍ଡାପା —	ଶିଶ କାନ୍ଦକାଳୀ ତାମାତାମାଧ ମିନ୍ଦାର୍ତ୍ତରୀ	27
୭. ଶରଣା —	ବରାନ୍ଦ — ପୁଅହାତିବାନ୍ଦ ଏବଂ ପୁଅହାତିବାନ୍ଦ ବାରାବାବାନ୍ଦ	28

ପ୍ରମତ୍ତିକା ରେ

କଶକଲିପିକା ରେ

୧. ଶରୀର —	କାନ୍ଦକାଳୀ ପରିଚି	54
-----------	-----------------	----

ବୀର ଉଲ୍ଲାସି

୧. ବୀରକରିଶବ୍ଦିଲ୍ଲା —	ବରାନ୍ଦ ବାରାବାନ୍ଦ — ଶବ୍ଦକାନ୍ଦା ପାଦଶବ୍ଦିକାନ୍ଦ ମହାକାବ୍ୟ	62
୨. ବୀରକରିଶବ୍ଦିଲ୍ଲା —	ବାଲ୍ମୀକିତିକାନ୍ଦ ବରାନ୍ଦ ବାରାବାନ୍ଦ	69
୩. ଦାବିତାପା —	ଦାବିତାପା „ପୁଅହାତି“ ପୁଅହାତିବାନ୍ଦ ଏବଂ ଆକାଶି ଶବ୍ଦକାନ୍ଦା ବୀରକରିଶବ୍ଦିଲ୍ଲା	73


ଶବ୍ଦକରିଶବ୍ଦିଲ୍ଲା

୬. ଶବ୍ଦକରିଶବ୍ଦିଲ୍ଲା —	ପରିଚି	
ଶବ୍ଦକରିଶବ୍ଦିଲ୍ଲା	କାନ୍ଦକାଳୀ	87

ଶିକ୍ଷିକୁଳଶବ୍ଦିଲ୍ଲା-ମହାତିବରଶବ୍ଦିଲ୍ଲା ଏବଂ
ସାହିତ୍ୟବିଭାଗରେତେବେଳେ ପରିଚାରିତ ଶବ୍ଦକରିଶବ୍ଦିଲ୍ଲା
ପରିଚାରିତ

ଶବ୍ଦକରିଶବ୍ଦିଲ୍ଲା ଶବ୍ଦକରିଶବ୍ଦିଲ୍ଲା
ମହାତିବରଶବ୍ଦିଲ୍ଲା କାନ୍ଦକାଳୀକାନ୍ଦା ଏବଂ
ଆକାଶିକାନ୍ଦା ପରିଚାରିତ ଶବ୍ଦକରିଶବ୍ଦିଲ୍ଲା
ପରିଚାରିତ

୧୧.୨୨୨୨ ୧୯୭୨
ସମ୍ପର୍କ ମୁଦ୍ରଣ



ერდაქტორი ა. შონია

სარედაქტო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. ჭკ.
მდიგარი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში
69 ცხრილი
სარტყელის დასახურის მიზანის მისამართი

რედაქტორი ა. შონია

სარედაქტო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. ჭკ.
მდიგარი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში
69 ცხრილის დასახურის მიზანის მისამართი: ბათუმი, ენგელის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდიგარის — 33-72.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 10. 1972 წ., საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბაზი.
შეკვეთის № 4311, ემ 01561 ქაღალდის ზომა 60 × 90, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 22).

უჩირგელეს

ერგლისა

მამია ვაჩანიძე

ჩემს გულისთქმას ჩანგს ჩავუთქვამ მგალობელი უღლელი,

თხუთმეტი ლამაზ რესპუბლიკას,
თხუთმეტი ვარსკვლავს ვუწოდერი.

ო, სამშობლოვ, მარადისად მეღვას შენი უღელი.

მზეო, შენ რომ გიგალობო,

წრფელი გული მავალებს,

შენ დიდება სამშობლორ,

თხუთმეტი ძმის სავანევ.

ზოგი დიდი ვარსკვლავია, ზოგი კიდევ პატარა,

ნეტავ ჩემი ჩუმი ჩანგით ყველგან ჩამომატარა,

ნეტავ ყველას ჩამახუტა, ყველა ჩამაკოცენა,

ვარსკვლავებო,

ყელამდე ვარ სავსე თქვენი ლოცვითა.

მზეო, შენ რომ გიგალობო,

ჩემი ხალხი მავალებს.

შენ დიდება სამშობლოო,

თხუთმეტი ძმის სავანევ.

კუგალობოთ თხუთმეტი ვარსკვლავს, მოკაშქაშეს ერთ
ხომლად,

მისი დიდი შუქნათელი მთელ პლანეტას ეყოფა.

მზეო, შენ რომ გიგალობო,
სიყვარული მავალებს.
შენ დიდება სამშობლოო,
თხუთმეტი ძმის სავანევ.

შენ გიმდერებ, შენ გადიდებ...

რა გამოლევს ჩვენს მარგალიტს,
რა დააზრუნოს კოკორს გაშლილს!
ჩემს კოლხეთში ოქრო ბრწყინვს, ოქრო ბრწყინვს აჭარაში.
მთაში ელავს ლალ-ზურმუხტი
და ფირუზი ბარში ელავს.
ახდა გულის სანატრელი, და ზღაპარი ახდა ყველა.

მე დავდივარ ქვეყნად ვიდრე
და შენი წყლით წყურვილს ვიკლავ,
შენ გიმლერებ, შენ გადიდებ
ჩემი კარგო რესპუბლიკავ.

ჰა, ესტუმრე ფშავ-ხევსურეთს, ნახე გული მოხევეთა,
ლიმით დასცლი ღვინის სურებს,
სიყვარულით მოხვევ ხელს მთას.
ნახე ჩემი ქართლ-კახეთი, დახე ბედს და ბედის ტრალს,
გაოცდები, ნახე ერთი, ნახავ ედემს, განა, ტიალს.
ნახე ჩემი სამესხეთო—მას რომ ვუძღვნი გულს და ტრფიალს,
და გურია ნახე ერთი, რომ აგინთებს სულში სანთლებს.
ყველგან ცლადს მარგალიტი,
ყველგან ბზუის სქაში მართვე;
მოკაშქაშე ცარსკვლავებო, ცა-ფირუზი გამინათე!

აფხაზეთი, ჯავახეთი. ნახე, ძმაო, სანატრელო,
სულ სიმღერა-გალობაში სამი ლხინი გაათენო,
გაზაფხული კაზაფხულობს,
როველი ჩემი მწიფედ რთველობს.
მიყვარს ცველა ჩემი შხარე,
გამრჩე. მტკიცე, ჟასახვლო,

„ყველა ჩემი სამშობლა,
საყვარელი საქართველო“.

შე დავდივარ ქვეყნად ვიდრე
და შენი წყლით წყურვილს ვიყლავ,
შენ გიმლერებ, შენ გადიდებ
ჩემო კარგო რესპუბლიკავ.

მოის არწივო, ჩვენო ვაჟავ, ქვეყნის ბეღმა რომ დაგთუთქა,
ქართლის მაძა-მწყალობელო, ნაწამებო წიწამურთან,
შენ ბულბულო ცა-ფირუზის, რომ გალობდი დუდუნითა,
ყველა დიდო წინაპარო, — მთაწმინდიდან, დიღუბიღან,
გალახედეთ საქართველოს...

ბრძენო, გიხმობთ დიდგულითა.

ჴა, დავლოცოთ ერთად ყველამ ჩვენ ახალი საქართველო,
ასე ედემ-ბაღად ქმნილი,
შენის და მთვარის სანათელო.

მო, დავლოცოთ მისი დიდი აღმაფრენა, აღზევება,
მისი წიჭი, მისი შრომა, სულის ნათლის ამზევება.
მო, დავლოცოთ ხალხი ჩვენი,
ძმობა მისრ, გული ზენა,
მიაი გზნება, მისი ენა,
მისი სისტანი, „დედაენა“.

შე დავდივარ ქვეყნად ვიდრე
და შენი წყლით წყურვილს ვიყლავ,
შენ გიმლერებ, შენ გადიდებ
ჩემო კარგო რესპუბლიკავ.

გ ა ფ რ ი ნ დ ი გ უ ლ ო

აღზევებული მზე მატომ მოჩანს,
რომ თავის წილი ყველას მიპქონდეს.
ამბობენ, ავი ქარები ჩადგა,
მეც მჯერა, აწი ვეღარ იქროლებს.
ვიცით, ამ ქვეყნად კაცს რა ამშვენებს,
ლანდები რჩება ზოგთა ჩავლილთა.
მეც ჩემს პატარა ტაძარს ვაშენებ,

და სიყვარული დიდი ჩამითქვამს.
 ამ მთიებს უნდა ვუყარაულოთ,
 შენ ჩემო როსტომ, შენ ჩემო მზეხა!
 სიცოცხლე რომ ხარ, ვიცით, მამულო,
 ვიცით მამულო, რომ ჩვენი მზე ხარ!
 და უფრო გვინდა დავიგუგუნოთ,
 სიმაღლეები გვაღელვებს უფრო.
 გაფრინდი ჩემო მღელვარე გულო,
 ბედნიერებით ამღერებულო.

* * *

შენ გისმენ ჩემო წყალო მჭუხარევ,
 შენს ხმას მივენდე, მხარი რომ მეცვალა,
 შენ მეკითხები:

- რად ხარ მწუხარე?
- მეგობარი გარდამეცვალა...
- შენ მეკითხები?
- ახლა ასე რა გიხარია?
- ჩემი ბაღიში დღეს დაიბადა.

ჩემი სავანე —

ნარინჯების და ზღვის მხარეა,
 აქ პირველადმა სილამაზემ დაივანა,
 და ჩემმა მგალობელმა სულმა დაივანა...
 იმღერე სულ!

* * *

ზღვა და მზე ისე მინდა,
 ვით უკოცნელი ბაგე.
 ჩემს სულში ტაძარს ვაგებ
 და სიყვდილს არად ვაგდებ,
 მივიღტვი
 ვარსკვლავთა საკოცნელად.

ყველაზე ულამაზეს
 და ნაზ ლაუგარდებს ვზვერავ.
 წუმც მომეშალოს :
 მასზე ოცნება,
 რაც მიყვარს,
 და ვინც მიყვარს, —
 მის თვალებში მზერა.

ზ ღ ვ პ

ვინ არის შენი გულის გამლები,
 შეგიცნოს რომელ ღვთისა მმოსავმა?!
 ზღვაო, მომხვივ ლურჯი ტალღები,
 ვით საყვარელმა მანდილოსანმა.
 შენაც სამყაროს საოცრება ხარ,
 და მე ვარ შენი სარქმლის გამლები.
 მე გესტუმრები ნება-ნებასა,
 გულზე მახალე გრილი ტალღები.
 დარღიანი ვარ?!
 შენთან მოვდივარ.
 შენ მეფერები ისე აზიზად,
 როგორც მიჯნური მიჯნურს
 და ლამის
 ლაუგარდებისკენ ფრთები ამზიდავს.
 შენ ცისფერი ხარ, შენ ლამაზი ხარ,
 ზვინი ხარ ფრთების ფარშავანგების.
 შენთან გაჩნდნენ და შენთან
 დაზრდილან
 ჩემი ფიქრები, ჩემი ჰანგები.
 მძლეთამძლეობის დასალოცავად
 შენის
 მე ხელებს ცისკენ აღვავლენ.
 ბედნიერი ვარ შენთან როცა ვარ,
 შენს უფსკრულში ვყრი სევდის
 აღალებს.
 ვარ ხვაშიადის შენის გამლები,
 შურით შემხედოს ღვთისა მმოსავმა.
 ზღვაო, მომხვივ გრილი ტალღები,
 ვით საყვარელმა მანდილოსანმა.

ბ ი ლ ი ძ ი

ხედავ ამ მწვერვალს, რა მრისხანეა?!
თითქოს მუქარით შეუკრავს ტორი.
ბილიკი ჩუმად, გულის ხარებად
მწვერვალზე აპყვა ქაჯსა თუ

ლტოლვილს.

ვინ აღიოდა, ვინ — მაღლა, ზევით,
ვის ჰქონდა მუხლი ჩაუკეცავი?!
გადავილალე მწვერვალზე მზერით...
შემაკრთობს ელდა მე უეცარი.
მთა აგრუხუნდა... და მერე ისე,
დიდმა ლოდებმაც კანკალი იწყეს,
და ლანქერებმა გადიკისკისეს
და ხევი შიშით ვით პირჯვარს იწერს,
მეხი და წარღვნა თავს დაატყდა ხევს,
ზანზარებს მიწა გაღმა-გამოღმა.
ვება მუხა, რომ მიქნევდა ხელს,
უცებ დაფარა წყალმა და ღორღმა.
მერე თანდათან, მერე ნელ-ნელა
გამოჩნდა ისევ მწვერვალი ქუში,
განა ითხოვდა ღვთისაგან შველას?!
რისხვა სუფევდა, რისხვა მის გულში.
ვით სჭირდა უინი და სჩანდა მკაცრი,
არ სურდა დაბლა ჩამოეხედა,
ბილიკი იგი — ოცნება კაცის,
მთის მრისხანებას ჩამოეხვეტა.
მთა ზვიაღობდა მძვინვარე სულით,
ცაც რომ კანკალით თავზე დააღნა,
თითქოს იყლავდა უინსა და სურვილს,
რომ კაცი ფეხს იქ ვეღარ დაადგამს,
არ ეპუება ზვიაღი თავსხმას,
თვითონ თხზავს და შლის ზღაპრება
ბიბლიის.

მთამ რა იცის, რომ ვიღაც ფიქრს ძახავს,
კვლავ ვიღაც ფიქრობს მწვერვალზე
ასვლას
და გასჭრის გამძლე სულ ახალ ბილიკს.

„ბ ჭ ა რ ე ლ ი ვ ი ყ ა ვ ი ბ ა ნ ა“

ჰოიდა ნანა, ვოჰოი ნანა,
ქედა, შუახევ, ხულოიდანა,
დედო დვრინით დამემღერა
დიდგოროზი მთები თანა.
მთები... ვისთვის თვალსეირი,
ვისთვის ჯავრი შიგნიდანა,
თეთრ პერანგებს ხრამში ყრიდნენ,
ლურჯს იცვამდნენ თანდათანა,
კლდის კატარში შზე ყვაოდა,
კლდის ბორჯლალზე ბერნჩქვი ყანა,
გვანცას ლოცვებს ვაზის სული
გორით გორზე გადეყვანა,
ვარჯანისთან, ნაჯვარისთან
დაჯვარული ქვები წვანან,
ქვებში ჩუმად დაქვითინებს
ჩემი დიდი ნენეს ნანა,
დერდებს გულში ვიბექსნიდი,
„აჭარელი ვიყავ განა“.
ჰოიდა ნანა, ჰევოი ნანა,
ხარ-ტყავისა გუდა თანა,
შიგ ჭიკუკით მოქუჭეული
ამ სირთების სევდა თანა.
მიმღერია ღვინიანზე,
მიტირია კიდეც განა,
როცა ჩემი ზღველთი ზღვარე
ზვავის ნაძოვს დაემგვანა,
როს სხალთაში სხალთიხატებს
უსაპნავლნენ ყელში კანაფს,

გავარქელზე ჯამეს დგამდნენ,
ვარდიქელზე ეკლის კარავს.
ევახ! ამის შემხელვარე
ნამსხვანილან გაველ განა,
მთებს ტყეები ბალანივით
აბურძგლოდა უბიდანა,
ლელე-ლურდან დავეძებდი,
კანკალებდა ხელში დანა,
გამჩენელო! — სხვა რა მექნა,
„აჭარელი ვიყავ განა“.
ჰოიდა ნანა, კიდოვ ნანა,
ქოჩახელას ქარჩი განა,
მზემოკლული სიზმარივით
ქარმა ნისლებს გაატანა,
ფიჩხიფუტთან გამჭვარტლული
ერთ ვცეკვობდი განდაგანა,
თვარა ისე დუშმნის თვალებს
მიბჯგნილი ვიყავ მარად,
მიბჯგნილი ვით ამ მთებზე
ლოდიძირის ძვლების ძალა,
მიბჯგნილი ვით ჯარგვალზე
დირეები კოჭბორჯგალა,
მიბჯგნილი ვით ჭალიქვით
გაჯანდრული დედეს დანა.
უამმა ბევრი მაბოჟირა,
მომბეჟვა და მავალალა,
მომთიკრა და მამუნათა,

დამინდო და დამავალა,
 სისხლში სისხლი!
 სისხლში სისხლი!
 „აჭარელი ვიყავ განა“.
 პოიდა ნანა, ვოპო ნანა,
 თეთრობები ვთიბე განა,
 ხამიყელზე ხალერი,
 ბალახები შემრჩა თანა,
 მთაპერანგა გადავმუხლე,
 გზაბაშარაშ დამახანა,
 ხინოსთავში თაფლი ვხილე,
 ხოლოქისპირს ვმარგლე ყანა,
 ხოლოქგალმა გოგო იღგა
 გულგუნდა და თვალმაყვალა,
 ღმერთმა რაფერ გაღმომხედა,
 ღმერთმა რაფერ გამახარა,
 კისრისქედზე გაშლილ თმებში
 შრიალებდა ქვეყნის ყანა.
 გოვ! კისერში ჩეგეფუნჩხე,
 ჩემებურად ვკადრე მარა, —
 გოგო რაცხამ დააფეთა,
 გოგო ვინცხამ გადამალა,
 თონხისტარზე დაყუდებულს
 ცამ სიცილი დამაყარა,
 შიგნი-შიგნი ჩავიფუფქე,
 „აჭარელი ვიყავ განა“.
 პოიდა ნანა, ნანოვ ნანა,
 ვერ წამიხვალ განდაგანა,
 ეგ ლიზლობა, ეგ ლირწობა
 კმარა მეთქი! —
 უძვე კმარა,


 ჩემი სისხლი სიყვარულით, ეროვნული
 ო, რა ხანი არ დამთვრალა, მომცველი
 მეყო, — უამმა უანგნაფლეთმა
 რაც დამფლა და რაც დამგმანა.
 მეყო, — მტევნის წებო წვენში
 ჩემი სულის ორთქლი დგანა, .
 ყელზე შემომეთართქალა
 ვაზის ლერწი ლორთქოფანა,
 სიზმარ-სიზმარ მიბრუნდება
 შატებერდი და შორი ბანა,
 იქ სანთლები, ჩემი სისხლ,
 ჯერეთ კიდევ არ ჩამქრალა,
 მეყო! — უამმა უანგნაფლეთმა
 რაც დამფლა და რაც დამგმანა.
 პოიდა ნანა, ვოპო ნანა,
 წარბგახსნილი დავალ განა,
 საქართველოვ, ჩემო დედავ,
 ჩემი სუნთქვა გენაცვალა,
 ჩემი ყველა მქუხარება,
 მწუხარებაც გენაცვალა.
 შენი სიტყვის სიცოცხლისთვის
 ხიხაძირში კიდევ ვდგავარ,
 შენი ზეცის სიმალისთვის
 მარალიდში ვრანდავ ყავარს,
 შენი რჯულის საჯილდაოდ
 სხალთას ვრეკავ ზარებს მთავარს,
 ერთ ძირ ვენახს სულ გირგავლი,
 კვლავ დაგირგავ დღეს და ხვალაც
 იდიდგულე! —
 რომ მოფერი
 „აჭარელი ვიყავ განა“.

თ ე ბ ე რ ვ ლ ი ს ი ბ ი

კვლავ ჩემი კორდები... ჩიტები... ეჟვენები...
 მზის სუნი და ბურში მბრუნავი რტოები...
 მოები ჩემს სულს და არაფრით ეშვები,
 მოეშვი ძვირფასო, მოეშვი დროებით!

მარადის ყვავილობს სამყაროს ქარებში
 იმ ბავშვი პოეტის „ყვავილი ბოროტი“,
 მეც მინდა მფარველი ხელების გარეშე
 ჩემს ქართულ ჩუქურთმას შემოვრჩე ბოლომდი-
 მეც მინდა ცხოველი განცხრომის გარეშე
 გავნათდე დღეების კირში და სილაში,
 მეც მინდა ვიცოდე, თავნება თარეშში
 მექნება თუ არა სითბო და სინაზე.
 აქ მჯიდრულ ედემებს ნისლები წეწავენ,
 წვიმის სასახლეში შობილი ნისლები,
 ამ მშვენიერების სიმკაცრით ვეწამე,
 ამ მშვენიერების სინორჩით ვივსები,
 ქალწული ბუნება მზის სულზე ღალანებს,
 უბიშო კაეშანს მიბნედვა შვენია,
 აქ სიმყუდროვეა ცასავით მაღალი
 და სიმარტოვეში სიმშვიდის გენია.
 აქ თოვლი არ არის, არც თეთრი სანთლები,
 არც ნამქრით ჩაჩუმქრულ ცხენების კირთება,
 პირიქით, — მაისის ჟინია ამკლები
 და ალიონივით ტყეები ორთვება,
 დუმს რაღაც მგოსნური, დუმს რაღაც მეფური,
 ფერი ფერს მისტირის და ვეღარ ელევა,
 აქ, ახლა, ამ ცისქვეშ სული არ მეგულვის,
 რომ ჩემთან გაიყოს ეს მშვენიერება.
 შორს, მთებზე მზიანი სიცივე იცინის,
 დაბლა კი ხევი დუმს, ზვავების კორიდა,
 აქ ზამთარს ელოდნენ ქარების სისინში
 და სევდის სამშობლო, იები მოვიდა.
 იები... იები... იები მოვიდა...
 ცისკრის მობრძანებამ ტყის სულიც დანამა,
 მე ღირსი არა ვარ ამ მშვენიერების,
 ამ ბედნიერების მე ღირსი არა ვარ.
 კვლავ ჩემი კორდები... ჩიტები... ეუვნები...
 მზის სუნი და ბურში მბრუნავი რტოები....
 მოები ჩემს სულს და არაფრით ეშვები,
 მოეშვი ძვირფასო, მოეშვი ღროებით!

თ ა ნ დ ა თ ა ნ... თ ა ნ დ ა თ ა ნ...

ჩემი გზა ხილვების ხეივანს მიჰყვება,
ხელხვავობს ხეები, მძიმდება ფოთლები
და რაღაც ხმაურობს, — ჩუმდება სიმღერა
და შესწევს სიმღერას უნარი მოთმენის.

ჩემი გზა საყვარელ სიყვარულს მიჰყვება
ყველა შეკილტული სასახლის აღებით,
ჩუმდება სიმღერა, — იმღერონ ბრიყვებმაც
იმ დაჭურლმულების, იმ გაპარტახების.

მე ვიცი, აქ მოსვლის წამება გათავდა,
მე ვიცი, გადარჩა ვინც შესძლო მოსწრება...
თანდათან, თანდათან, თანდათან
ჩემს სულში დალაგდა ყველა საოცრება.

და როგორც ბავშვები ბავშვთა სასახლეში,
იმ აურზაურით, იმ ხვეწნა-მუდარით,
ყველას სურს ხელების სითბო და ალერსი
და კიდევ რაღაცით რაღაც საკუთარი.

მე კი, მე სინაზის სევდა თუ მამძიმებს,
მარადის ვარ სუფთა საყელოს მთხოველი,
არავინ არ მძულდა დემონურ ბარძიმით,
არც მინდა წინასწარ მიყვარდეს ყოველი,

მოვედი....

და წავალ, შენს სულს ვენაცვალე,
და წავალ ვითარცა ეს წლები წარვლიან,
აქ ასე იცოდნენ, აქ ასე მასწავლეს,
აქ კიდევ მოვლენ და უფრო ისწავლიან.

დ ა ს ა ტ ყ ი ს ი

ყველა რაიმე მიზეზით მოდის,
ყველა რაიმე საბაბით ჩნდება,
როგორც სინათლის მარადი ტოტი,
მამულს შეელტვის და უერთდება.
ვიცი, წვეთი ვარ ბობოქარ ზღვაში,
და ზვირთთან შებმის სურვილით ვიწვი,
ატირებული ცრემლებით ბავშვის,
სიყვარულს ვბედავ მშობელი მიწის.
საწადელს იქნებ ვერასდროს მივწვდე,
ვერასდროს მივწვდე სიმაღლეს მთების.
სიცოცხლეს მაინც ლექსებით ვიწყებ
და სამშობლოში ლექსებით ვჩნდები.

ოცნება ჭოროქოთან

აქ წინაპართა კვალი ატყვია
კორდებს, ახოებს, ჭალებს, ლელანს,
რასმე მიყვება ლურჯი ტყეები,
მთები დგანან და ვისმე ელიან.
ვზივარ, ოცნება კლდეებში ბუდობს,
ლოდების ძირში ღალანებს ყანა,
ო, როგორ მინდა რომ ჩავიხუტო,
გულში, გულივით დიდი ქვეყანა.

რ წ მ ე ნ პ

ვიცი მენდობი,
 რადგან ბილიკით
 ვიარე, ვიდრე შენთან მოვედი,
 ვერ წამიყვანეს სხვებმა პირიქით,
 შენი ერთგული ვიყავ ბოლომდე.
 ცერზე ვიდექი,
 ვიყავ ფხიზელი,
 სულში ღვიოდა ნედლი მარცვალი,
 ყოველ ცისმარე ახალს ვიძენდი,
 მაინც არასდროს ვიყავ დამცხრალი
 ჩვენ ისევ ერთად უნდა ვიაროთ,
 ყველა ბილიკით შენთან მოვედი,
 ვერ წამიყვანეს სხვებმა პირიქით,
 შენი ერთგული ვიყავ ბოლომდი.

აღმასრის სამსონი

შაბათი, პირა, ორშებათი და ცამჯაბათი

სამშაბათი

ახსნა-განმარტება მილიციის უფროსის სახელზე. მე, თალიკო სარდიონის ასული ჩხობაძე, დაბადებული 19.. (ბოლო ორი ციფრი გაურკვეველია. ავტორის შენიშვნა) უქმარშვილო, პროფესიულის წევრი 1958 წლიდან, სამართალში არმიცემული, ქალაქ კვერეთის საპროექტოს მდივანი-მემანქანე, ვაცხადებ შემდეგს: გუშინ, 25 ავგვისტოს ღამის 11 საათზე ადგილობრივი ღროით, საკუთარი თვალით დავინახე, როგორ დაიხრიო თავი ზღვაში ჩვენი საპროექტოს თანამშრომელმა ვაჩე ოთარის ძე ვაჩეიშვილმა (დაბადების წელი არ ვიცი, საკუთარი განცხადებით, 40 წლისა უნდა იყოს), უცოლშვილომ, პროფესიულის წევრმა დაახლოებით 1960 წლიდან, აქამდე სამართალში არ მიცემულმა. დახრიბის მიზეზი არის მთელი საპროექტოს შემადგენლობა ჩემს გარდა. პირველ რიგში პასუხი უნდა მოეთხოვოს ვალიდა ჯიბოს ასულ ვასაძეს, მის მერე ლევარის ყარამანის ძე გუბელიძეს, გრიშა მურთაზის ძე სეფე-ოთელაძესა და სერაპიონ სოლომონის ძე ნიკურაძეს. ეს მათ აიძულეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯან-ლონით სავსე, ნიჭიერი, ენერგიული და ენა-მწარე სპეციალისტი ვაჩე ითარის ძე ვაჩეიშვილი მისულიყო იმ საბედისწერო ნაბიჯამდე, რომელსაც თავის დახრიბობა და არგადარჩენა ჰქვია. ქალაქმა კვერეთმა დაკარგა შესანიშნავი არქიტექტორი, რომელიც უახლოეს მომავალში ბრწყინვალე პროექტებით გაახარებდა პატიოსანი ადამიანების გულს. რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას ვაჩე ოთარის ძე ვაჩეიშვილისადმი, მილიციის წინაშე ვალიარებ, რომ მე იგი ისეთი

წმინდა სიყვარულით მიყვარდა, როგორც ნესტან-დარეჯანს უყვარდა თა-
ვისი ტარიელი. ამიტომ მე კვერეთის შეგნებული მოსახლეობის სახელით
უფლება მაქვს და კიდევაც მოვითხოვ მკვლელების დასჯის მთელი სიმკა-
ცრითა და შეღავათების გაუთვალისწინებლად.

მორიგეობის გიგოს ძე გოლეთიანი, წუხელ ვიყავი მორიგე ზღვისპირა პარქში.
მორიგეობის დროს 10 საათსა და 30 წუთამდე ჩემს ტერიტორიაზე წეს-
რიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ მომხდარა და არც შეყვარე-
ბულებს უკოცნიათ ერთმანეთისათვის. მაგრამ 10 საათისა და 30 წუთის
შემდეგ მოხდა სამი განსაკუთრებული შემთხვევა.

1. ხეივანში გამოჩნდა საშუალო ტანის კაცი, თმაჭალარა და ქართუ-
ლად მოლაპარაკე, რომელსაც, მის სიტყვებს თუ დაეჭერება, გული სტკი-
ოდა, მაგრამ არც ვალიდოლი დალია და არც ტელეფონზე დამარეკია სა-
სწრაფოსათვის. ჩემი აზრით, ის კაცი აფერისტი იყო. როდესაც მე სახ-
ლში გაცილება შევთავაზე, უარი მითხრა და ბნელ ხეივანში გაიქცა. მე
უკან დავედევნე, მაგრამ კვალი დამეკარგა. 2. ამის მერე ჩემს ტერიტო-
რიაზე გამოჩნდა კიდევ ერთი საეჭვო პიროვნება დედრობითი სქესისა,
საკუთარი განცხადების მიხედვით, ცირკის მსახიობი, ესე იგი კლოუნი.
ჩემს შენიშვნებზე აგდებულად მელაპარაკებოდა და იძულებული გამხა-
და, პისტი დამეტოვებინა, რაც დანაშაულია და პატიოსნად ვალიარებ. მე
რომ წავედი, იმ ქალმა იმხელა ყვირილი ატეხა, რომ ბალის რადიო ჩაა-
ჩუმა. თუ მის სიტყვებს დავუჭერებთ, ზღვაში თავი დაიხრჩო ვაჩე ოთა-
რის ძე ვაჩეიშვილმა, რომელიც მე წყალში ღამის 12 საათამდე ვეძებე,
მაგრამ უშედებოდ. ძებნაში მონაწილეობა მიიღეს სხვა პირებმაც, მაგ-
რამ არც მათ უნახავთ არაფერი. საჭიროა ძებნა დღეს დილიდანვე გავა-
გრძელოთ და მყვინთავებსაც გამოვუძახოთ. მაგრამ ეს უკვე ჩემს ფუნქ-
ციებში არ შედის. რაც ჩემს ფუნქციებში შედიოდა, მე ყველაფერი პირ-
ნათლად შევასრულე.

ეს ახსნა-განმარტებები, რომელიც ამ სამშაბათ დიღას დაიწერა, მი-
ლიცის უფროსმა ვაჩე ვაჩეიშვილის დახრჩობის საქმეში ჩააკერა. დამ-
წუხერებულ ქალს ისე თავაზიანად ექცეოდა, თალიკოს გაკვირვების თა-
ვი რომ ჰქონდა, ძალიანაც გაუკეირდებოდა. შეპირდა, რაც ჩემზეა და-
მოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებო. ცხადია. მკვდარს ვერ გააცოცხ-
ლებდა.

თალიკოს ცრემლები ჯერ კიდევ ღამით გაშრობოდა. დღისით მხო-
ლოდ იმაზე დარღობდა, წუხანდელი კოშმარის შემდეგ ცოცხალი რატომ
ვარ, ნეტავ მეც ვაჩესთან ერთად დავმხრჩვალიყავიო.

ავტოინსპექტორივით შუა ქუჩაში მიაბიჭებდა, მაგრამ შავებში გა-

მოწყობილ ქალს მანქანები მორიდებით გვერდს უვლიდნენ. ჭობდა, ერთ თი მაინც დაჯახებოდა და ყველაფერი დამთავრებულიყო.

ქალაქი ნელ-ნელა იღვიძებდა. კვერეთელი მოქალაქები პურსა და მაწონს ყიდულობდნენ, ზოგი კიდევ ახალ გაზეთში სამგლოვარო განცხადებებს კითხულობდა. ამ განცხადებებში ჭერ ვაჩე ვაჩეიშვილი მოხსენებული არ იყო. თალიკოს ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა შემოვლებოდა ვაჩეს სახელსა და გვარს შავი არშია.

საპროექტოში სიწყნარე სუფევდა, დამლაგებელიც არ მოსულიყო. ვალიდა ტელეფონს ეცა და მილიციაში დარეკა.

— ალო, მე ვაჩეიშვილის საქმეზე გელაპარაკებით, ხომ მოგახსენეთ ძეულლე არა ჰყავს-მეთქი. თანამშრომელი ვარ, თქვენთან რომ ამ დილით კიყავი... დიახ, უბედურებამ ამაჩქარა... ჭერ არ უპოვნიათ? არც ოდესელი მყინვარები ჩამოსულან?

საპროექტოში ყველაზე ადრე ვალიდა გამოცხადდა. ჩაშავებული თალიკო რომ დაინახა, ელდა ეცა. მართალია, ემდუროდა, მაგრამ ახლა ამის დრო სად იყო!

— რა მოხდა, რა ამბავია?

— ვაჩე დავკარგეთ. — ამოისლუკუნა თალიკომ.

— როგორ თუ დავკარგეთ?

— თავი დაიხრჩი... სამუდამოდ მოგვშორდა.

ვალიდას ჭერ თვალში წრეები დაუტრიალდა, მერე ყურმა ზუზუნი დაუწყო. ღონებითილი სკამზე მიესვენა.

— ვერა, ვერ დავიჯერებ!

— ნეტავ მეც არ მჯეროდეს. — წაიჩურჩულა თალიკომ.

ვალიდა აქვითინდა, ძნელი სათქმელია, რა იყო ეს, სიყვარულისა თუ სინანულის გრძნობა.

თალიკო ყვებოდა.

— აქედან წასული მთელი ღამე სვამდა, მერე მთვრალი ზღვაში გადახტა.

— შენ დაინახე, რომ გადახტა?

— ნეტავ არ დამენახა... შევეხვეწე, ნუ იზამ მაგას-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა.

ორივე ქალი ხმამაღლა მოთქვამდა. სად იყო ვაჩე, თორემ ეს რომ დაენახა, სიკვდილს როგორ გაბედავდო!

გრძნობამორეული ვალიდა თალიკოს გადაეხვია.

— მონაწილე ვარ მწუხარების, საყვარელო თალიკო, გთხოვთ, ყველაფერი მაპატიოთ.

თალიკომ აპატია. დასამალავი რა იყო, თავი ვაჩე ვაჩეიშვილის ჭირისუფლად მიაჩნდა.

— გმადლობთ, გენაცვალე... წუხანდლის შემდეგ მიკვირს ცოცხალის ლი რატომ ვარ... მთელი ღამე ვეძებეთ, მაგრამ იმ სიბნელეში რაც გავწდებოდით... დღეს ხელახლა უნდა დავიწყოთ, მერე ოდესელი მყვინთავებიც მოგვეშველებიან.

— ამ ლაპარაკში გრიშა, თამაზი და სერაპიონი შემოვიდნენ.

— ცუდის თქმა არ გაბედოთ, თორემ თავს მოვიკლავ! — გააფრთხილა გრიშამ.

თალიკომ არ დაინდო.

— თავი ვაჩემ მოიკლა, თქვენ მაგის ვაჟკაცობა ვინ მოგცათ! ვაჩემ თავი მოიკლაო და სერაპიონმა მუშტები წაიშინა.

— რა გვეშველება ახლა ჩვენ! ა, რა უბედურები ვართ. რა უბედურები!

— როდის მოხდა ეს? — ვკითხა თამაზმა.

— წუხელ თორმეტ საათზე.

— საკვირველია, აქამდე რომ ვერ იპოვეს.

— ღამით როგორ ვიპოვნიდით?

გრიშა ვითომ გაბრაზდა.

— რა გახდა ასეთი ერთი კაცის მოძებნა!

— ერთი კაცი რას ჰქვია! — იყვირა თალიკომ.

— ნუ მიბრაზდები, სიტყვამ მოიტანა ასე.

— სიტყვას უნდა დაუფიქრდეთ!

— მე ის მინდოდა მეთქვა, რომ ერთი კაცი კი არა, მთელი ფლოტი უნახავთ ზღვის ფსკერზე, — გრიშამ სერაპიონი განზე გაიყვანა. — მოსწი, ბიძიკ, აქეთ ყური.

— თქვენ უსინდისო ხართ! — მიაძახა თალიკომ.

— მლანძლაჭ, ჭირიმე?

— უნამუსო!

— კარგი ბატონო, მოგშორდები ახლავე.

სერაპიონმა ტირილი დაიწყო და თალიკომ ჰქითხა. სინდისმა ხომ არ შეგაწუხაო.

— ძალიან შემაწუხა.

— დაგაგვიანდა, ჩემო სერაპიონ, დაგაგვიანდა!

— რა ვქნა, რა მეშველება, როგორ ვიცოცხლო აწი! მე რომ მოვმკვდარიყავი, არ ჯობდა ვითომ? — ამ სიტყვებს სერაპიონი ხმამალლა ამბობდა, გულში კი იმას ფიქრობდა, ჩემს ორ ბალანას ვინ გამიზრდიდაო.

ყარამანვიჩი რომ მოვიდა, საპრექტოში გლოვის ზარი იღვა, ვინ ტიროდა, ვინ კიდევ თავში მუშტებს იშენდა.

როგორც კი უფროსმა საერთო ოთახში ფეხი შედგა, თალიყომ მის
ყვირა, თქვენ მკვლელი ხართო.



— როგორ? — დაიბნა ყარამანოვიჩი.

— მკვლელი ხართ და მეტი არაფერი!

— მეტი რაღა უნდა ვიყო?

გრიშამ აუსწნა.

— ვაჩემ თავი დაიხრჩო, ყარამანოვიჩ... ცუდი ამბავი შეგვემთხვა,
ნამდვილად საშინელება!

თალიყოს ისტერიკა აუვარდა.

— თქვენ აიძულეთ თავი დაეხრჩო და ახლა ამბობთ, საშინელებააო?
არც კი გრცხვენიათ!

ვალიდამ დამშვიდება სცადა.

— დაწყნარდი, თალიყო, ასე არ შეიძლება.

— ჩვენ დავწყნარდეთ, არა? ის კი თევზების შესაჭმელი გახდეს?
მკვლელებო, მკვლელებო! — და კვლავ ტელეფონი აკრიფა. — ალო,
მილიცია? ოდესელი მყვინთავები არ ჩამოსულან? რატომ დაიგვიანეს?
სერაპიონი ისევ მოთქვამდა.

— რა ვენათ, რა გვეშველება!.. თავი ნამდვილად შევირცხინეთ, მაგ-
რამ იმასაც ვიტყვი...

— რას იტყვი, სერაპიონ? — გაკვირვებით შეხედა უფროსმა.

— მე იმას ვიტყვი, ყარამანოვიჩ, რომ... მე ვიტყვი... დიდი უბედუ-
ლება გვეწვია, დიდი ვაჟაცი დავკარგეთ.

ყარამანოვიჩი თავის კაბინეტში შევიდა და გრიშაც შეჰყა. უფრო-
ში ისე იყო ალელვებული, პაპიროსს ძლივს მოუკიდა.

— ეს რა მოგვივიდა, გამაგებინე, თუ კაცი ხარ!

გრიშამ დაუდასტურა, ნამდვილად ცუდი ამბავი შეგვემთხვაო.

— ხომ გაიგონე, რა თქვა იმ ქალმა? — ჰკითხა ყარამანოვიჩმა.

— რა თქვა ამისთანა?

— რა თქვა და, ვაჩე ვაჩეიშვილის მკვლელები ხართო!

გრიშამ იუარა, ბოდიში, მაგრამ მრავლობითი რიცხვი არ გამიგონიაო.

— ჩემ გრიშა, მაგასაც მალე გაიგონებ!

გრიშა მიხვდა, უფროსმა სხვა სიმღერა წამოიწყოო და შორიდან
მოუარა.

— მე, ყარამანოვიჩ, სინდისი სუფთა მაქვს, არ მეშინია.

— არც ღამე დაგესიზმრება არაფერი?

— რას მერჩით, ყარამანოვიჩ, რა დაგიშავეთ?

— ნამდვილად ვერ მოგვივიდა კარგი საქმე.

— ჩვენ ხომ არ დაგვივალებია, ადექი და ზღვაში გადახტიო!

— აუცილებლად გვეტყვიან რამეს... შვებულებაში გასვლა მაინც

მომესწრო. — ყარამანოვიჩმა გრიშას ლრმააზროვნად გადახედა, ისა თქვი, ანდერძი თუ აქვს დაწერილი.

— რა ანდერძი? — შეშინდა გრიშა.

— კაცი რომ თავს იკლავს, წინასწარ ყველაფერს წერს, ამა და აჭ კაცის ხელით ვკვდებიო.

— მაინც რომელი კაცისო?

— მაგალითად, თვითმკვლელობამდე გრიშამ მიმიუვანაო..

— ტყვილია, მაგას ვერ დაწერდა!

— რატომ ვითოშ, — გაიკირვა ყარამანოვიჩმა, — შენ ხომ ვაჩეს-თან უკმაყოფილება გქონდა?

— რატომ მქონდა უკმაყოფილება, სახლში რომ დავპატიჟე და ღვი-ნო რომ დავალევინე, იმიტომ?

— შენ რომ კაცმა გიყუროს, დამნაშავე მარტო მე ვყოფილვარ.

— ბედი უნდა ყველაფერს, ყარამანოვიჩ!

სხვა დროს ასეთ სიტყვებს როგორ გაბედავდა, მაგრამ ახლა გრიშას შიში ალაპარაკებდა. უფროსმა, ცხადია, არ მოუწონა.

— დღეს შენ რაღაც ვერ გცნობ!

— ანდერძი რომ მიხსენეთ, ცუდად გავხდი. ეგებ მართლა აქვს და-წერილი, დაიდებს მაგ ანდერძს პროკურორი, აქედან ჩვენებიც შეაწევენ ხმას და სად მიხვალ მერე!

უფროსმა თავისი მოადგილე გამხნევა, ასე უცბად რამ დაგავლახაო. გრიშამ შესჩივლა.

— თქვენ კი გეშველებათ რამე, ათასი პატრონი და ნათესავი გყავთ, მე ვის მივადგე ამ სიბერეში... რა მიქნა მაგ უსინდისომ, როგორ გაბედა სიკვდილი!

ბოლოსდაბოლოს, რკინის გული არც ყარამანოვიჩს ჰქონდა და მანაც ვერ გაუძლო.

— ეს რა ხათაბალაში გავები, ასეთი რამ გაგონილა! რა დროს თავის დახრჩობაა, ვიზ იხრჩობს თავს მეოცე საუკუნეში... რამდენ ოხერს გავუ-ბრაზებივარ და ყოველთვის თავი რომ დამეხრჩო!...

აღელვებული ყარამანოვიჩი ბოლოს სცემდა კბინეტში. გრიშაც აღელვებული იყო, თორებ უფროსი ისეთ აზრებს ამბობდა, აუცილებ-ლად უნდა ჩაეწერა და შთამომავლობისათვის შეენახა.

აი რას ამბობდა ყარამანოვიჩი.

— უფროსი იმიტომა უფროსად დანიშნული, რომ უნდა გაგიბრაზ-დეს, საყვედლური მოგცეს, სამსახურიდან მოგხსნას... არა, ვთქვათ და მა-რთლა დაწერა ანდერძი. ვთქვათ კი არა, ნამდვილად დაწერდა, ვიცი მა-გი მე! თვითონ რა ენაღვლება, მაგრამ მე რა უნდა ვქნა, იმაზე არ უფი-ქრია... ჩემს ჭინაზე გააკეთა ყველაფერი, სამსახურიდან უნდა მომხსნას...

ოოცხალი ვერ მომერია და ახლა მკვდარი მხსნის სამსახურიდან... რას
იტყვი, გრიშა, შენ, რატომ გაჩუმებულხარ?

ეროვნული
სიმბოლი

— მე რა უნდა ვთქვა?

— რა უნდა ვთქვა, რა უნდა ვთქვა! სულ ყურის მოწევა კი არ უნდა! არა, მაინც რატომ გადამირიე ის კაცი?

— მე რა შუაში ვარ, ყარამანვიჩ, სერაპიონის პროექტის თანაავტორობაზე არ მოგივიდათ ჩხუბი?

ამას მდაბიურად მაზოლზე ფეხის დაჭერა ჰქვიოდა.

— სერაპიონის პროექტი!.. შემიყლა ხელში ამ სერაპიონის პროექტმა... მაგას ვინ ჰქითხავდა, სერაპიონს ეთქვა რამე... ანგელოზი გამიხდა ახლა მაგიც!

— ოდესელი მყვინთავები ჩამოჰყავთ თურმე, ესეც ტიტინიკი გამიხდა რა! — უფროსის ტონით გააგრძელა გრიშამ, მაგრამ ყარამანვიჩმა არ მოუწონა.

— ასე ლაპარაკი არ შეიძლება, ამხანაგო, ამერიკაში ხომ არ გვინდა თავი შენ! ჩვენი კოლექტივის წევრი იყო, ნიჭიერი, ცოტა ახირებული, მაგრამ რა ვენათ ახლა, ახირებული ჩვენ ყველა ვართ.

გრიშა შეწუხდა.

— ბოდიში, ყარამანვიჩ.

— ერთი შენ ყოფილიყავი მის ადგილას!

— კიდევ ბოდიში.

— მყვინთავები ჯერ არ ჩამოსულანო? ჰოდა, დარეკვა უნდა ოდესაში, თუ საჭირო იქნება, გავფრინდებით კიდევაც... რას გაჩუმებულხარ, მკვდარს პატრონობა არ უნდა?

ყარამანვიჩი ისევ ძველებულ ყარამანვიჩად გადაიქცა, საქმიანი კაცის იერი მიიღო.

გრიშამ შეაპარა, ჯერ რომ მკვდარი არ გვინახავსო.

— მაგას კი ნახვენ. შენ დეპეშა გაგზავნე ნათესავებში, განცხადება წაიღე გაზეთში, ქელეხისოთვის იზრუნე, ფული შეაგროვე... ათასი საქმეა, ხალხი დაიხმარე, მაინც არაფერს მიკეთებენ აქ!

— ფული რამდენი დავდათ, ყარამანვიჩ?

უფროსმა მარჯვენა ჯიბიდან ოცდახუთმანეთიანი ამოილო (მარცხენა ჯიბეში მხოლოდ წითელ თუმნიანებს იწყობდა).

— ჩემგან ორმოცდათი აიღე... ცოტა ხომ არაა?

— ცოტა კი არა, ბევრია...

ყარამანვიჩმა იწყინა, ასეთ დროს სიძუნწე როგორ შეიძლებაო. გრიშამ გაიფიქრა, შენ რა გენალვლება, ჩემმა ჯიბემ იყითხოსო!

ყარამანვიჩმა კაბინეტში თამაზი იხმო. შემოსულს გამარჯობის ფქმაც არ აცალა.

- ნეკროლოგს კითხულობ, ბიძიუ, გაზეთში შენ?
- კი ვკითხულობ! — არ დაიბნა თამაზი.
- სამარის წინ მკვდარს რომ სიტყვას ეუბნებიან, ის თუ მოგვისმენა?

— კი მომისმენია.

— ეგებ ლექსებსაც წერდი ბავშვობაში?

— ლექსებს ახლაც ვწერ, ყარამანოვიჩ!

უფროსმა ყურადღებით შეხედა.

— ჰოდა, ამოცანა გვეკითხება, რისთვის გამოგიძახე ახლა მე შენ?

— იმისათვის, რომ სამგლოვიარო სიტყვა უნდა დაგიწეროთ.

ყარამანოვიჩს გაუკვირდა, ასეთი ნიჭიერი თანამშრომელი თუ მყავდა, ამდენ ხანს რატომ ვერ შევნიშნეო.

— გრიშა, რამდენი აქვს ამ კაცს ხელფასი?

— მეორე კატეგორიით ღებულობს.

— ჰოდა, თუ ჰერიტ იქნება, პირველზეც შეუძლია იოცნებოს.

თამაზს ფრთხები გამოიხსება.

— კი ვიქნები ჰერიტი, ლევარსი ყარამანოვიჩ.

— წადი აბა ახლა და იმუშავე!

თამაზი კარებთან შეხერდა.

— ხომ შეიძლება ასე დავიწყო: ო, ზღვაო, ზღვაო, რა დაუნდობელი და ვერაგი ხარ შენ... რა დაგიშავა ჩვენმა პატიოსანმა ვაჩე ვაჩეიშვილმა!

— პატიოსანმა და ნიჭიერმა. — გაუსწორა უფროსმა.

თამაზმა გაიმეორა.

— პატიოსანმა და ნიჭიერმა ვაჩე ვაჩეიშვილმა.

— ჯერ ნუ ამატირებ, თუ კაცი ხარ, — შეეხვეწა ყარამანოვიჩი.

— წავედი აბა!.. ო, ზღვაო, ზღვაო, შავი კი არა, ვერაგი ზღვა უნდა გერქვას შენ! — თამაზი ახლა მეშვიდე ცაზე ფრინავდა და სიტყვებს თვით ღმერთი კარნახობდა.

— ნიჭიერი ახალგაზრდაა! — დაასკვნა უფროსმა.

გრიშას შეშურდა.

— ხელფასს მომიმატებდეს ვინმე და ბალეტს არ ვიცეკვებ! ყარამანოვიჩი ვითომ გაბრაზდა.

— ყველაფერზე წუწუნი ნუ იცი შენ, წადი ახლა და საქმეს მიხედე!

ვაჩე ვაჩეიშვილის დაღუპვამ საპროექტოში ხალხს საქმე გაუჩინა. ყველაზე მეტი დავალება გრიშას ჰქონდა. ეს დავალებები ბლოკნოტში ჩაიწერა და ტელეფონი აკრიფა.

— ლვინის ქარხანა? ბიქტოროვიჩ, გრიშა გაწუხებთ საპროექტოდან... ლვინის გარდა რა უნდა მინდოდეს... კი, უბედურება შეგვემთხვა... სიდედრს რა მოუვიდოდა, ერთი თანამშრომელი დაგვეხჩიო, შეიტყობ-

გრიშა ძალიან მონდომებული იყო და ვალიდას გაუკვირდა.
 — საოცარია სწორედ.
 — მანც რაა საოცარი?
 — ორგანიზაციულ საკითხებზე უფროსი უნდა ზრუნავდეს და
 თქვენ ასე რატომ გამოიდევით თავი!
 — რომელ უფროსზე მელაპარაკები, ვალიდას ვენაცვალე? — დაინტერესდა გრიშა.

სერაპიონს გაუკვირდა, ეს რა საკითხავიაო.
 — უფროსი ერთი გვყავს, ყარამანოვიჩი.
 — ჩემო სერაპიონ, გეტიუბა სიტუაციებში ვერ ერკვევი.
 ვალიდა უცებ მიხვდა.
 — ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ ჩვენს უფროსს წყალი აქვს შემდგრივი?

გრიშამ შორს დაიჭირა.
 — მე არაფერს ვამბობ!
 — და ესე იგი, მომავალი უფროსი შეიძლება დარჩეს...
 — ჭორებს შევეშვათ, ამხანაგებო, ათასი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი.

თამაზს ამ ლაპარაკიდან ერთი სიტყვაც არ გაუგონია, რადგან იგი პერსონალურ დავალებას ასრულებდა და შემოქმედების ცეცხლით იწვოდა. ჯერ გაოფლილ შუბლს მალი-მალ იწმენდდა, ხოლო შემდეგ ნააზრევს ქალალდზე ხმამაღლა წერდა.

— ო, ზღვაო, ვერაგო და დაუნდობელო ზღვაო... შენ ვერ მოერიყმიაცებელ არგონავტებს, მაგრამ დაახრჩვე პატიოსანი ვაჩე ვაჩეიშვილი...

გრიშა ისევ ტელეფონზე რეკდა.

— პროდუქტების საწყობია? მელენტიჩ, ლობიო ხომ არ მიგილიათ ამ დღეებში? ბაზარში რომ იშოვება, მაგი კი ვიცი უშენოდ... ხვალ დილით გამოვივლი.

თამაზი ეშხში შევიდა.
 — ო, ტალღებო, ტალღებო, რატომ გამოგვტაცეთ ჩვენი ვაჩე ვაჩე-იშვილი?

— სხვათა შორის, გუშინ ტალღები არ ყოფილა, — შენიშნა გრიშამ.
 — მაგას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა... ვაჩე ვაჩეიშვილო, ვინ იცის რამდენი პროექტის გაკეთება ვერ მოასწარი შენ!

— ვერც ცოლის შერთვა მოასწრო, — ამოიკვნესა სერაპიონმა, — რა ვქნათ, რა გვეშველება, რა კაცი დავკარგეთ!

გრიშამ სიბრალულით გადახედა.

- სხვისი რა მოგახსენო და, შენ მართლა რა გეშველება!
- ასეთი რა დავაშვე?
- მოსწო აქეთ ყური.
- არ მითხრა მაგი! — შეშინდა სერაპონი.
- წყალი არ გაუვა!
- ჩვენც გაგვაგონეთ, ასეთი საიდუმლო რაა? — დაინტერესდა ვალიდა.

გრიშა სკამიდან წამოდგა.

- თქვენ როგორ დაგიმალავთ, პატივცემულო ვალიდა, ვაჩეს თურმე წერილი ჰქონია დაწერილი, ამა და ამ კაცის ხელით ვკვდებიო.

— რომელი კაცისო?

- მაგი არ დაიმალება. ერთ მშვენიერ დღეს მოგაყითხავს, ჩემო ბატონი. მილიცია და უმტკიცე მერე, აქლემი კი არა, კურდლელი ვარო!
- კურდლელი მე ვარ! — იყვირა უცებ სერაპონმა.

— რა ბრძანეთ?

— კურდლელი ვარ.

გრიშა შეშინდა, ხომ არ გააფრინაო და დაუყვავა.

- იყვი, ბატონო, ოლონდ ნაპოლეონობა არ მოგვთხოვო.
- მხდალი კურდლელი ვარ... ვაჩე მე მოვკალი!
- მაგას ნუ იბრალებთ, ცოდვა ხართ, — შეწუხდა თამაზი.
- შენც კურდლელი ხარ, — უთხრა მას ვალიდამ, — კურდლელი კი არა პატარა ბაჭია, დიდყურა ბაჭია!

თამაზი ყველაფერს ელოდა, მაგრამ ასეთ სიტყვებს კი არა.

— რა ვქნა ახლა, სტაფილო შევჭირო?

- მე შემჭამეთ ვილაცამ, — თავში ხელი წაშინა სერაპიონმა, — ხომ გაიგონეთ, ხალხო, მკვლელი ვარ-მეთქი, სადაა მილიცია?

გრიშამ ტელეფონზე მიუთითა და სერაპიონმა ნომერი აკრითა.

- მილიციაა? მე საპროექტოდან გირექავთ, კაცი რომ დაიხრჩო წუხელ, იქედან... დიახ, ვაჩე ვაჩეიშვილის სამსახურიდან გელაბარაკებით... მე კურდლელი ვარ... კურდლელი კი არა, კაცის მკვლელი ვარ, თქვენთვის სულ ერთი არ არის? კარგი, ბატონო, ჩემთვის იყოს სულ ერთი... დიახ, ვაჩე ვაჩეიშვილი მე დავახრჩვე, მობრძანდით ახლა და წამიყვანეთ... არსად გადავდგამ ფეხს, გელოდებით, მომებმარე, ჩემო მილიციავ!

ვალიდამ წყალი მიუტანა.

— დამშვიდდით, სერაპიონ, ასე რამ აგალელვათ?

- ამ წყეულმა ამალელვა, ჩემო ბიძიკო, — გულზე უჩვენა სერაპიონმა, — აქამდე სულ არ მეგონა, თუ მქონდა და ახლა გამახსენა თავი. კარგად მიყურე, ძან საცოდავი ვარ, არა? ჩემი ბრალია ყველაფერი, ასე მშიშარა დავიბადე და რა ვქნა ახლა! სკოლაში რომ სხვა ჩამტ-

ვრევდა ფანჯარას, მის მაგივრად მე მეშინოდა. უმაღლესში ლექტორებს
თვალს ვერ ვუსწორებდი, საგნები კი ვიცოდი, მაგრამ მაინც მეშინოდა მე
არც შემდეგ დამადგა საშველი... სახლში ცოლის მეშინა, სამსახურში
უფროსის... აგია ცხოვრება! რამდენჯერ უთქვაშს ვაჩეს, რამდენჯერ გა-
ვულანძლივარი... შეაყარე კედელს ცერცი! მაშინ რომ თათბირზე სიმართ-
ლე მეთქვა, ხომ არაფერი მოხდებოდა? თქვით ახლა, კურდღელი არა ვარ?

— კი ხარ, კაცო, კი! — დაუდასტურა გრიშამ.

სერაპიონი წამოხტა.

— კურდღელი კი ვარ, მაგრამ შენსავით გაიძვერა კი არა!

— როგორ მიბედავ! — იყვირა გრიშაძ.

— შენი უფროსი შენზე გაიძვერაა, ასეა მაგი!

— მეც გამლანძლე და უფროსიც. შემოგეხარჯა, არა?

სერაპიონი კურდღელს კი არა ახლა ლომს გავდა.

— არ დაგჭირდება ენის მიტანა, თირში ვეტყვი ჟველაფერს, თალ-
ლითი და გაიძვერაა მაგი!

ყარამანოვიჩს ჟველაფერი ესმოდა, მაგრამ საერთო ოთახში ვითომ
შემთხვევით შემოვიდა.

— რა მოხდა, გამაგებინეთ.

— გაიძვერა და თაღლითი რომ ხარ, ეს მოხდა, მეტი არაფერი! —
მიახლა სერაპიონმა.

უფროსს სერაპიონზე ნაკლები ხმა როდი ჰქონდა.

— ჩუმად... მე შენ გიჩვენებ!

მაგრამ ყარამანოვიჩს სიტყვები თალიკოს ყვირილმა დაფარა, ზარ-
ბაზანი რომ ესროლათ, მაინც დაფარავდა.

— მიშველეთ! მომეხმარეთ!

ჟველა თავქუდმოგლეჭილი დერეფანში გაიჭრა და რაც იქ დაინახეს,
საქუთარ თვალს არ დაუჭერეს. არც იყო დასაჯერებელი: კარებთან ვაჩე
იდგა და გულწასული თალიკო ხელში ეჭირა.

მეტყველების უნარი ჟველაზე აღრე ყარამანოვიჩს დაუბრუნდა და
ვაჩეს პირველად ეს ჰქითხა, მკვდარი თუ იყავი, რატომ გაცოცხლდიო?

— მკვდარი არ ვყოფილვარ და არც ვაპირებ სიკვდილს! — გაიცინა
ვაჩემ.

(ამას ჰქვია, „შენ გაიცინე მიწაშიო“).

— აბა წყალში რატომ გადახტი? — ეს შეკითხვა თალიკოს ეკუთვ-
ნოდა.

— ცხელოდა და გავგრილდები-მეთქი.

— ქვეყანა რომ დავაქციე, ხმა რატომ არ ამოილე?

— კი მინდოდა, მაგრამ ყვირილი რომ ატეხე, გამოჩენა შემრცხვა...
შორს გავცურე, ნაპირზე ქალაქგარეთ გამოვედი.

— ტანსაცმელი რომ არ გქონდა, როგორ გამოხვედი? — შიშველი ვირბინე, სახლებს ვეფარებოდი. ღამე იყო და იმან მიმდინარე შველა. ვინძეს რომ დავენახე, გური ვეგონებოდი.

— ვითომ ახლა ჭკვიანი ხარ! — ჭირის ოფლი მოიწმინდა გრიშამ.

— რაც მთავარია, ცოცხალი ვარ.

— შენ კი ხარ ცოცხალი, მაგრამ ჩვემ რატომ დაგვწყვიტე? — როგორც იქნა ხმა ამოილო სერაპიონმა.

ყარამანოვიჩმა პაპიროსის მოწევაც გაბედა.

— თუ არ აპირებდი სიკვდილს, დროზე ვერ შეგვატყობინე?

— დროზე რას ჰქვია?

— სანამ ქვეყანას ავაწრიალებდით.

— წუხელ რა უნდა მექნა, ამ დილით მოვედი... თქვენთან კი არა, წიგნები დამრჩა და იმის წასაღებად გამოვიარე.

— მილიციაში მაინც არ დამერექა! — თქვა სერაპიონმა.

ვაჩემ მხრები აიჩეჩა.

— არაფერი მესმის.

გარედან ჯერ მანქანის ხმა გაისმა, შემდეგ ზარმა დარექა.

— მოვიდა, სერაპიონ, შენი მილიცია, — შეახსენა გრიშამ. სერაპიონი ოიდიპოს მეფესავით იდგა ოთახში.

— სხვამ იკითხოს თორემ, მე რაც ვთქვი, იმაზე უკან არ დავიხევ!

ყარამანოვიჩმა ფანგარა გააღო.

— ნაგავი ყოფილა! — შვებით ამოისუნთქა მან.

— შენც კაი ნაგავი ხარ! — მიახალა ყარამანოვიჩს სერაპიონმა, — არც სხვები ვართ ნაკლები!

გამუდმებით რეკლა მენაგვის ზარი და კვერეთელ მოქალაქეებსაც შიპქონდათ ნაგავი. ეს იყო დასუფთავების პროგრესული ფორმა, რომლის წინააღმდეგაც ამაოდ ილაშქრებდა ზოგიერთი შეუგნებელი პიროვნება. მალე, ალბათ, საპროექტოს ნაგავსაც გაიტანდნენ.

კალენდარი სამშაბათს უჩვენებდა.

გენატეზა ქათათებაში

შენ ჭადრაკს თამაშობ

ჭადრაკს შენ არ თამაშობდი. არ მიზიდავს. არ მეხერხებაო, — ასე ამბობდი.

გაკვირდებოდი... ჭადრაკს ხის ფიგურებით არ თამაშობდი, მაგრამ ცხოვრებაში აკეთებდი უცნაურ სვლებს. დაფაზე მხოლოდ „ცოცხალი ფიგურები“ იცვლიდნენ ადგილს.

— ჭადრაკს არ ვთამაშობო, — გაიღიმე...

— ჰო, შენ ჭადრაკს არ თამაშობ, — გითხარი და მეც გაგიღიმე. შენ ლიმილსაც ჭადრაკულად აწყობდი.

ცხოვრებისეული ჭადრაკი ხომ უფრო რთულია. დასაწყისში შენ გაიმარჩვებ, იხარხარებ, იცინებ, არ მოგწყინდება, რადგანაც მცირედიც გაკმაყოფილებს... გაკმაყოფილებს, თუ ვინმე შენს ვიწროდ გადაქნილ წარბებს ვნებიანად შეხედავს და... მერე რაა, ეს ადამიანურიაო, იტყვი და ბელნიერებას იგრძნობ. ბელნიერება ხომ შენ თავისებურად გესმის.

არაფერს შეუშინდები, მარჩვედ გადაადგილებ „ცოცხალ ფიგურებს“. შენს საჭადრაკო დაფაზე და ყველას მიუწვდომელ დედოფლად მოაჩვენებ თავს.

მაგრამ შენ გავიწყდება, რომ შამათს პირველ სვლაზე ვერ აკეთებენ. ჰოდა, ბოლოს შენ დამარცხდები სამარცხვინდ, სასტიკად.

ნუ გეცინება: თამაშის დასასრულს შემოგეცლება ყველა ფიგურა, შემოგეცლება სილამაზე და ეულად, გარიყულად დარჩები.

იღია აუგა

ირანი — გუმბათიანი და

უგუმბათო

ორთა მათ მთათა ჟუა

თითქმის 180 წელი გვაშორებს კრწანისის ტრაგედიას, რომლითაც დამთავრდა ირან-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მტრული მეზობლობის ისტორია. სვეგამწარებული საქართველოს იმდროინდელ მესვეურთა გამჭრიახობამ და პოლიტიკური ალტერნატივის სწორად გადაწყვეტამ სამანი დაუდო ჩვენს მიწა-წყალზე დაუსრულებელ ლაშქრობებს და ქართველი კაცი მშვიდობიანი ცხოვრების სიკეთეს აზიარა. უკვე დიღი ხანია, რაც „არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა“ და არ გვაშფოთებს გავაებული ღრიალი ხმალმოღერებული უდაბნოს ლომისა.

დღევანდელი სპარსეთი მშვიდობიანი, ჩვენდამი კეთილმეზობლურად განწყობილი სახელმწიფოა, თანამედროვე პროგრესის გზაზე რამდენად მე დაგვიანებით, მაგრამ უკვე მტკიცედ გამოსული. მიუხედავად საზოგადოებრივი წყობილების სხვადასხვაობისა, ორ მეზობელ ქვეყანას შორის სულ უფრო ფართოვდება პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა. ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ ახალი საქართველოს შვილებს.

ამ კეთილმეზობლურ თანამშრომლობაზე კინოფილმის შექმნის მიზნით 1969-70 წლებში ირანში ორჯერ იმოგზაურა საქართველოს ტელეფილმების სტუდიის მუშაქთა ჯგუფმა.

ქართველ კაცს, რანაირი საზრუნავითაც არ უნდა დააღეს აღმოსავლეთის ქვეყნების გზებს, თან მიჰყვება ტვირთი მშობელი ქვეყნის ისტორიის ანალებში ამოკითხული ამბებისა. ეს ამბები ყოველთვის სასია-

მოვნოდ მოსაგონებელი როდია, მაგრამ მათი მეხსიერებიდან უბრალო სურვილს არ ძალუდს.

წარმოუდგენელია მთელი საათი შესცქეროდე შენს თვალშინ აღ-
მართულ, მოიისფრო-მოვარდისფრო ნისლში მოლივლივე არარატს —
მიწის ამ უმშვენიერეს ზამბახს — და სული მოგონებებით, ლეგენდების
სურნელით არ აგვესოს, ფილტვებში ისტორიზმის ჰაერი არ ჩაგვიდეს.
გულუბრუყვილო ბიბლიური ლეგენდა წარლვნისაგან კაცობრიობის გადა-
რჩენისა. ამ სანახებში სომეხი და ქართველი ხალხებისათვის გარკვეულ
კონკრეტულ შინაარსს იძენს. ისტორიის ბობოქარ მდინარებას აქ არა-
ერთხელ ჩაუქროლებია კიდობანი ჩვენი ხალხების ყოფნა-არყოფნისა.
მაგრამ არარატის თავზე ყოველთვის გამოჩენილა თეთრი მტრედი ზე-
თის ხილის შტოთი, წარლვნის დაცხომის, მშვიდობის დადგომისა და
სიცოცხლის დაუსრულებლობის მაცნედ.

გასაოცარი წიგნი კია ჩვენი „ქართლის ცხოვრება“! ხომ გახსოვთ,
როგორ იწყება: „პირველად ვახსენოთ ესე“... და არა, ლეგენდა, ვთქვათ,
ძუ მგლის ძუძუთი გაზრდილ ძმებზე, არამედ რაღაც ისტორიულ სიმარ-
თლესთან წილნაყარი ამბავი — პირველისიტყვა ხალხთა ძმობაზე, ნათე-
საობასა და საერთო კერაზე. ძნელი დასაჩემებელია, რომ მშობელი ხალ-
ხის ისტორიას ასეთნაირად იწყებდეს მხოლოდ ლეონტი მროველი (კაცო-
ბრიობის ერთერთ უდიდეს ჰუმანისტად გამოცხადებისათვის ესეც იკმა-
რებდა!). ერთი რამ უდავოა. ჩვენი მემატიანე ამ შემთხვევაში ქართველია
კაცის თანდაყოლილი ბუნებიდან გამომდინარეობს და ხალხის სულს ესი-
ტყვება. უთუოდ რაღაცას ნიშნავს, რომ ასეთ გულუბრუყვილობამდე კე-
თილი ისტორიოგრაფიული კონცეფცია ყალიბდებოდა ნახევრად ველუ-
რი მდგომარეობიდან ხალხების გამოსვლის ხანაში, როცა ეთნიკური მა-
სების სიჭრელით გამოწვეულ იმპულსებს ადამიანები ცოფმორეულ გა-
ხელებამდე, თითქმის ბიოლოგიურ შეუთავსებლობამდე მიჰყავდა. ეს კი
აღმოსავლეთის ვრცელ სივრცეებს დაუსრულებელი ომებისა და ხოცვა-
ულეტის ასპარეზად აქცევდა.

ქართველი ხალხი, რომლისთვისაც ყოველთვის უცხო იყო კარჩაკე-
ტილობა და ნაციონალური გონებაშეზღუდულობა, თავიდანვე აქტიური
და მრავალმხრივი ურთიერთობით დაკავშირებია აღმოსავლეთის ერთერთ
უძველეს და უდიდეს ქვეყანას. ამ ურთიერთობათა ფესვები ისტორია-
ში შემოსულ ლეგენდებში გადგმულა. კეთილმეზობლური დამოკიდებუ-
ლება განსაკუთრებით გაღრმავებულა ვახტანგ გორგასალის ღროს.

შემდეგში, სპარსთა სხვადასხვა იმპერიების მოძალებისას, ამ ურ-
თიერთობას ცალმხრივი ხასიათი მიუღია. განდიდებულმა და გულზვად-
მა სპარსეთის მეფეებმა თუ შაპებმა ჩვევად გაიხადეს საქართველოს და-
მოუკიდებლობისა და ლირსების გაქელვა, ჯიუტად ცდილობდნენ მისი

ბიწა-წყალი მიეთვალათ თავიანთ საუფლოდ. მთელი „ქართლის ცხოვრება“ არის ერთანი წუხილი და გოლება იმ აურაცხელი უბედურების, ნგრევის, ხოცა-ულეტისა და დაცვა-გლეჭის გამო, რაც მოპქონდათ და-მპყრობთა ურდოებს სპარსეთის უდაბური ზეგნებიდან.

ავისტოს ხეატით გავარვარებულ სივრცეში ნელ-ნელა ღნება არა-რატის ციური ქათქათა აისბერგი.

გზის მარცხნა მხრიდან წამოიმაოთა სხვა მთა — შალალი და წვერ-გაბასრული, შიშველი და პირქუში, რაღაც აპოკალიფსური იერით. რო-გორც მოგვიანებით გავიგეთ, ამ მთას „მგლის კბილი“ რქმევია.

მიღამოები თანდათან უკაცრიელდება და ხრიოკდება. ეს მარტო-დენ სპარსეთის უდაბნოების სიახლოვით როდი აიხსნება. აღამიანის ხელის „ნაღვაწიც“ გახლავთ.

მთელი ამ მხარის გაუკაცრიელება-გადაბუგვა შაპ-აბასს დიდის გუ-ლმოდგინებით, მეთოდური თანმიმდევრობით ჩაუტარებია. ოსმალეთთან გადამწყვეტი შეტაკების მოლოდინში, მოწინააღმდეგის ლაშქრის მსვლე-ლობის სავარაუდო გზაზე, შაპის ჯარებმა მოარბიეს და ააოხრეს ერევნის, ნახიჭევანისა და ჭულფის ვრცელი მიღამოები, დასახლებული პუნქტები. ვენახები აჩეხეს, ყანები და ბალ-ბოსტნები, სურსათ-სანოვაგის მთელი მარაგი ცეცხლს მისცეს. გაუდაბურებული, მიწასთან გასწორებული სო-ფლებიდან და დაბა-ქალაქებიდან აყრილი 300 ათასამდე კაცი შიდა ირა-ნისაკენ გაირევეს. მათ კვალს გაუყენეს შობლიური მიწილან ასევე ურჯულულად აყრილი ქართველებიც.

ტანგვა-წამების გრძელ და მძიმე გზაზე ამ გაუბედურებულ ადამია-ნებს მაშინაც დუმილით მიაცილებდა ეს ორი მთა, და ორივე, ალბათ, თა-ვისი გარეგნული იერის შესაფერისად პბარებდა: „მგლის კბილი“ — სა-სოწარკვეთასა და სიმძიმილს, არარატი — უკვდავ ოცნებასა და იმედს, იფეგნისა სულივით მოუხელთებელს...

მიპქრის ჩვენი ცისფერი „ვოლგა“ მოასფალტებულ გზაზე, „ორთა მათ მთათა შუა“.

მარადის ლაშვები

ჭულფიდან უკვე ღამით გავედით და „მივმართეთ გზასა, რომელ აღმავალ იყო აღარბადგანით“.

ღამის უკუნში მანქანიდან ბევრს ვერაფერს ვხედავთ. მხოლოდ მო-სახვევებში, გზას ასხლეტილი ფარების შუქზე, თუ გაიელვებს ჩალის-ფერი ხრიდკი მთების გრეხილი. როგორც იქნა, გავედით მოასფალტე-ბულ გზაზე და მანქანის გვერდითი მინები ჩამოვუშვით. დაუინებით ვაც-

ქერდები სიბნელეს, რომელსაც თვალი რამდენადმე შეეჩვია უკვე. აქ იქ მთების ძირში სინათლის წერტილები ჭიატებენ მორცხვად. სოფლებია.

საგზაო ფირნიში გვამცნობს, რომ ვუახლოვდებით მარანდს. კარგად ილანდება ტანმაღალ ხეთა მოხშირებული კორომები, ხეხილის დაბურული ბალები, ბალჩა-ბოსტანთა ნაკვეთები. მთებს შუა მძკეული ხეობა თანდათან ვიწროვდება. დაიწყო აღმართი. მაგონდება უბის წიგნაკში ჩაწერილი სიტყვები „ქართლის ცხოვრებიდან“ და მიჩნდება სურვილი სინამდვილესთან მისი შეჯერებისა. ვანთებ სინათლეს და ვფურცლავ უბის წიგნაკს.

„...და შევლეს ვიწრო იგი ხევი დარდუზისა და აღვიდეს მარანდსა. ხოლო მარანდელნი, ამის მცნობელნი, ტლოლევილ იქნეს კლდეთა შინა, ხოლო ესენი მარანდეს რა მივიდეს, არა ჰპოვეს კაცი“. და

რვა საუკუნის წინანდელ ამბებზეა ლაპარაკი ამ სტრიქონებში. და რაღაცით ამაღლვებელი ხდება შეხვედრა ქალაქთან, რომლის სახელი ჩარჩენილა ჩვენს მატიანეში.

ვინ იცის, როგორ გამოიყურებოდა მარანდი თამარის მხედრობის ძლევამოსალი ლაშქრობის ხანებში, მაგრამ ამ ქალაქში მიღებული შთაბეჭდილება წარუშლელად გამომყვა ირანიდან. რაღაც პირველქმნილ მყუდროებასა და სიმშვიდეს გაეთანგა ეს პატარა და ლამაზი ქალაქი იმ ღამით. ნელა ირშეოდნენ ქუჩების გასწვრივ ჩარიგებული ტანკენარა ნორჩი საროები, მსუბუქ ნიავს დაჰქონდა მიწის დამათრობელი სურნელი. ქალაქის მოედანი და მთავარი ქუჩა ელექტრონით იყო გაჩირაღდნებული, მაგრამ იგი სულაც რომ არ ყოფილიყო, ასე მგონია, ქალაქს შუქი არ მოაკლდებოდა, იმდენად ფერადოვანი იყო ნესვებისა და საზამთროების ბორცვები, რაგინდარა ხილისა და ბოსტნეულის გროვები, პირდაპირ მიწაზე ღახვავებული ან დაწნულ გობებსა და სინებზე პირამიდებად დაწყობილი. მართალი გითხრათ, მთელ ირანში შემდეგ არსად შემხვედრია მიწის ბარაქის ასეთი მაღლიანი, ამღერებული სილამაზე, ასე უხვად და ლაზათიანად გაწყობილი დუქნები და ყაფაზები, ასე თვინიერად მზირალი სახეები, დახლებზე დაწყობილი ამდენი ნაგაფი ხელი.

ყველაფრიდან ჩანს, რომ მარანდელებმა იციან მიწის ყაღრი და მრავალი საქმის ოსტატები არიან. დრაცენის მსგავსი რაღაც მცენარის გამხმარი ფოთლებისა და უბრალო ჭილისაგან იმდენნაირი ფორმისა და ქარგულობის კალათები, ვაზები და სინები დაუწნავთ, თვალი ცქერით ვერ გაძლება. თანაც გემოვნებით, ფორმის და ფერების შესაშური შეგრძნებით. ენის ცოდნის გარეშეც გხიბლავთ ხმაღაბალი და მღერადი საუბარი მარანდელებისა, მათი თავაზიანობა, სიფაქიზე, რომელიც ყველაფერში გამოსჭვივის.

არა, ქართველ მემატიანეს უტყუარად შეუნიშნავს მარანდელთა
თვინიერება, სისხლისღვრისათვის თავი რომ აურიდებათ და კლდეუქეცა
ბებს შეხიზენიან.

მთავარ ქუჩაზე, ერთ პატარა დუქანში ვივახშემეთ და გზა განვაგრძეთ.
მემატიანე თითქოს ამჟერადაც შეგვეხმიანა: „გმხიარულებულნი და მა-
დლობელნი... წარმოემართნეს და მიმართეს ქალაქს თავრეუს“.

თავრიზის მიზა

თავრიზი ირანის ერთერთი უდიდესი და ულამაზესი ქალაქია, უფრო
ზუსტად — ირანის აზერბაიჯანისა:

„ადარბადგანი ადერბეჭანია, რომელ არს თავრიზის მიწა“.

აზერბაიჯანი და მისი უმთავრესი ქალაქი ძველთაგანვე აღმოსავლე-
თის იმპერიების საქიშპო ადგილი ყოფილა. იგი დამპყრობლებს იზიდავ-
და თავისი სტრატეგიული მდებარეობითა და საარაკო სიმდიდრით. ამ
თავისებური პლაცდარმიდან ხორციელდებოდა თემურლენგის, ჯალალე-
დინის, შაჰ-აბასისა და სხვათა შემოსუვები სომხეთსა და საქართველოზე.

ძალმოცემულობის უამს ქართულ მხედრობას დამარცხებული მტე-
რი არაერთხელ უდევნია ამ ზღუდემდე:

„მაშინ გარდმოხდა მეფე ვახტანგ ეტლოაგან და თქუა: „არა ხოლო
თუ აქა ვდევნეთ, არამედ ვიდრე ადარბადგანანდე, ვითარ იდევნიან ყო-
რანც მართულთაგან თვისთა“.

„ქართლის ცხოვრებას“ თუ ვერწმუნებით, ეს მხარე ვახტანგ გორ-
გასალს წილად რგებია სპარსთა მეფე ბარტამისაგან; ხოლო უფრო მოვ-
ვინებით ბაგრატ კურაპალატის მოხარეე ყოფილა შირვანთან ერთად,
სომხეთის ხელმწიფებით. სისხლისმსმელ, მაგრამ თავად უმამაცესს და
სიმამაცის დამფასებელ ჯალალ-ედინს აზერბაიჯანის ქალაქები შალვა
ახალციხელისათვის უბოძებია.

თავრიზში მჯდარა არა ერთი და ორი ქართველი ბეგლარბეგად და
ირანის დიდმოხელედ. ირანის შაჰებს აქ ხშირად ხლებიან ტახტის მაძი-
ებელი ქართველი დიდებულები, რათა მანუჩარის მსგავსად სამშობლოსა-
კენ გაძოლოდნენ მტრის ლაშქარს.

შალვა ახალციხელის მაგალითიდანაც ჩანს, რომ ქართველთა ხელ-
მწიფება უცხო მხარის მიწა-წყალსა და ქალაქებზე ეფემერული იყო თუ-
ნდაც იმის გამო, რომ ჩვენს წინაპრებს დასაცავ-საპატრიონოდ საკუთარიც
ჰყოფნიდათ; თან არც სიხარბე მოსდევდათ და არც სისხლმწყურვალება,
რომლის გარეშე სხვათა მიწების დაპყრობა და მით უმეტეს შენარჩუნე-
ბა შეუძლებელია.

ამ მხრივ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგეხდა თამარ მეფის მრავალ-
რიცხვოვანი მხედრობის ძლევამოსილი ლაშქრობა ხორასნამდე. მაგრამ
სპარსთა და სხვათა დაუნდობელ ლაშქრობებთან შედარებით, იგი შევძი-
ღობიანი ხასიათის მარშს უფრო ჰგავდა, საკუთარი ძლიერების დემონსტ-
რირებისათვის გამიზნულს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მემატიანე ცველ-
გან ხასის უსვამს ქართველთა ჰუმანურ დამოკიდებულებას შშვიდობიანი
ქალაქებისა და მოსახლეობის მიმართ. ყოველ ქალაქთან მიახლოება
მოლაპარაკებით იწყებოდა და თითქმის უსისხლოდ, ხარჯის გაღებით
მოავრდებოდა. ასე მომხდარა თავრიზის კედლებთანაც. „ირანის მიწაზე
ყველაზე სახელგანთქმული ქალაქის“ შესახებ, მის სიდიდესა, სიმშვენი-
რისა და სიმდიდრეზე ბევრი რამ დაწერილა.

დღევანდელ თავრიზს, რა თქმა უნდა, საგრძნობლად აქვს დაკარგუ-
ლი ფეოდალური ქალაქის იერი. მას დიდი ხანია გაურღვევია ოდესლაც
სამასი კოშკითა და სამასი ქონგურით შეკრული ქვის არტახი და ფართოდ
გაშლილა მთის ძირიდან მთის ძირამდე. აქა-იქ ქარხნების საკუამურებიც
ბოლავენ

ნახევარ დღეში, რაც ჩვენს განკარგულებაში იყო, ბევრი ვერაფერი
დავათვალიერეთ. დილით, სასტუმრო „ქეიპანის“ ეზოდან რომ გამოვდი-
ოდით, პირდაპირ მივადექით ძველი ციტადელის ქონგურებსა და კედ-
ლებს.

გვირჩიეს დრო არ დაგვეკარგა და პირველ რიგში გვენახა ალი-შა-
ჰის ციტადელი. იგი მე-14 საუკუნეში აუგიათ როგორც მეჩეთი, ხოლო
300 წლის წინათ ციტადელად გადაუკეთებიათ. მეორე სართულის კიბის
მოედნიდან გადაყვურებთ ფასადმონგრეულ გუმბათოვან გრცელ დარ-
ბაზს, სადაც მუსიკოსებისა და პარამხანის ხარჭათა გარემოცვაში, თავის
კარისკაცებს შორის განცხრომით იჯდა თავრიზის მიწის მბრძანებელი.

ციხე-სასახლეს ირგვლივ არტყია ქვის ლია ვერანდა, მრავალრიცხო-
ვანი გასასვლელებით სხვადასხვა დანიშნულების ტალანებში. ხშირად
აწყდებით ავად პირდაღებულ დილეგებს. უბრალო ჩახედვაც კი შეგზა-
რავთ. ადვილი წარმოსადგენია ეს დილეგები, სავსე ურჩი ხანებითა და
ხელქვეითებით, მონებითა და ტყვევებით. რომელიმე მათგანში, შესაძლოა,
ლომი ან ვეფხვიც ბრდლვინავდა მორიგი მსხვერპლის მოლოდინში.

ვიწრო, დახვეული კიბეებით ავდივართ ციტადელის სახურავზე.
აქედან ხელისგულივით ჩანს ათხივ მხარეზე გაშლილი ქალაქი, რომლის
კონტურები იქროსფერი მტვრის ბუღში ლიცლიცებს. ციტადელს ირგვ-
ლივ პარამხანებისათვის განკუთხნილი და სხვა სახის შენობები არტყია.
წინ გრილი წალკოტია გაშლილი. აქ შესვლა ფული ლირს და ყოველი
ბუჩქიდან შეიძლება გამოგიხდეთ ბედის მაძიებელი ფოტოგრაფი. იქნებ

საღმე აქ იდგა ის კარავი, რომელშიც სომებს სოველაგარს გალუსტ შეა-
მაზანოვს დაახლოებით ასი წლის წინათ უნახავს აღა-მაჭად-ხანის მიერთ
აოხრებული თბილისიდან გატაცებული იშვიათი ნიმუში ქართული ოქ-
რომჭედლობისა.

პველი საქართველო ტრასით

ჩვენს ღროში მიღებულია, ქვეყნის სახეზე, მის ეკონომიკურ შესაძ-
ლებლობებზე იმსჯელონ საავტომობილო გზების მიხედვით. ირანში კო-
მუნიკაციების, კერძოდ საგზაო ქსელის გაფართოებას, დიდი ყურადღება
ექცევა. მისი საერთო სივრცე, ოფიციალური მონაცემებით, 40 ათას კი-
ლომეტრს შეადგენს. აქედან მეტვსელი ნაწილი მოასფალტებულია.

თვალი შეეჩერა ქართველი კაცისათვის ერთფეროვან და მოსაწყენ-
ლანდშაფტს. ირგვლივ — თივთიყისფერი შიშველი, ერთზირებული მთე-
ბი და მათ შორის გაწოლილი ნახევარულაბნოები, აქა-იქ ახასხასებული
ოაზისებით. ირანის მთელი ტერიტორიის მესამედი უსიცოცხლო უდაბ-
ნოებს უჭირავს. 100-200 კილომეტრს ისე გაივლით, ერთი სოფელი არ
შეგხვდებათ.

აქაურ სოფელს, ჩვენის ვაგებით, სოფელი არ დაერქმის. წარმოიდ-
გინეთ ხრიოვ უდაბნოში, თიხაში აზელილი ბზის ბლოკებისაგან აგებუ-
ლი, ერთმანეთზე მიგრილი მიწურები, რომელთაც თავზე სიცხის ბული
ადგას. სიმწვანეზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

რამდენადაც ყაზვინს უახლოვდებით, მიწა უფრო და უფრო ცოცხ-
ლდება. ამ მხარეში წყალიც მეტია და ნაყოფიერი ნაკვეთებიც. რამდენი-
მე ადგილის გამართულ კალოსაც წავაწყდით. მთელი ოჯახი დედაბუდია-
ნად კალოს ლეჭავს. ყველაფერი ხდება პრეისტორიული ტექნიკითა და
ხერხებით. და მიუხედავად ამისა, ირანული სოფელი მაინც შედის განახ-
ლების ფაზაში. რაც მთავარია, უკვე ძირი გამოეთხარა ფეოდალური ურ-
თიერთობის პოზიციებს, თავისი კონსერვატიზმითა და რუტინით, რაც
ირანს აქამდე უკან, შუა საუკუნეებისაკენ ეწეოდა.

50-იანი წლებიდან, სამეფო მიწების განაწილებით, დაიწყო რეფო-
რმები. უფრო მოგვიანებით შემუშავებული აგრარული პროგრამის გან-
ხორციელებით 3 მილიონამდე გლეხურმა კომლმა მიიღო მიწის ნაკვეთი.
ცხადია, არც მსხვილ მემამულეთა ინტერესები დავიწყნით.

როგორც ჩანს, მთავარი ავტომაგისტრალი მიპყვება ძველ საქართველო
მარშრუტს. ამას გაფიქრებინებთ გზის პირას, გარკვეული მანძილის შუა-
ლედებით, აღმართული ძველი ქარვასლები. მათ მიტოვებულ შენობებს

დღეს ვინმე შემთხვევითი მგზავრი ან მოხეტიალე დერვიში თუ შეაჭარცალი არ არის. ისიც უკიდურეს შემთხვევაში, რადგან, როგორც ამბობენ, ქარვასლები გველებით არის სავსე.

დაუსრულებლად გრძელი გზა მარტო მოწყენილობას როდი გვვრით. ქართველ კაცს ძველ ტკივილებსაც ულვიძებს, რადგან ჩვენი წინაპრების ძვლებით მოფენილ გზას მიჰყვები. თუ ძველი საქარავნო გზების სივიწ-როვეს და დღევანდელი ავტოსტრადის სიგანეს გავითვალისწინებთ, ეს ძვლები გუდრონის საფარქვეშ არის მოქცეული სამუდამოდ. ამის გაფრქრებაზე შენც ძვლები გტკივა!

ერთმანეთის მიყოლებით გავიარეთ თამარის მხედრობის მიერ და-ლაშქრული ქალაქები — მიანა, ზანგანი, ყაზვინი... მათი დღევანდელი სიღიღისა და უწყინარი იერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძნელად ასა-ლები ქალაქები არ უნდა ყოფილიყვნენ. ვერც ციხე-კოშკებისა და ცი-ტადელების ნანგრევებს ხედავთ სადმე. არა მგონი ეს აიხსნას უდაბნო სივრცეებში გამძლე სამშენებლო მასალის ნაკლებობით. იქნებ მიზეზი ის იყოს, რომ ირანი ტრადიციულად თავს კი არ იცავდა, არამედ უტევდა, სხვას ესხმოდა და აწიოკვებდა.

მეორე მომენტიც იქცევს ყურადღებას. ირანის არქიტექტურული ძეგლები შთამბეჭდავია — გრანიოზული და ამავე ღროს მსუბუქი, ნა-ტიფი ფორმებით. მეჩეთების, დახურული ბაზრების თუ ქარვასლების გუმბათები სიმსუბუქის ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, იფიქრებ ხელითაც დავიმაგრებო. მაგრამ ქალაქებსა და სოფლებში ვერ ხვდებით მათს ხალ-ხურ პროტოტიპებს. ირანული არქიტექტურა თითქოს უფრო პარადული, ოფიციალურია და ხალხური ფესვებით ნაკლებად საზრდოობს. შესაძლოა ეს მსჯელობა მცდარი იყოს, რადგან სპეციალისტი არ გახლავართ, მაგ-რამ გარეგნული შთაბეჭდილება ნამდვილად ასეთია.

რეის მემკვიდრე

ირანის დედაქალაქში ჩვენ ღამით შევედით უმოკლესი გზით. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ახლახან აგებული ავტოსტრადით, რომელზე გავლა ფული ღირს. გრძლად გაწოლილი, ელექტრონის შუქ-ში მცურავი ქალაქის საერთო კონფიგურაციაში თანდათან იკვეთება მთავარი მოედნებისა და პროსპექტების ხაზები.

დედაქალაქი ამ უძველესი ქვეყნისა, შეიძლება ითქვას, ახალგაზრდაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დღეს მის პატარა გარეუბნად ქცეულ ძველისძველ რეის. თეირანი სატახტოდ გამოაცხადა სხვათა სატახტო ქა-ლაქების დამქცევება აღა-მაჰმად-ხანმა. სისხლისმსმელი საჭურისის სხვა

საქმეთაგან განსხვავებით, მისი ორჩევანი და სურვილი ამჯერად სიცოცი
ხლისუნარიანი აღმოჩნდა.

სასტუმრო „ნადირის“ მეექვსე სართულის აივნიდან გადავყურებ და-
მის თეორიანს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს თვალშიც გაჩახჩახებული თა-
ნამედროვე დიდი ქალაქი გადაშლილა, აქაურ ცასა და ჰაერს მაინც შერ-
ჩენია ინტიმური იღუმალება. განსაკუთრებით შთაბეჭდავია თეორიანის
მთვარიანი დამეები. ასეთ დროს აქაური ცა რაღაც განსაკუთრებულად
მოციაგე სილურჯეს იძენს, ოცნებებითა და მყულროების განცდით ავსებს
ადამიანის არსებას.

ლალე-ზარის ქუჩა — დედაქალაქის ერთერთი უმთავრესი მაგის-
ტრალი — საზოგადოებრივი თუ საგაჭრო შენობებით, სხვადასხვა სახის
რეკლამებით. ქუჩებში უამრავი ხალხი, აღმოსავლურად მრავალფეროვან
ტანსაცმელში, ცოცხალი და მოფუსტფუსე... მანქანები, უამრავი მანქანე-
ბი, მათ შორის ირანული წარმოებისა, უცხოეთის ფირმების მიერ აწ-
ყობილი კონვეიერებიდან ჩამოსული

ყველაფერი ევროპეიზმის იერითაა აღბეჭდილი, მაგრამ აზია თავის
თავს ყოველ ნაბიჯზე მაინც გახსენებთ. თანამედროვე ურბანისტული შე-
ნობების ინტერიერებში რომ შეხვალთ. თითქოს ძველ ირანში ხვდებით.
ყველგან შადრევნები, ლაუკარდისფერი შორენცეცების ორნამენტები და
არაბესკები, ძველებური მინიატურების იმიტირება, ნამდვილი სპარსული
ხალიჩები და ამ ხალიჩებს მიმსგავსებული ფერადოვანი ლაქები მინის,
პოლიმერებისა თუ ქსოვილებისაგან... ვიტრინებში — ნამდვილი და ყა-
ლბი თვალ-მარგალიტისა და ოქროს ელვარება, რაგინდარა საჭონელი, სა-
კუთარი თუ შემოტანილი...

15 აგვისტოს სრული შემადგენლობით ვცხადდებით საბჭოთა საელ-
ჩოში.

საელჩოს შენობები ბაღშია ჩაფლული. აი მთავარი კორპუსი, უკანას-
კნელ პერიოდში რამდენადმე რეკონსტრუირებული, სადაც ჩატარდა დი-
დი სამეულის ისტორიული კონფერენცია. ცენტრალურ დარბაზში შესა-
სვლელი საპარადო კარების ორივე მხარეს მემორიალური წარწერებია
თეირანის კონფერენციის შესახებ, სპარსულ და რუსულ ენებზე. სხდომა-
თა დარბაზი ორც თუ ისე დიდია. შუა კედელში ორი ბუხარი აქვს და-
ტანებული, შესასვლელიდან ხელმარჯვნივ კარებია, რომელიც სტალინის
აპარტამენტებში გადიოდა.

აქ, ამ ისტორიულ დარბაზში ისევ და ისევ ეძლევი ფიქრს სამშობ-
ლოზე, მის ისტორიულ ხვედრისა და საკაცობრიო როლზე. ორი საუკუნეც
არ გვაშორებს იმ დღეს, როცა ქართველი ხალხი ეროვნული კატასტრო-
ფის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ის ერთადერთი გონივრულ ნაბიჯი

რომ არა, ვინ იცის რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ამ ახალი და საბოლოო-
ოდ გაკვალული ისტორიული გზის თავისებურ ლოგიკურ პოთეოზად გვე-
სახება აღამიანს ამ დარბაზში დიდი ქართველი კაცის ძლევამოსილი შე-
მოსვლა.

ჩვენი საელჩოდან დარეკვის შემდეგ გამოვცხადდით ირანის ინფორ-
მაციის სამინისტროში. მისი შენობა ქალაქის ისტორიულ ნაწილში მდე-
ბარეობს, შავის ძველი სასახლის მახლობლად.

მიგვიღეს ირანელთათვის ჩვეული თავაზიანობით. ერთერთი მოხელე,
ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ განყოფილებისა თუ სექტორის გამგე, აღა-
არბაბი გურამისა და ირაკლის უკვე იცნობს. წინა წელს სწორედ ის
ხელებია ჩვენს ჯგუფს მოგზაურობაში. უკვე დაწინაურებულმა, თავისი
ფუნქცია ამჯერად გადააბარა აღა-დანაის — ერთ კაფანდარა, შავგვრემან
კაცს, ასევე ჩვენებისათვის ნაცნობს.

ირანელებს დაწვრილებით ავტესენით ჩამოსვლის მიზანი: გვინდა
გადავიღოთ კეთილგანწყობილებით შექმნილი ფილმი მეზობელ ქვეყანა-
ზე, რომ გვსურს მოვიაროთ ყველა უმთავრესი პროვინცია და ქალაქი,
სადაც კი რაიმე საინტერესო და მნიშვნელოვანი ხდება. ყველაფერი ეს
ჩაიწერეს და დაგვპირდნენ, რომ ჩვენი მოგზაურობის მარშრუტს შეუთან-
მებდნენ სათანადო ინსტანციებს.

ხალი და ლეჩაძი

მაშ ასე, მოგზაურობას ვიწყებთ ჩრდილო პროვინციებიდან. კას-
პიის ზღვის სანაპიროებისაქენ ყაზვინის გავლით მივდივართ. ირანის
უოფილ დედაქალაქზე უფრო ადრე გამოვიარეთ, მაგრამ საფუძვლიანად
არ დაგვითვალიერებია იმის იმედით, რომ აქ საგანგებოდ ჩამოვიდოდით.
ოლონდაც! ამ ქალაქთან დაკავშირებულია საქართველოს ისტორიის მრა-
ვალი იგადმოსაგონარი ფაქტი.

შეიძლება ყველამ არ იცოდეს, რომ ქართულ მეტყველებაში დღემდე
შემორჩენილი საწყევარი სიტყვა „ჯანაბა“, რომელიც გადაკარგვის, შინ-
მოუსვლელობის სინონიმად ითვლება, დაკავშირებულია ირანის ერთერთი
უშორესი დასახლებული ადგილის სახელთან. ყაზვინი თუმცა გაცილებით
ახლოს მდებარეობს, ქართველი კაცისათვის ამ ქალაქის სახელსაც „ჯანა-
ბის“ მნიშვნელობა ჰქონდა. შემთხვევით როდი ისტუმრებს „მესხური
მატიანე“ ყაზვინს მიმავალ თვალშევნიერს სიტყვებით: „ამას უკანასკ-
ნელი საქმე ღმერთზე ჰყიდია“-ო.

ყაზვინს ჰყაულა თავისი თანამგზავრი — ციხე-გალათი ალამუთი. გერ

კიდევ მონღოლთა ბატონობის ხანაში ამ ციხის კედლებთან შვიდი წლის
მანძილზე უმოწყალოდ იულიტებოდა ქართველობა.

მამულის სახსნელად კოხტასთავს შეკრებილ ცოტნე დადიანსა და
მის თანამოსაგრეებს დიდად აწუხებო ალამუთის მუსვრა...

ამ ციხეში 9 წელს იტანჯებოდა ფარცხისის ბრძოლაში ღალატით და-
ტყვევებული სვიმონ მეფე — საქართველოს თავისუფლებისა და დამო-
უკიდებლობისათვის დაუღალავად მებრძოლი, უკომპრომისო რაინდი.

აქვე მსხდარის ლევან კახთა მეფის-ძე, არჩილ მუხრან-ბატონი და
თვალშევენიერი — თავრიზს გარდახდილი ომის გმირი, რომელიც მესხმა
მემატიანებ გააცილა მწარე სიტყვებით, ვითარცა „საყაზმითოდ შიმავა-
ლი“.

სხვაც ბევრი მჯდარა ტანჯვისა და სიკვდილის მოლოდინში ალამუ-
თის ციხის კედლებში. გვინდოდა საკუთარი თვალით გვენახა ეს ციხე,
ამიტომ ყაზინში შესვლამდე ჩრდილოეთისაკენ ავუხვიერ. გზა ძნელად
სავალი აღმოჩნდა და დაახლოებით 20 თუ 25 კილომეტრის შემდეგ მან-
ქანა გაგვიჯიუტდა. ორი ამოდენა მანძილი კიდევ წინ გვედო და სადმე
უდაბურ ადგილას დამით გახირვას და მოგზაურობის გრაფიკიდან ამო-
ვარდნას უკან დაბრუნება ვარჩიეთ.

დღევანდელი ყაზინი ერთი პატარა პროვინციული ქალაქია, ვიწრო
ქუჩაბანდებით, ძველებური ერთსარტულიანი სახლებით, დარაბებიანი
პატარა სახელოსნოებითა და დუჭნებით. ძნელად დასაჯერებელი ჩანს,
რომ აქ ედგათ ტახტი და აქედან მართავდნენ უზარმაზარ სახელმწიფოს
საქართველოზე დანა-სისხლად, გადაკიდებული სეფიანთა შაპები.

რამდენი ვინმე მოსულა საქართველოდან ყაზინს — ძალით თუ ნე-
ბით, შეწყალების მოიმედე თუ სასიკვდილოდ განწირული, სამშობლოსა-
თვის თავდადებული გმირი და ძმათაგამცემი...

საქართველოს ურჩეულეს შვილთა თანხლებით ამ ქალაქზე გაუვლია
დიმიტრი თავდადებულს, რათა შორეულ ყარაყორუმში ღირსეულად მი-
ეღო მოწამეობრივი სიკვდილი. მომდევნო ხანებში, განსაკუთრებით შაპ-
აბასის დროიდან ვიღრე მე-17 საუკუნის მიწნამდე, საქართველოს პოლი-
ტიკურ საკითხებთან დაკავშირებით გამოწვეულთა გზა ყაზინში თავდე-
ბოდა. ყიზილბაშური ექპანსია, რომლის ეპიცენტრიც ეს პატარა ქალაქი
იყო, საქართველოს განსაკუთრებით მე-16 საუკუნის პირველი წლებიდან
მოეძალა. თუ სეფიანთა დინასტიის დამაარსებელი შაპ-ისმაილი ერ-
თი ლაშქრობით დაკმაყოფილდა, მისმა მემკვიდრეებმა ჩვენი ქვეყნის
აღგვა მოინდომეს პირისაგან მიწისა.

შაპ-თამაზის შემოსევებმა დიდებული მესხეთის დარბევა-განადგურე-
ბით საქართველოს საბოლოოდ მოუშალა სამხრეთის სამედო ბასტიონე-



ბი, ხოლო ყიზილბაშების დაუძინებელი მტრის, გულმამაც სვიმოცხვანთა კერძო გელის დატყვევებით ჩვენმა ხალხმა დიდი ხნით დაჰქარგა თავისი სამართლიანი ბრძოლის მოთავე და შემგულიანებელი. დადგა ხანა რენეგატთა და გამყიდველთა პარპაშისა. სვიმონის ულირსი ქმა დავითი ქართლის ტახტის მოპოვების გულისთვის სულით-ხორცამდე გაიყიდა, ხოლო ქართლის ათაბაგმა ვარძის დაქცევის ფასად მხოლოდ ყარენის კარზე ჯდომის უფლება მოიპოვა, ვიდრე მისგან არ „გარისხდა ღმერთი ყაზბითს, და დაუტევა მდენი ესე საწუთო“.

ყიზილბაშთა ყოველი ლაშქრობისა თუ ქმათა შინაური ბრძოლის შემდეგ, მატულობდა ბედის მაძიებელთა ლტოლვა ყაზვინისაკენ. ქართველთა კოლონია იმდენად მრავალრიცხვანი გამხდარა და გავლენიანი, რომ ირანის პოლიტიკურ ამბებში აქტიურად ჩარევა დაუწყიდა. ქართველთა გულმიცემულობას, ალბათ, ისიც აძლიერებდა, რომ შაპ-თამაზს პირველ მეუღლედ ესვა ოთარ შალიკაშვილის ასული, ხოლო ირანის 8 პრინციდან 4 ქართველი ქალის ნაშობი იყო.

ყაზვინის დესპოტიზმი თანაბრად ზარავდა შინაურსა და გარეშეს. შაპ-თამაზის სიკვდილისთანავე ირანის სამეფო კარზე გჩაბლებულა დაუნდობელი ბრძოლა ხელისუფლებისათვის. გაყიზილბაშებულ ქართველობას ალისულთან იოთამაშვილის მეთაურობით უცდია ტახტზე დედით ქართველი უფლისწულის ჰაიდარ-მირზას აყვანა, მაგრამ მოწინააღმდეგებს უფლისწული მოუწამლავთ, ხოლო მისი მომხრეები ამოუყლეტიათ.

შაპ-ისმაილ მეორის სახელით ტახტზე ასულმა ისმაილ-მირზამ, რომელიც მამის სიცოცხლეში 20 წელიწად იჯდა დილეგში, შალიკაშვილის ქალის ჩაგონებით ალამუთის ციხიდან გამოიყვანა სვიმონი. მაგრამ ექვსი თვის შემდეგ ახალი შაპი, ვითარცა „კაცი უწყალი და მსმელი სისხლისა“, მოკვლავთ, საფიქრებელია ქართველთა შეთქმულების შედეგად. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ისმალებმა შაპ-ისმაილის სიკვდილი ერთგვარ საბაბადაც კი გამოიყენეს საქართველოზე ლაშქრობის გასამართლებლად.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისი ნახევრად ბრმა და ხალხის მიერ „ხარაბანდად“ („მევირედ“) მონათლული მამის ტახტს უკან უკვე კვესავდა ბოროტი გენიით გაბრწყინებული თვალები ჭაბუქი უფლისწულის აბას-მირზასი. გაივლის რამდენიმე წელი და იგი მოსყიდული დალაქის ხელით გზიდან მოიცილებს ტახტის მემკვიდრე ქმას, დაამხობს მამას, ქვეყანას მოევლინება შაპ-აბას პირველის სახელით, რომელსაც ფულზე ამოტვიფრავს ფანატიზმით შემაძრწუნებელ სიტყვებთან ერთად: „მონა, ძალლი ალისა — შაპ-აბას“.

შაპ-ხუდაბანდა არ ჩქარობდა საკუთარ რწმენასა და ოჯულზე მეტიცნობის ცედ შემღვარი სიმონის გასტუმრებას საქართველოში. ქართველი მეფის კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად და გულის მოსანადირებლად მას დამოყვრება შესთავაზა: მინდა თქვენი ქალიშვილი ტახტის მემკვიდრეს პამზა-მირზას დავუსვა ცოლადო. პოლიტიკაში გაწაფული და დაბრძენებული სიმონი წინდახედულად არ ჩქარობდა. მან კარგად იცოდა, რომ მისი ქალიშვილის ხელზე მეტად ირანს სიმონის მჭრელი ხმლის ერთგულება ჭირდებოდა ყიზილბაშური სახელმწიფოს მოქმედისა და მტრის — ოსმალეთის წინააღმდეგ. და როცა სულთანის ლაშქარი საქართველოს შეესია, სიმონის განთავისუფლება აღარ დაუყოვნებიათ. მას შაპმა დაუბრუნა ჩამორთმეული ყველა მეფური ღირსება და უფლება, გამოატანა დიდალი ფული და თან გამოაყოლა „ტყვენი ყოველნი საქართველოსანი, მუნ დატყვევებულნი“.

სამშობლოში მიმავალ სიმონს, ჩანს, მრავალ სანუკვარ ფიქრსა და იმედს ატანდა ირანის დედოფალიც. ადვილი წარმოსადგენია რა ცეცხლი უდუღდა გულში ამ ღირსეულ ქართველ ქალს, რომელსაც ბედმა არგუნა ისეთი სისხლისმსმელი თანამეცხედრე, როგორიც იყო შაპ-თამაზი და ისეთი ტირანი შვილიშვილი, როგორიც შაპ-აბასი. დედოფლის გოროზი მამა და ძმებიც გავიხსენოთ, რომელთა პატივმოყარეობა მესხეთს ფრიად ძვირად დაუგდა. ჩანს, შალიკაშვილის ასულს ბუნებისაგან უხვავ ჰქონდა მომადლებული ის, რაც აკლდა მის ახლობლებს. რაოდენ სულგრძელი უნდა ყოფილიყო ეს ქალი, რომ შურისგებაზე არ ეფიქრა თუნდაც შალიკაშვილთა დედაბუდიანად ამოკლეტის გამო. მის ძმებთან ხომ სიმონსაც თავისებური ანგარიში ჰქონდა.

ბერი ეგნატაშვილი წერს:

„შაპ-ხუდაბანდას დედამ მოიყვანა, ოთარ შალიკაშვილის ქალმან, მეფე სვიმონ, ვითარცა წესი არის, ქართველთა დედანი ლეჩაქის მოახვევენ, — და იგიცა ქართველი იყო, მანცა ეგრეთვე ყო და წარმოუგზავნა ლეჩაქი თვისი და მიუმცნო: „მეფე სვიმონ, გწადდეს ლეჩაქი ესე აიღო და გწადდეს ხრმალიო, ჩვენც მოგუეხმარე და შენს საბატონოსაცაო“ და მისუა ნიჭი მრავალი და სამოსელი სამეფო და წარმოგზავნა თვისსა ქართლად და წარმოვიდა“.

ქართველი ქალისა და ირანის დედოფლის გულისწადილის ამოხსნა ძნელი ამ იყო: ხმალზე ლეჩაქის დახვევა მას ერთი მხრივ საქართველოსა და სპარსეთს შორის, ხოლო მეორე მხრივ თვით ქართველებს შორის დაურღვეველი და სასურველი მშვიდობიანობის სიმბოლოდ ესახებოდა.

ირანის გრძელ გზებზე ჩვენი მეგზურობა მინდობილი აქვს აღა-დანაის. როგორც საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განყოფილების მუშაკი, იგი საქმაოდ კარგად ფლობს რუსულ ენას და ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმთავრეს მოვლენათა კურსშიც იმყოფება.

აღა-დანაი მოწადინებულია ისე დაუფლოს რუსულ ენას, რომ თე-ირანის უნივერსიტეტში ლექციების კითხვა შესძლოს. ამ განზრახვის სერიოზულობაზე მიუთითებს ის, რომ უკვე ჩაბარებული აქვს, ჩვენებურად რომ ვთქვათ, სამეცნიერო მინიმუმი და საღაცაა დოქტორი გახდება.

აღა-დანაის სასულიერო ასპარეზზედაც აქვს გარკვეული წარმატებები. იგი ჰაჯია, ე. ი. ნამყოფია მუსლიმანთა წმიდა ადგილებში — მექასა და მედინაში, ულოცია მაჰმადის საფლავზე და ვითარცა ჭეშმარიტი მუსლიმანი, დღეში ხუთხეო ლოცულობს, საღაც არ უნდა იყოს და ვიხც არ უნდა ესწრებოდეს ამ ამბავს.

აღა-დანაის უსაზღვროდ უყვარს თავისი დიდი და ვრცელი, მდიდარი და ღარიბი, ზოგ რამეში დაწინაურებული და ზოგშიც აქმდე ჩამორჩენილი სპარსეთი. მისი სიყვარული ხშირად ბრმაა, მაგრამ ალალ-მარჯალი. ძალიან მოწადინებულია გვიჩვენოს ყველაფერი კარგი და მნიშვნელოვანი, რაც დღევანდელ სპარსეთში კეთდება. ამასთან თავისი პატარა ხელისგულით გულუბრყვილოდ ცდილობს ჩვენს თვალებს არ დაანახვოს ის ძველი, დრომოჭმული და გულისმომკვლელი, რაც წარსულიდან შემორჩენია პროგრესის ფართო გზაზე გასულ ქვეყანას.

— აღა-დანაი, — ვეუბნებით ჩვენს მეგზურს. — კარგად გვესმის თქვენი, მაგრამ ჩვენც უნდა გაგვიგოთ. გვინდა ვნახოთ და გადავიღოთ ნაძღვილი ცხოვრება, ირანელი მშრომელი ხალხის ცხოვრება. გვერწმუნეთ, ამას გეუბნებით გულწრფელად, მხოლოდ და მხოლოდ კეთილი განზრახვით. ყველაფერ კარგს სად ნახავ. განა ჩვენ არ გამოგვივლია ეგეთი პერიოდი, როცა ჩამორჩენილობასა და გაჭირვებას თავს ვაღწევდით! დრო ყველაფერს ცვლის.

სახეზე ეტყობა, რომ კარგადაც სჭერა, მაგრამ დიპლომატურ გამოსავალს ეძებს:

— პროგრამა, აღა პროგრამა!

არა და, რაოდენ საინტერესო მასალას იძლევა ამ ქვეყნის ცხოვრება იმისათვის, რომ ლირსეულად მიუწლო უბრალო ირანელ კაცს. იგი უსიტყვოდ და უდრტვინველად მთელი დღე ღვრის ოფლს ლუქმა პურისათვის, ძუნწ ბუნებას არსებობის საშუალებას ჰგლეს თითქმის შიშველა ხელებით, უიმედოდ მოძველებული საშუალებებით.

გამოგიტყდებით, არაერთხელ მსმენია და წამიკითხავს ირანელთა ვე-
თომდა თანდაყოლილი სიზარმაცის შესახებ. არ ვიცი, ვის გულისწმობა
დნენ ამ ვერსიის შემქმნელები, მაგრამ ირანელ გლეხზე ამას ვერ იტყვი.
ყოველი დასახლებული პუნქტის მოედნებსა და ქუჩებში გორებად
დგას მის მიერ მოწეული ჭირნახული, და გიკვირს: საიდან, ირგვლივ ხომ
გადახრიოკებულ-გაუდაბნოებული ველები და მთებია? სწორედ ასეთ
მიწაზეა მოწეული ყოველივე ეს. თან არ იყითხავთ რა ჯაფისა და წვალე-
ბის ფასად? გადაპკიდებს თავის ერთგულ სახედარს კალათებს ან ხურ-
ჯინს და რამდენიმე კილომეტრს იქით მიკვლეული აღგილიდან ეზიდება
მიწას — შავს, მურას თუ თიხნარს. სილიანი მიწა ხომ აქვს და აქვს. შემ-
დეგ მთელ ამ მიწას ალქიმიკოსივით აზავებს... ახლა იწყება წყლის ზი-
ღვა. იმავე წესით, ასევე შორიდან. და ასე ტანჯვა-წვალებით მოყვანილი
ჭირნახული წინ დაუწყვია დაბისა თუ სოფლის მოედანზე, იშვიათი მუ-
შტრის მოლოდინში.

ჩვენი მეგზური, ისევე როგორც ყველა ირანელი საზოგადოდ, ბუ-
ნებით რბილი და თავაზიანია, თუმცა გულს ბოლომდე არ გადაგიხსნის,
სულის სიღრმეში კარგად არ ჩაგახედებს.

დღეში ზოგჯერ 300-400 კილომეტრის გავლა გვიხდება. ასეთ დროს
ჩვენს მეგზურს დაღლილობა და ნირვანა იაყრობს. საკარისია, მანქანამ
რაიმე მკვეთრი მოძრაობა გააქეთოს, ომ უმაღ გამოერკვევა. სამყა-
როსთან მისი კონტაქტის განახლება ბაიათით ხდება. მარტენა ხელის-
გულს ყურქეშ ამოიდებს და გააბამს. ჩვენც ვუსმენთ და ვიმსჭვალებით
მისი გულის ფარული სევდითა თუ ნაღველით.

ალა-დანაის, როგორც ნამდვილ ირანელს, თავდავიწყებამდე უყვარს
პოეზია, ხშირად ზეპირად გვიკითხავს ნაწყვეტებს ფირდოსუსის „შაჰნა-
მედან“ და სააღის „გულისტანიდან“, ჰაფეზის ყაზელებსა და ომარ ხაია-
შის რობაიებს; გვიკითხავს აღმოსავლურ ყაიდაზე — სიმღერით. სიტყ-
ვების შემდეგ გვითარგმნის.

ჩვენს მეგზურს ძალიან სიამოენებს იმის გაგება, რომ საქართველო-
ში სპარსული პოეზია უძველესი დროიდან პოპულარობით სარგებლობდა
და ითარგმნებოდა, რომ ირანელ პოეტებს ჩვენშიც მღერიან და, სააღის
სიტყვები წავიღილინეთ:

„ისე ვერავის ვერ შეიყვარებ,
რომ ხალხმა შენზე არ გაიცინოს,
ვარდს ვერასოდეს ისე ვერ მოჰკრევ,
ეკლმა სისხლი არ დაგადინოს.“

მელოდია ძალიან მოეწონა ალა-დანაის, მაგრამ ვერ აგვყვა — თქვენ
სულ სხვანაირად მღერითო.

ჩვენი მეგზური მზრუნველი მეუღლე და მამა. სულ თავისი პატარა

ქალიშვილის მერიემის სახელი აბოდებს. დიდად გაიხარა, როცა მერიების საჩუქრებით მოვიკითხეთ. სულ რაღაც-რაღაცებს დაეძებდა და უფრო მობდა მისთვის.

გურამი და ირაკლი კარგად არიან შეხუმრებული აღა-დანაისთან. ერთხელ, უსასრულო გზაზე, რაღაცას გვიყვებოდა თავის ქალიშვილზე. ირაკლიმ განგებ საჭეს შეუშვა ხელი. აღა-დანაის სიტყვა პირზე შეაშრა:

— აღა... აღა!

ირაკლიმ თავისი რომ არ დაიშალა, სპარსელი ვეღრებაზე გადავიდა: — აღა-ირაკლი, მერიებ, მერიებ!

ირაკლი საჭეს ძალიან რომ გაუთამამდა, ჩვენც ვიკადრეთ თავის შეცოდება.

— ძალიან ცდებით, თუ გგონიათ, რომ მე თქვენზე ნაკლებად მიყვარს შვილები! — თქვა ირაკლიმ ბოლოს და ორივე ხელი საჭეს ჩასჭიდა ღონივრად, და კარგადაც მოიქცა, რადგან ზედ მკვეთრ მოსახვევს მივადექით და მანქანის მუხრუჭებმა ხრჭიალი იწყო.

ზუზუნით მიპქრის ჩვენი „ვოლგა“ სპარსეთის დაუსრულებელ გზებზე და უდაბნოს ნაღვლიან მდუმარებას უერთდება აღა-დანაის ბაიათით ატირებული ხმა.

მარჯვენა და მარჯვენა

შივდივართ ირანის ჩრდილოეთისაკენ.

გილანისა და მაზანდარანის მხარე, რომელიც კასპიის ზღვის სამხრეთ უანაბიროს აკრავს, ცნობილია ზომიერი ჰავით, კარგი ბუნებრივი პირობებითა და სიმდიდრით. იგი თითქმის მთელ სპარსეთს ინახავს სასოფლო-სამურნეო პროდუქტებით. ინფორმაციის სამინისტროში გვირჩიეს — თუ ჩვენი სოფლის მეურნეობა გინდათ აჩვენოთ მომავალ ფილმში, გილანისა და მაზანდარანის მხარის ჩაის პლანტაციები, ხეხილის ბალები და ნათესები გადაიღოთ. ჩვენ საწინააღმდეგო რა უნდა გვქონოდა. მით უშეტეს, რომ ქართველი კაცისათვის ეს მხარე მრავალმხრივ არის საინტერესო.

როგორც ცნობილია, შაჰ-აბასმა თავისი გამანადგურებელი შემოსევების დროს ქართლიდან და კახეთიდან ირანში გადაასახლა ასეულ ათასობით ქალი და კაცი: „წარიყვანა აყრილნი კახნი ტუვედ, და დასხა რომელნიმე მაზანდარანს, ხვარასანს და ფერიასა“.

მალი-მალ ვიხედები უბის წიგნაკში, რომელშიც სხვადასხვა წყაროებიდან ამოწერილი მაქვს ქართველთა დასახლებების სახელწოდებანი.

შორიდანვე დაძაბულად ვაცქერდები დასახლებულ პუნქტთა სახე—
ლწოდებებს გზისპირა ფირნიშებზე.

— არა, ეს არ არის!

ვატყობ ამაო ჯაფაა. სპეციალურად, ხელისუფალთა მიერ ყოველნაირად ნებადართული ექსპელიციის პირობებში გაჭირდება ყოველივე ამის დადგენა, თორემ ასე, გავლით?! აღა-დანაი დაყრუვდა, როცა აქაურ გურჯებზე ჩამოვაგდე სიტყვა. გამოდის, რაიმე ბედნიერი შემთხვევის იმედით უნდა ვიყოთ.

ისარივით სწორი ავტოსტრადა თვალუწვდენელ დაბლობზე გადაჭიმულა. ყველგან თვალის გამხარებლად დაყურსული სიმწვანე, ხასხასა მინდვრები, რომელთაც ნახირი შეჰქონია. ყურადღებას იპყრობს ისლით გადახურული ჯარგვალები, ფაცხები და სასიმინდები. გურია-სამეგრელოს ძველი სოფლები გაგასხენდებათ.

ფეხლევი პატარა სანავსადგურო ქალაქია. ზღვისპირეთის ვერცერთ ჩვენს ქალაქს ვერ მივამსგავსეთ. ადრინდელ ენზელს ფეხლევი ეწოდა ირანის შაჰთა ახლანდელი დინასტიის დამაარსებლის რეზა-შაჰის პატივსაცემად. ამ მხარეს განსაკუთრებული როლი შეუსრულებია მის აღზევებაში.

ენზელთან დაკავშირებულია სხვა ისტორიული ამბებიც. რუსეთის პირველი რევოლუციის გავლენით 1905-1911 წლებში ირანი მოიცვა რევოლუციის ხანდარმა, განსაკუთრებით ეს მხარე. რევოლუციაში მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებიათ ქართველებს. ამის შესახებ მეტად საინტერესო ფაქტები და ცნობები აქვს თავმოყრილი თავის წიგნში ჩვენს ცნობილ ქურნალისტს ანტონ კელენჯერიძეს.

ქართველთა სისხლი ამ რევოლუციაშიც დაუზოგავად დაღვრილა. მართალია, რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ მას უშედეგოდ მაინც არ ჩაუვლია. ტრადიციულად დესპოტურ-მონარქიულ სახელმწიფოში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები სოციალური პროგრესისა და დემოკრატიის გზაზე. როგორც ამბობენ, ირანის პირველი მეჯლისის ისტორიული სხდომა ქართველი კაცის თავმჯდომარეობით გახსნილა.

ფეხლევი ორი მეზობელი ქვეყნის მეგობრობისა და ეკონომიური თანამშრომლობის ჭიშკარია კასპიის ზღვაზე. მისი როლი და მნიშვნელობა ჯერ კიდევ რევოლუციამდე გაუთვალისწინებიათ, როცა ქართველ კომერსანტს აკაი ხოშტარიას ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაუყვანია ენზელიდან რეშტამდე...

რეშტში ვბრუნდებით და სასტუმრო „ირანში“ ვეწყობით.

რეშტი საქმაოდ მოზრდილი და ლამაზი ქალაქია, უმეტესად, ორჟამსართულიანი სახლებით. იგი საზეიმოდაა მორთული. ცენტრალური

მოედანი, რომელსაც სასტუმროს აივნიდან გადავყურებთ, დილიანვა
ხალხითა და ჭარის ნაწილებით ივსება.

ამ დღეს — 19 აგვისტოს ირანში დიდის ამბით აღინიშნება მოსალი-
კის მთავრობის დამხობა. აღა-დანაი გულმოლგინედ გველაპარაკება ამ თა-
რიღის მნიშვნელობაზე.

— გეთანხმებით, — ვეუბნებით ბოლოს ჩვენს თანამგზავრს. — გე-
ნერალმა ალბათ შესტოპა, როცა მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება
მოინდომა და კიდევ ბევრი სხვა რამ. მაგრამ იმის უარყოფაც ხომ არ
შეიძლება, რომ მისი მთავრობის მიერ გატარებულმა ზოგიერთმა ლონის-
ძიებამ დააჩქარა ირანიდან ნავთის უცხოელ მონოპოლისტთა...

— აღა, აღაა-ი! — გვაწყვეტინებს ირანელი და ლამის ოთახიდან გა-
ვარდეს. ჩვენ აღარ ვაგრძელებთ პოლიტიკაზე საუბარს და ვთანხმდებით,
რომ ასეთ საკითხზე არასოდეს ვილაპარაკებათ.

აღა-დანაის მიაჩნია, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში დამკვიდრებული სო-
ციალ-პოლიტიკური სისტემა განგების მიერ ნაბოძები სიკეთეა და მის
შეცვლაზე ფიქრი ბოროტებაა. ამ კონცეპციის მიხედვით, მას შემუშავე-
ბული ქვეს ირანელი ხალხის ცხოვრების უბრალო, მაგრამ ერთადერთი
მისაღები მოდელი: ქვემოთ — ხალხი და ჭარი, იმის ზემოთ ხელისუფ-
ლება, რომელსაც მონარქი განასახიერებს. სულ ზემოთ კი ალაპი, ირანის
ძლევამოსილი ბაირალით ხელში. აღა-დანაის თქმით, ეს აზრი ძალიან ზუ-
სტად არის გადმოცემული ირანელ ჭარისკაცთა სიმღერაში, რომლის სი-
ტყვები ასე იწყება:

— „იქ, დუ, სე, ჩარი...“

იმ ახლაც, რამსარის გზაზე რომ მივქრივართ, აღა-დანაი იწყებს ამ
სიმღერას და თან დირიჟორობს. ჩვენც ერთმანეთს თვალი ჩავუკარით და
ირანელის გულგასახარად შემოვძახეთ:

— „იქ, დუ, სე, ჩარი...“

მოვინახულეთ გილანის მხარის მეჩაიეობის ჩაიონიც, რომლის ცე-
ნტრად ითვლება ქალაქი ლაპიგანი.

ირანი ჩაის მოხმარების ერთერთ უმთავრეს ქვეყნად ითვლება, მაგ-
რამ მეჩაიეობას აქ ბოლო დრომდე არ მიუღია სახელმწიფოებრივი გაქა-
ნება. ახლა მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ირანელ სპეციალის-
ტებს, მოწინავე გამოცდილების გადმოსალებად, ხშირად ავლენენ საზღ-
ვარგარეთ, მაღალგანვითარებული მეჩაიეობის ქვეყნებში, მათ შორის სა-
ქართველოში.

სწორედ აქ, ლაპიგანის მეჩაიეობის სახელმწიფო ცენტრში გავიცანით
ახალგაზრდა ირანელი მეჩაიე — ინუინერი ყოლამ-რეზა გოეზი. იგი სა-
ქართველოში ნამყოფი აღმოჩნდა. დიდი გულთბილობით მოიგონა ნატა-

ნებელი და მახინჯაურელი მეჩაიერები, მათთან გატარებული დღეები, ჩვენი ხალხის სტუმაოთმოყვარეობა.

თარჯიმნობას გვიწევს თბილისიდან დიდი ხნის წინათ წამოსული სო-შეხი არმენაკ ლამბარიანი, ძმა ცნობილი კინოპროდიუსერისა. არმენაკი უკვე ხანშიშესული კაცია, მაგრამ მკვრივი აგებულებისა და მხნე. მის მე-ხსიერებას ცოცხლად შემორჩენია თბილისთან და თბილისელებთან და-კავშირებული მოგონებები. ცოტაოდენი ქართულიც ახსოვს.

ვკითხე აქაური ქართველების შესახებ. დამისახელა ყასემ-აბადის რაიონი. იქაური რამდენიმე სოფლის მცხოვრებლები წარმოშობით ქარ-თველები უნდა იყვნენ, რადგან თავიანთ თავს გურჯებს უწოდებენო. ენა დავიწყებული ჰქონიათ, თუმცა რამდენადმე განსხვავებულ წეს-ჩვეულე-ბებს დღემდე მისდევენო. მათ ტანსაცმელს მოხდენილობითა და ლაზათი-ანობით თურმე უმალ გამოარჩევთ სხვა ტომების მცხოვრებთა ჩაცმულო-ბისაგან. ყველაფერ ამას არმენაკი იმით ხსნის, რომ გილანის ეს კუთხე შედარებით განკერძოებული და ძნელად მისადგომი ყოფილა.

სხვაგან კიდევ ხომ არსად გეგულებათ გურჯების შთამომავლები-მე-თქი, არ ვეშვები ა. ლამბარიანს. მთელი ეს მხარე ფეხითა მაჭვს შემოვ-ლილი, მაგრამ არ შემხვედრიანო. მაშასადამე, წაშლილა კვალი, სამუდა-მოდ წაშლილა!

ყასემ-აბადის ნახვაზე სიტყვა რომ ჩამოვუგდეთ, აღა-დანაიმ საათს დახედა — უნდა ვიჩქაროთ, რომ სალამომდე რამსარში ვიყოთო. რა გა-ეწყობა. აქ განქარგულებელი და ბატონ-პატრონი ის არი.

მასპინძლებთან გამოშვიდობება რომ დავაპირეთ, ყოლომ-რეზამ იწყინა.

სტუმრის მიღება ჩვენც ვიცით, თუმცა თქვენებურ მასპინძლობას ვერ გაგიწევთ. ამ ხელოვნებას რომ დაეუფლო, სულ ცოტა კიდევ საში ორთვიანი მივლინება დამჭირდება საქართველოშიო...

საკურორტო ქალაქ რამსარისკენ მიმავალი გზატკეცილი თითქმის ზედ ზღვის სანაპიროს მიჰყება. ხელმარცხნივ დიდი თუ მცირე საზაფ-ხულო კოტეჯები ჩამწკრივებულან, ხელმარჯვნივ კი უსიერი ტყით და-ბურული ლურჯი მთები წამომართულან. მათ ძირში ნაყოფიერი ველი გა-დამლილა სიმინდის, ხორბლისა და ბრინჯის აბიძინებული ყანებით, ციტრუსების პლანტაციებით და ბალ-ბოსტნებით. ასე გვინია, საქართვე-ლოს ზღვისპირეთში ხარ. ამ შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებს თითქმის სულ ჩვენებური ოდა-სახლები, ხის ბოძებზე შემდგარი, მოხარატებულ-მოჩუქურთმებული აიგნებით. გზის პირას გამოსული გოგო-ბიჭები ხი-ლსა და მოხარშულ სიმინდს სთავაზობენ გამვლელ-გამოვლელთ.

რაც უფრო ვუახლოვდებით რამსარს, ხელით დწერილი რეკლამე-

ბიც მატულობს ეზოების წინ. აღა-დანაი ერთერთ რეკლამას გვითარების
სიცილით: „ამცვეყნიური სამოთხე ყოველი ზარმაცისათვის!“.

ერთობები
გვიცილები

რამსარი წმიდად საკურორტო ქალაქია. ზაფხულობით აქ თავს იყ-
რის ირანის მთელი მმართველი ელიტა და არისტოკრატია.

ოჯოოსგზათიანი უშაი

თეირანში კიდევ ერთხელ დავაზუსტეთ შემდგომ მოგზაურობათა
მარშრუტი და გეზი სამხრეთისაკენ ავიღეთ.

მცხუნვარე ხვატით დაშლილი მთები მცოცავ ბარხანებად წამოწო-
ლილან უსიცოცხლო ველებზე. სადღაც ხელმარტენივ ჰორიზონტს კრია-
ლა ხაზები გასდევს. ყუმის ტბააო, გვიხსნის აღა-დანაი, თუმცა შიგ სქე-
ლი მარილიანი წუმპის მეტი არაფერი დგას თურმე.

სალამოს ბინდ-ბუნდში შორიდანვე ვკიდეთ თვალი ყუმის ოქროთი
მოვარაყებულ გუმბათებს. ყუმი, არდებილთან და მეშვედთან ერთად,
ირანელთა ერთერთ წმიდა ქალაქად ითვლება; იქამდეც კი, რომ თუ და-
მნაშავემ ყუმის მეჩეთში შევარდნა მოასწრო, კაცი უბატონოდ ხმას ვერ
გასცემს.

ყუმში, ლეგენდის მიხედვით, მარხია ფატიმა — მუჰამედ წინასწარ-
მეტყველის ქალიშვილი და ალის მეულლე. ფატიმასა და სხვა წმინდანე-
ბის საფლავების თაყვანისაცემად ვრცელი ქვეყნის ყველა კუთხიდან მო-
სული შიიტი მლოცველები სარწმუნობრივ გულმხურვალებას მიწიერ
საქმეებსაც უთავსებენ, ყუმი ამავე დროს მსხვილი საგაჭრო ქალაქია.

ამ წმიდა ქალაქს გარკვეული კულტურული ღვაწლითაც მოაქვს თა-
ვი. აქ არიან დაბადებული, შაგალითად, დიდი აზერბაიჯანელი პოეტი ნი-
ზამი, აგრეთვე ირანელი მემატიანე ჰასან რუმლუ, ავტორი მსოფლიო
ისტორიის ტიპის თხზულებისა — „უმშვენიერესი ისტორიათაგანი“. კა-
რის მემატიანე, რომელიც თან ხლებია შაპ-თამაზს ლაშქრობებში, დაწვ-
რილებით აღწერს მის შემოსევებს საქართველოში, ვითარცა თვალმხილ-
ველი. ამ აღწერილობებიდან ბევრ საინტერესოს ვგებულობთ, მაგალი-
თად, ჩვენი ვარძიის დიდებულებისა და სიმდიდრის შესახებ.

სრული სურათი ვარძიაში გამართული ხოცვა-ელეტისა და ძარცვისა
ისტორიკოსს მოკაზმული აქვს აღმოსავლური მაღალფარდოვნებით. მაგ-
რამ საერთოდ, როგორც მემატიანეს, ფაქტების შერჩევის უნარი და ობი-
ექტურობის გრძნობა არ აკლია. იგი, მაგალითად, ასევე სიტყვებს არ
იშურებს ჩვენი დედაქალაქის საქებრად, ქართველთა გმირობასაც ჯერო-
ვნად მიუზღავს.

ქალაქის ცენტრში, რომელიც აუზებითა და შადრევნებით დაშვე-

ნებულ ფართო მოედან-ბაღს წარმოადგენს, აღმართულა ყუმის ხუთგუმ-
ბათიანი მეჩეთის კომპლექსი. ქვის მაღალი გალავნიდან ამოზრდილი და
ცაში ატყორცნილი ოქროვარაყიანი გუმბათები თვალისმომჭრელად
ელავს. ერთერთი მათგანი, გაღმოცემით, რომელილაც გამაპმადიანებულ
ქართველ მეფეს აუგია, რასაც თითქოს ადასტურებს გუმბათის ყელზე
გაკეთებული წარწერა. ძალით თუ ნებსით გამაპმადიანებული ქართველი
შეფეხები და ტახტის მაძიებლები, როგორც ცნობილია, ყუმის მიწაში იმა-
რხებოდნენ. იქნებ რომელიმე მათგანმა; სამშობლოს წინაშე ჩადენილი
ღალატისა თუ სხვა შეცოდების გამოსასყიდად და სულის გადასარჩენად
აგო ეს მეჩეთი. შემმოწმებელი ვინ არის? ამ სქელ კადლებს იქით, კომ-
პლექსს რომ არტყია, არამაპმადიანი კაცი ფეხს ვერ დააღამს.

ფართო და მაღალ თალებეჭვეშ ზღვა ხალხი ირევა. ზოგი გამოდის,
ზოგი შედის. ელექტრონით გაჩირალდნებულ ეზოშიც ჭედვაა. მოედნიდა-
ნაც კარგად ჩანს მთავარი მეჩეთის მარმარილოს კიბეებზე ამავალ-ჩა-
მომავალი ნაკადი მლოცველებისა.

მოედანზე და გალავნის გასწვრივ, კედლებთან, სოკოებივით ჩარი-
გებულან დუქნები და ფარდულები, რომელთა დაუსრულებელი მწკრი-
ვი, გუმბათის გავლით, ეზოს სიღრმეში იკარგება. ისმის აღმოსავლური
თავშეყრილობისა და აღებ-მიმცემლობის თანმხლები გაბმული ზუზუნი,
ხმაური და ყაყანი. როგორც ჩანს, ყოველივე ამას დიდი ალაპი თავის
მრევლს ცოდვად არ უთვლის.

— აღა-დანაი, — მივმართავ ჩვენს თანამგზავრს, — რა იქნება, რომ
ხალხს შევერიოთ და შიგ შევიდეთ.

— რას ამბობ, აღა! — მან შეშფოთებით მიიხედ-მოიხედა. — ვინ-
მემ რომ შეიტყოს არამაპმადიანი ხარ, თვალდა წელშუა გაგაქრობენ. არც
მე დამაყრიან ხეირს.

მართლაც რომ უსაზღვროა მორწმუნეთა ფანატიზმის ბნელი ანგა-
რიშ-მიუცემლობა. ყოველივე ამის ფასი კარგად იციან ჯეიმს მორიერის
ცნობილი რომანის გმირმა — ისპაპანელმა ყალთაბანდმა ჰაჯი-ბაბამ და
მისმა მოძღვარმა დერგიშმა:

— „ჰაჯი! მე ვიცი, რომ შენ ჭიკვიანი კაცი ხარ და თავს არ იყლავ
ლოცვის ხუთგერ აღსრულების, შეიდი ასოს განბანვისა და რამაზანის
ოცდაცამეტდღიანი მარხვის დაცვისათვის, ისევე როგორც მე. მაგრამ აქ
საჭიროა ცხოვრების წესის შეცვლა. ყუმი ისეთი ქალაქია, სადაც სხვა
არაფერზე მსჯელობენ, გარდა სამოთხისა და ჭოჯოხეთისა, რწმენის დო-
გმებისა და იმისა, თუ ვის ელის პატიება და ვის არა. აქ ყოველი წინას-
გმებისა და იმისა, თუ ვის ელის პატიება და ვის არა. აქ ყოველი წინას-
გმების შთამომავალია ან მოლა; ყველას სახე ჩამოსტირის იმის
წარმეტყველის შთამომავალია ან მოლა; მხიარულებასა და ვარდის-
დასამტკიცებლად, რომ ხორცის არ ალალებს; მხიარულებასა და ვარდის-

ფერ ლოკებს იმათ კუთვნილებად თვლიან, რომელთაც ჯოჯოხეთის ცეც/ხლი ელით. ერთი სიტყვით, ყუმი არის დედაქალაქი ჩვენი საკუთარია ცრურწმენისა და უმეცრებისა“.

წარმომიდგენია რა დღე დაადგებოდა ამ სიტყვების ავტორს, იგი ყუმელ მართლმორწმუნებებს რომ ჩავარდნოდათ ხელთ.

ისპაპანანამდე კიდევ დიდი გზა გვიძევს, ამიტომ აღარ დაგვიყოვნებია. მანქანაში ჩავსხედით და ყარყუმ სიბნელეს შევერიეთ.

ყუმიდან გამოსვლის შემდეგ მხოლოდ ერთხელ შევისვენეთ — დილიგანსში.

თითქოს სადღაც შემხვედრია ასეთი სახელის ქალაქი. ჰო, სომხეთში!

თეირან-ყუმის მეორე გზაზე არის ქალაქი, რომლის სახელიც ყურისათვის თითქოს ასევე ნაცნობია. ზადენ! გახსენდება წარმართული „ლმერთნი ქართლისანი არმაზ და ზადენ“.

უკვე გვიანი ლამეა. გზაზე მანქანები კანტი-კუნტად გვხვდება. უცხო ქვეყნის ღამის იდუმალებას აძლიერებს შეუვალი დუმილი სპარსეთის ზეგნის მთებისა, ტომლებიც აქლემებივით წამოჩილან ირგვლივ. ამ მთებს გაღმა ქერმანი და ირანის შუაზეგნის სხვა ქალაქებია. ვინ იცის, რამდენ საიდუმლოს ითარავს ეს სივრცე, შესასწავლად ქართველი კაცი-სათვის აქამდე მიუწვდომელი. სპარსეთში გადმოსახლებულ ქართველობას ვგულისხმობ, როკა ამას ვლაპარაკობ. საქმე იმაშია, რომ სპარსეთში თავისი მოძმების მოსანისხულებლად წამოსული ქართველი კაცი, ტრადაციულად, პირდაპირ ფერეიდანისაკენ მიეშურებოდა. ალბათ იმიტომ, რომ ქართული მოსახლეობა იქ ყველაზე კომპაქტურად ესახლა. მაგრამ ხომ ისიც ცნობილია, რომ ქართველობა ირანის თითქმის ყველა პროვინციაში იყო მიმაბრეული. განსაკუთრებით განაპირა მხარეებში, საიდანაც ირანს მეზობელი ხალხებისა და ტომების თავდასხმა ელოდა. ისიც ცნობილია, რომ ლაშქარი სახელოვანი გიორგი მეთერთმეტისა, რომლის საგმირო საქმეები თურმე აქამდე ლეგენდასავით ახსოვთ ირანში, ძირითადად ქართველი მეომრებისაგან შესდგებოდა. საზღვრისპირა ზონაში დაბანაკებულ-დაფუძნებული ეს მეომრები ავღანთა და ბელუგთა შეშოტევებს აკავებდნენ.

გადარჩენ კი ქართველ ლეგიონერთა შთამომავლები? ან რა ბედი ეწია სხვა დასახლებებს, მიმოფანტულთ ირანის ვრცელ მიწა-წყალზე?

წარმოუდგენელია ქართველი კაცი, რომელიც გულის სიღრმეში არ ატარებდეს წმიდა ტკივილს იმის გამო, რომ სადღაც, დედა სამშობლოდან ათასობით კილომეტრის იქით განწირულად ფართხალებს და სისხლისაგან იწრიტება ჭერ კიდევ მფეთქავი ცოცხალი ნაწილი ეროვნული სხეულისა. და თვალშეუდგამ წყვდიადში, ისპაპანისაკენ მიმავალ გზაზე, მაგონდება ერთი მრავალნანი კაცის — ლევან გამყრელის ნაამბობი. იგი

ბათუმში დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გამოჩნდა. ჩვენი ცნობილი მწერლის პარმენ ლორიას მეშვეობით გავიცანით. თევზული წლობით სპარსეთში ნაცხოვრები, საკვირველ ამბებს გვიყვებოდა ხოლმე ამ ქვეყნის შესახებ.

ლევან გამყრელიძის თქმით, მას ბევრი ქართველი უნახავს ქ. იეზოში. ორი იქაური ხანი ჩამომავლობით ჯანდიერის გვარისა ყოფილა, საკმაოდ მდიდარი, ხალიჩების ფაბრიკის, ქარავან-სარაიებისა და სავაჭროების მეპატრონენი. საწარმოო საიდუმლოების შენახვის მიზნით, თურმე, მათ ფაბრიკებში მარტოოდენ ქართველები მუშაობდნენ. იეზდელი ქართველები ჩემს ღროს ქალს სპარსელს არ გაატანდნენ.

ლ. გამყრელიძე ირწმუნებოდა, ქართველები ქ. მოსულის სამხრეთითაც სახლობენ და ინდოეთის საზღვარზე — ბალუგისტრანშიო. აქაურ გურჯებს თითქოს ხელნაწერი წიგნებიც ჰქონიათ. რომელთაც „შოთა წიგნებს“ უწოდებენ და ზედ ლოცულობენ. ჩემი თვალით მინახავს მთელი კიდობანი ასეთი წიგნებისა, რომელიც მამასახლისს ებარა.

ვერ მოგახსენებთ, რამდენად სანდოა ეს ცნობები, მაგრამ ლ. გამყრელიძე დარბაისელი კაცი გახლდათ. მისი ნაამბობიდან ზოგიერთი რამ შემდგომში დადასტურდა, კერძოდ ვინმე კახრამ დადიანის მოღვაწეობის შესახებ ირანში...

ჩვენს პირდაპირ განათებული ჰორიზონტის ვიწრო ზოლი თანდათან გაიზარდა და გაჩახჩახდა. გამოჩნდა დიდებული და მრისხანე ისპაპანი, სადაც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე წყლებოდა ჩვენი მრავალტან-ჯული ქვეყნის პოლიტიკური ბედილბალი.

ისპაპანის გული

ისპაპანი ირანის სახელმწიფოს ტოლია — 2.500 წლისა. ამ ხნის მანძილზე სპარსეთმა რამდენიმე სატახტო ქალაქი გამოიცვალა, მაგრამ მათგან მხოლოდ ისპაპანი შერჩენია სეფე-ქალაქის ძველებური ბრწყინვალება.

ირანელის აზრით, ისპაპანი ყველაზე უკეთ განასახიერებდა ამ ქვეყნის სახელსა და ძლევამოსილებას. აქედან გამოთქმა — „ისპაპან-ნესფე ჯაპან“, ე. ი. „ისპაპანი სამყაროს ნახევარია“. ხალხური ეტიმოლოგია ქალაქის სახელს უკავშირებს „ისპაპს“ („მეომარი“).

ისპაპანი სეფიანთა იმპერიის დედაქალაქად აქცია შაჰ-აბას პირველმა 1598 წლიდან, როცა მისი სისხლიანი დიდება უკვე ზენიტისაკენ მიიწევდა. ირანის მპურობელმა მოიწადინა ისპაპანი მსოფლიოს ერთერთ უდიდეს, ულამაზეს და უმდიდრეს ქალაქად ექცია. ამ მხრივ ბევრი რამ

ვაკეთა კიდეც. ქალაქის მოსახლეობა, რომელიც მანამდე 80 ათას კაცს არ აღემატებოდა, სულ რაღაც 15-20 წელიწადში ნახევრზე მილიონზე მდე ასულა. ამ წლებშივე ფართოდ გაშლილა ერთიანი არქიტექტურული ანსამბლების, უნიკალური საერო და სასულიერო ნაგებობების მშენებლობა.

ისპაპანის გული — შეიდან-შაპი დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე და გარკვეული აზრით წარმოადგენს ქვეყნის მხატვრული სახის განსახიერებას. მოედნის სწორკუთხედის ღერძს სამხრეთის მხარეზე აგვირგვინებს შაპის უზარმაზარი მეჩეთი მინარეთებით, ვრცელი 4-აივნიანი შიდა ეზოთი. მეღრესებითა და სხვა შემაღვენელი ნაწილებით. მეჩეთის გუმბათი შიგნიდან და გარედან მოპირკეთებულია ორნამენტებით უხვად მოქარგული, ლაუგარდისფრად მოჭიქული შორენებით.

მოედნის აღმოსავლეთ მხარეს მთელ სიგრძეზე გასდევს ორსართულიანი, არყადებიანი შენობა, რომლის შუაგულში აღმართულია არქიტექტურულად და მხატვრულად არანაკლებ შთაბეჭდავი შეიხ-ლოტფილის მეჩეთი. ორივე მეჩეთის გუმბათთა აკუსტიკური ეფექტები გაოცებთ. საკმარისია ოდნავ წაიჩურჩულოთ, რომ თვალისფრის უხილავი მოწყობილობებით ვიბრირებული ჩქამი ყველამ გაიგონოს.

მოედანს ჩრდილოეთის მხრიდან ჰქონდება არყადებიანი კეიის-არიებაზარი, ქარავან-სარაიებით, დახურული სავაჭრო პასაუებით. ერთი-ან სახურავქვეშ დღემდე მიმდინარეობს ქალაქის გაცხოველებული და ხმაურიანი სავაჭრო და ხელოსნური ცხოვრება.

დასავლეთის მხრიდან მოედანს, რომელიც დღეს მწვანეში ჩაფლულა და შადრევნებიანი ცისფერი აუზებით ლივლივებს, გაღაპურებს შაპ-აბასის სასახლე „ალი-ყაფუ“. მის კომპლექსს იშვიათ სიმსუბუქესა და აუზრულობას ანიჭებს მაღალსუეტებიანი ღია აივანი. „ალი-ყაფუ“ ნიშნავს „ხის დიდ ჭიშკარს“. ასეთ ჭიშკარად იგულისხმება სასახლის შუა, ღია ნაწილი, რომელიც დაყრდნობილია ლიბანის ფიჭვის მაღალ სვეტებზე. მესამე სართულის ასევე ღია მოედანი შედარებით მცირე ზომისა და გვირგვინდება პატარა კოშკით.

სასახლის მთელი სიმდიდრე ამჟამად გადატანილია „შაპ-აბას ოტელის“ ხოლებსა და სეიფებში. ახალგაზრდა სომეხი არქიტექტორის იბრაგიმიანის პროექტით სასტუმროდ გადაკეთებულია ყოფილი უზარმაზარი ქარავან-სარაი. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სასტუმრო წარმოადგენს ირანული სამშენებლო, არქიტექტურული და გამოყენებითი ზელოვნების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების შემოქმედებითი; სინთეზის ნიმუშს, თანამედროვე კომფორტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სასტუმროს ინტერიერების, ხოლების, საბანკეტო დარბაზებისა და

საცხოვრებელი ნომრების გაფორმება უაღრესად მრავალფეროვანია, მაგრამ გემოვნებისა და ზომიერების ფარგლებს არ გადადის. ერთი სიტყვა ვით, საქმარისია კაცმა გულდასმით დათვალიეროს ეს სასტუმრო, რომ სრული წარმოდგენა შექმნას საუკუნეების მანძილზე ირანელი ხალხის მიერ შექმნილ მხატვრულ სიმდიდრესა და ტრადიციებზე.

ძალადობის სული, რომელიც ამ ქალაქზე საუკუნეების მანძილზე ტრიალებდა, გაჰქრა. სამაგიეროდ დარჩა ნაღვაწი ხალხის კეთილი გენი-ისა. ნამდვილი დიდება ისპაპანს მოუპოვეს არა მხედრებმა, არამედ არ-ჟიტექტორებმა, ქვისხუროებმა, ოსტატ-ხელოსნებმა. მათი უბადლო ხელოვნების წმიდად ეროვნული და დომინირებული ელემენტი, ირანის სახელმწიფოს დიდპყრობელური ხასიათის გამო, ბუნებრივია იერთებდა დამონებული ხალხების ხელოვნების მოტივებსაც.

ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოდან და სომხეთიდან აყრილი თითქმის ნახევარმილიონიანი მოსახლეობის ყველაზე მწარმოებლური და ხელოსნური ნაწილი დატოვებულ იქნა იმ ხანებში ინტენსიურად მშენებარე ისპაპანში. მათ თავიანთი ნიჭითა და მარჯვენით დიდი წვლილი აქვთ შეტანილი სპარსეთის სატახტო ქალაქის თითქმის ყველა უმთავრესი ნაგებობის აგება-გამშვენიერებაში. შაპ-აბასის ზეობის ხანაში აგებული ისეთი სასახლეები, როგორიცაა „ალი-ყაფუ“ და „ჩეთელ-სეთუნი“ შემთხვევით არ უნდა ატარებდნენ ტრადიციული სპარსული არქიტექტურისაგან განსხვავებულ და ორიგინალურ იერს.

სპეციალისტები შემთხვევად არ მიიჩნევენ იმასაც, რომ ამ სასახლე-თა კედლების მხატვრობაში ჭარბობს არა ისლამური მისტიკის მოტივები, არამედ აქვეყნიური ხორციელი მშვენიერების განცდა, უპირველესად გადმოცემული ადამიანის სახისა და ტანის ხალისიანად აყვავებულ ფერებში. ალბათ ისტორიული სიმართლის წინაშე შეცოდება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ მშვენიერ ასულთა ცოცხალ მოდელებს წარმოადგენდნენ ქართველი ქალები, რომელთაც, ევროპელ მოგზაურთა თქმით, „სილამაზემ დააფრქვია თავისი სიკეთე უფრო სიუხვით, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ხალხს“ და რომელთა სისხლით ირანელი წარჩინებულები ცდილობდნენ თავიანთი შთამომავლობის გაკეთილშობილებას.

ამ სასახლეების კუთხე-ქონგურებზე სპარსული ასოებით გამოყვანილი, მუსლიმანურ ყაიდაზე ნიველირებული სახელების უკან, ალბათ, ბევრი ქართველი ოსტატი იმალება. უცხოელ მოგზაურებსა და ირანელ ისტორიკოსებს აღნიშნული აქვთ ქართველ მხატვართა იშვიათი ნიჭიერების ამბავი. მათგან გამორჩეულად გამოყოფენ ალი-ყული ჭაბადარსა და სიაოშს.

ჩვენ განზრახული გვქონდა გადაგვეღო „ალი-ყაფუს“ ინტერიერები-

განსაკუთრებით მისი მხატვრობა, მაგრამ ეს არ მოხერხდა სასახლეში
მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების გაშო.

სასახლის პირველი სართულის ტალანებში კი შევაღწიეთ, მაგრამ
ზედა სართულებისაკენ მიმავალ კიბეებზე გზა გადაგვიღობეს შენებლე-
ბმა — მათ მიგვითოთ ყოველ ნაბიჯზე გაჭიმულ თოკებსა და გამაფრთხი-
ლებელ ნიშნებზე. გული დამწყდა, რომ საშუალება არ მომეცა შეხსიე-
რებაში დეტალურად აღმებეჭდა ეს სასახლე, მენახა მისი გადარჩენილი
ფრესკები, რომელთაც ქართველ მხატვართა ფუნქსის ნაკვალევი უნდა
აჩნდეს. გადარჩენილი-მეთქი იმიტომ, რომ როგორც გვითხრეს, ხანგრძ-
ლივი უყურადღებობისა და მიგდების გამო, სასახლის მხატვრობის დიდი
ნაწილი ჩამორეცხილა, ნაწილიც ჩამოცვენილ ბათქაშს ჩამოჰყოლია. თუ
ეს სინამდვილეს შეეფერება, მაშინ განსაკუთრებულ ღირებულებას
იძენს ამ ფრესკების პირები, რომლებიც ოცდათიან წლებში ნატურალუ-
რი ზომით, გუაშით, აკვარელითა და ტემპერით გადაუღია ქართველ მხა-
ტვარ ქალს მატილდა მღებრიშვილს. „ალი-ყაფუს“ სასახლის ფრესკების
ეს პირები ინახება თბილისში, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

მოედან-შაჲს მთლიანად აქვს შენარჩუნებული თავისი ისტორიულ-
სამუზეუმო სახე და თანამედროვე მაჯისცემას დიდად არაფრით ამედავ-
ნებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჭედურობის ოსტატთა ჩაქუჩების
კაჯუნს ბაზრის არკადებს ქვეშ შეყუულ სახელოსნოებში. ამ ხელოსნე-
ბზე მაინცა და მაინც თამამად ვერ იტყვი ოსტატებიაო. მათმა ნახელავმა
— კაცის სიმაღლე ლითონის ვაზებმა, უზომიდ ფართო სინებმა და ჭე-
დურობის სხვა ნაკეთობებმა შეიძლება თქვენი ყურადღება მიიპყროს მო-
ცულობით, თორებ მხატვრული ღირებულების მხრივ მდარე, ერთფე-
როვანი და სტერეოტიპულია... და მთელი ეს ცოდვა იმ დაწყევლილი კა-
ლკის ბრალია. და კიდევ იმისა, რომ ტურისტს პირველ ჩიგში ამ საგანთა
ეგზოტიურობა და სიიაფე აინტერესებს.

(გაგრძელება იქნება)



ეროვნული
გამოცემის
პუბლიცისაჲ

ეკავი შორის

პოეტური სტარტი

სიჭაბუდ და ლექსი ერთია,
ერთ ჩუქურობაში გამოყვანილი.
გიორგი ლეონიძე

ჩვენს წინ დევს ახალგაზრდა პოეტების შოთა ზოიძის, ემენ დავითაძის, ცისანა ანთაძის, ლევან ანანიძის, რევაზ ჩხარტიშვილის, ზაქრო კეკერაძის, რევზ ლორიას, რუსულან მკერავალშვილის ლექსთა კრებულები, რომელებიც შარშინ და წლეულს გამოიცა ბათუმში. მათ ბევრი რამ ანსხვავებს ერთმანეთისაგან, კარგიც და ცუდიც, მაგრამ ამასთან აქვთ საერთო, — ეს გახლავთ ადამიანის ლირსებისადმი პატივისცემის, სამშობლოსადმი წრფელი სიყვარულის გრძნობა, ურომლისოდაც პოეზია არ არსებობს.

წიგნის გამოცემა მკითხველის წინაშე გარკეცული პერიოდის შემოქმედებითი მუშაობის ანგარიშით გამოსვლაა, ამ პერიოდთან ერთგვარი გამოთხვება და ახლის დაწყებაცაა. ამიტომ ავტორები ყოველთვის დიდი სიცორთხილით ეკიდებიან ამ საქმეს. გამოჩენილი ქართველი პოეტი პალლო იაშვილი ისე გამოესალმა წუთისოფელს, რომ, ხანშესულობის მიუხედავად, არც ერთი კრებული თავისი ლექსებისა არ გამოიცია. შესაძლებლობა კი, მოგეცათ ლხენა, იმას ჰქონდა,

— ვინ ეტყოდა უარს, რომელი გამომცემლობა! მაშ რა აკავებდა? — კეშმარიტი შემოქმედის დიდი პასუხისმგებლობა, პოეზიისა და მკითხველისადმი მოყრიბება. ასევე ცნობილია, რომ საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსმა ალექსეი ტოლსტიომ თავის ბირველ წიგნს — ლექსთა კრებულს თვითონვე გადაუღობა გზა მკითხველისაკენ. ეს ლექსები, უურნალ-გაზეთებში რომ იძექდებოდა, ცალცალკე აღბათ აქმაყოფილებდა, მაგრამ ერთად აკინძლული და დასტაბებული არაფრად ეპიტრანგა, მთელი ტირაჟი შეისყიდა და გაანადგურა. რა სიმტკიცე, ნებისყოფა, მომავლისა და საკუთარი თავისადმი რწმენა უნდა ჰქონდეს ადამიანს, მით უმეტეს შემოქმედებით სტარტზე, რომ ასე ულმობლად მოქცეს სიშაბუქის სიმღერებს!

ამგვარი ძალისა და რწმენის სათავე, შემოქმედების უშრეტი წყარო არის სამშობლო, ხოლო წრფელი სიყვარულით შთაგონებული ყოველი პოეტური ქმნილება მის სადიდებლად ანთებული კოცონია. ასეთ კოცონად წარმოგვიდგება ჩვენი ახალგაზრდა ავტორების არაერთი

ლექსი. ნუ ვიტუით, ქვეყანა გადაანა-
ოესო, „მიწის ერთი ნაჭერი“ ხომ გაა-
ნათეს, ვიღაცას, თუნდაც მცირე, სიხა-
რული ხომ მიანიჭეს, და ესეც ეყოფათ
გამოსარჩებად. თითოეული მათგანი
იმსახურებს ცალკე შეფასებასა და და-
ფასებას, მაგარამ ამ წერილის მიზანს ეს
არ შეადგენს. ჩვენ ვინდა მკითხველს
გაუზიაროთ ზოგიერთი მოსახრება ახა-
ლგაზრდების შემოქმედებითი ზრდის ხა-
რევზებზე.

„პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც
ეძლევა მხოლოდ კაცთა რჩეულთა, მაგ-
რამ ამასთანავე ტვირთიც არის... ამ
მადლს, ამ ტვირთს დიდი ძალონე უნ-
და სულისა და ხორცისაო“, ამბობდა
ილი ჭავჭავაძე, და ოვითონვე, მთელი
თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით,
სიტუაცია და საქმით იძლეოდა იმის მა-
გალით თუ როგორ უნდა ემსახუროს
მწერალი ხალხს. ილის „ივერიის“ რე-
დაქციის მუშაკებისათვის ჩერეა მიუ-
ცია, თუ ლექსში შეგვედეთ სიტუაცია:
საგანი, ფიგურა, ვარდი, ბულბული,
მთვარე და სხვა ამისთანები, ბოლომდე
ნუდარ ჩაიკითხავთ, ვერდწე გადააგ-
დეთ, დროს ნუ დაჟარგავთ. ეს ლექსი
კი არ იქნება, არამედ უსაქმო კაცის ნა-
ცოდვილარი, ლექსად ნაჯღანიო (იხ.
ი. მანსვეტაშვილის მოგონებანი, თბ.,
1936 წ. გვ. 101).

ასეთი კრიტერიუმი რომ მოვიმარჯ-
ვოთ, ჩვენი ახალგაზრდა პოეტების ზო-
გიერთი ლექსი გადასაგდები იქნება. მკი-
თხველის ყურადღება რომ არ გადავლა-
ლოთ, მოვიტან ყველაზე უფრო დამა-
ხასიათებელ მაგალითებს: „ახლა ვდგა-
ვარ და მთვარეს გაყურებ, როგორც
ლამაზი ქალის საყურეს“, „ისევ ისეთი
დილა თენდება და მთვარე ისევ ისე
ანათებს“, „და მთვარიანი ღამის სინათ-
ლე დამურტხალი ნუკრის თვალით გვი-
ზებრდა“ (შ. ზოიძე); „ცის ანგელოზო,
მთვარევ, მაღალო“, „ერთად ვიაროთ
მესხეთის მთვარევ“, „მთვარევ ვინ მო-
კვდა უფრო ლამაზად“, „მთვარევ მომე-
ნთე და მომენათე“, „სერი-სერ მდგარი

ედემი, შიგ სტენა ბულბულებისა და მიღწეული
დი და ვარდი, ეკალი ერთიც არ გაუჩი-
ვისა“ (ე. დავითაძე); „მზე თუ ცაზე მე-
ცობს, მთვარემ არ იცის... იმალება
ბნელში მთვარე, თვალი ცის...“, „ზმო-
რებ-ზმორებით ამოგორდა ჩინართან
ბურთისხელა მთვარე“, „მერე, მერეთო,
რას ვეხდავ, იბადრება მთვარე!“,
„მთვარე ელის ვიღაცას“, „საჭის სცილ-
დება მთვარე ულონოდ“ (ც. ანთაძე);
„ბულბული გალობდა ჩემი ტყის მაპ-
ლობლად“, „ცაზე მთვარე მოჩანს ისე
ლამაზად, თითქოს მთაზე გაღმომდგარა
ალაზა“ (რ. ჩხარტიშვილი); „მზის სხი-
ვების სინაზე და ბადრმა მთვარემ მე-
რცხალსავით ფრთების გაშლა მომაწყუ-
როს“, „მდუმარე მთვარე ისე ელვა-
რებს, თითქოს სამოთხის კარი გაიღო“,
„ხარ წყაროსავით ანკარა, სუფთა, გულ-
უხვი როგორც ია-ვარდები“ (ლ. ანანიძე);
„ვიდრე დაწურბლება ვინმე შშობელ
მხარეს, მანამ დაიწურება ჩემი მზე და
მთვარე“ (რ. ლორია); „მთვარის წამწამი
მორცხვად დახრილა“ (რ. მერვალიშვი-
ლი).

ერთობ მოსაწყენი პრეისკურანტია.
გადამეტებული არ იქნება თუ ვიტუით,
რომ მთვარე, რომანტიკული პოეზიის
ეს ძირითადი ობიექტი, ასე არავის „უწ-
ვალებია“ დღემდე. იგი უკვე დალაშე-
რა აღმიანმა და რაღა დროს ანგელოზი
და საყურეა, რაღა დროს ნუკრის თვა-
ლი და ბურთია! მთვარეზე კოსმონავტე-
ბის ასვლამ შეცვალა პოეტების დამკი-
დებულება არა მარტო დედამიწის უახ-
ლესი თანამგზავრისადმი, არამედ საერ-
თოდ სამყაროსადმი, მოიტანა ახალი სა-
ხეებს, ახალი პოეზია, რომელმაც მოი-
ოხვავა ახალი ფორმა.

ც. ანთაძემ („მთვარე საღური გახდა
ხომალდის“) და ლ. ანანიძემ („...მომწ-
ურდა, რომ ვიყო იგი, ყველაზე ადრე
ვინც მთვარეზე ფეხს დაბიჯებს“) ვაკ-
ვრით აღნიშნეს აღმიანის გენის გამა-
რჩვება კოსმოსში, რასაც აქვს არა მარ-
ტო მეცნიერული, არამედ სოციალურ-
პოლიტიკური და იდეოლოგიური ასპე-

ქტი. თუ მხელეელობაში არ მივიღებთ ამ ორი ავტორის ზემოთ მოტანილ სტრიქონებს, არც ერთი ლექსითა კრებული ოდნავადაც არ მიგავაიშნებს ამ- უადად მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას, რომელიც უჩვეულო ძალითა და მასშტაბით იქცევს თავის ორ- ბიტაში ადამიანის საწარმოო, საყოფაც- ხოვრებო და მთელი სულიერი ცხოვრე- ბის ძირითად სფეროებს.

ამ დიდი გარდატეხის მთახლოებას ზოგიერთი მწერალი აღრევე გრძნობდა. მათ შორის შეიძლება დავისახელოთ „უკანასკნელი პოეტი სოფლისა“ სერგეი ესენინი. იგი წერდა: „კაცობრიობა დე- დამიწიდან ხმას მიაწვდეს არა მარტო მახლობელ პლანეტებს, არამედ მთელ თვალშეუდგამ სამყაროს... ჩვენი დღეე- ბის ქარიშხალმა დედამიწისეული მოქ- რაობიდან კოსმოსურისავენ უნდა გაგ- ვაქანოსონ.“ ამ სიტყვების ავტორს, რომ- ლის გარდაცვალებიდან თითქმის ნახევა- რი საუკუნე გავიდა, ერყობა, რომ იყო ციოლკოვსკის თანამდროვე. სამწუხა- როდ ზოგი ჩვენი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებას ეს დღესაც არ ატყვია. მისი ლექსი კოსმოსური ფრენის ეპოქა- ში ისე გამოიყურება, როგორც ზამთა- რში, მდინარის პირას ცალ ფეხს მდგო- მი ყანჩა, საცოდავად მობუზული ფრინ- ველი, რომელსაც მხოლოდ ცალი ფეხი აკავშირებს დედამიწათან, ფრთები კი თითქოს არც ჰქონია და არასდროს არ განუცდია სილალე, სიმაღლის დაპყრო- ბის სიხარული. ასეთი ლექსის ლირი- კული გმირის ინტელექტუალური რე- სურსები ერთობ შეზღუდულია, არ ეს- მის ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი მოვლენების არსი და მასშტაბები.

ამბობენ, პოეტს ცველაფერი ეხებათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოე- ტმა ცველაფერზე წეროს, უნდა შენიშ- ნოს, იგრძნოს და განიცალოს საზოგა- დოებრივი ყოფის ძირითადი პროცესე- ბი. ამისათვის საჭიროა ცხოვრების შუა- გულში ყოფნა. მარტო ნიშით, თუნდაც ხალასი ნიჭით ძნელია გადალახო სუ-

ლიერი და ცხოვრებისეული გამოცდი- ლების უქონლობა. მთავარი ის არის გამოცდილი უთხრა მეოთხველს? ხალ- კი მასთან ახლოს — პლანტაციაში თუ სალექციონ დარბაზში, ქარხანაში თუ სა- მეცნიერო ლბბორატორიაში? ან იქნებ შენთვის ხარ ჩაეტილი და ლექსებს ლოცვად აღავლენ!

ერთგვარი შეზღუდულობა, ტელი ფრები და სახეები მეტანულებად ივ- რბნობა თითქმის ცველა კრებულში. ცვე- ლაზე მეტ გაოცებას მაინც ის იწვევს, რომ ლექსებში კვლავ შემოძყავთ... უზე- ნასია. ჩვეულებრივ საუბარში იტყვიან ხოლმე „ლმერთმა ქნას“, „ალაპმა უწ- ყის“ და სხვ., მაგრამ სულ სხვაა რო- ცა პოეტი ამზობს:

გმადლობთ!

ჩემი სოფლის მადლო,
გაფოთლილი ვაზის ლერწო,
შენ თუ არა, ღმერთს სიცოცხლე
როგორ უნდა შევეხვეწო?
მაღლობა შენ არაერთი,
ბარე ათი, ბარე ოცი,
დედაენავ, ჩემო ღმერთო,
ღმერთის ენით დასალოცო.

ნუთუ შ. ზოიძემ მშობლიური ენისა- დმი თავისი უსაზღვრო სიყვარულის გა- მოსახატავად ღმერთის მეტი სხვა ცერა- ფერი მოაშველია. საუკუნეების წინათაც ასე იმოწვებდნენ ზეციერს. ჩვენს დრო- ში ეს ნამდვილი ანაქრონიზმია.

პოეტის თეოსოფიური გადახვევები კიდევ უფრო შორს მიდის: „გაგიგირ- დება ახლა ღმერთმანი, არ გაიკვირვო, ეთერ! არ გაყყრება, არა, ერთძანეთს ხა- ტი, რჯული და ღმერთი“.

არც ც. ანთაძე აკლებს მამაუფალს ყურადღებას. იგი ფრესკული პიჭით დგას, ურითმო ლექსით მავედრებელი:

პოი, ზენაო, ნუ მომაკლებ
ბეღნიერებას,
შენ დაზილოცე ჩემი შეილები,
დედაშვილობის ქვეყნად გამჩენო.
ან კიდევ:
...და ავიყვანე პატარა პირმშო,
ცას შევავეღრე ჩემი სათქმელით.

არც სხვები არიან მთლად „უღმერ-
თონი“: „მონაზონივით მოიწყინა ცამ,
ღვთისმოშიშმა“, „შენ ერთხელ სიცოცხ-
ლეს სანთელი აუნთ და ქეგლად დაგი-
დგა მან ხატი ღვთისმობლის“, „ლექსს
ძალა ვინ მისცა წმინდანთა დიდების“
(ჟ. დავითაძე); „უშენობა ამაშორის
ღმერთმა“ (ლ. ანანიძე), „შენ ხარ ჩემი
მნათი, სალოცავი წმინდა“ (ზ. კეჭერ-
აძე). ბოლოს, ალბათ, ვინე იმსაც იტე-
ვის — „იყავნ ნება ღმრთისა!“.

აი რა ხდება — ზოგჯერ იმას, რაც
წინა კარებიდან გაგდებულია, უკანა კა-
რებს ულებენ.

ამას წინათ ერთმა დამსახურებულშია
პიროვნებამ გულისტყივილი გამოთქვა
იმის გამო, რომ მის შეილიშვილებს
ხანდისხან უკვი შეაქვთ ღმერთის არასე-
ბობაში და საბუთად მოაქვთ ზოგი პო-
ეტის ლექსები, რომლებშიც ანგელოზე-
ბი, ღვთისმობელი და თვით მაცხოვა-
რი არხეინად გრძნობენ თავს. ეს საკუ-
ლური სამართლიანია. პოეზიას ხომ შე-
მცნებით და ესთეტიკურ ლირებულე-
ბასთან ერთად იდეურ-აღმზრდელობითი
მნიშვნელობა აქვს. ჩვენს ესთეტიკურ
იდეალს წარმოადგენს პიროვნების, მთე-
ლი ხალხის სრულყოფილი, პარმონიუ-
ლი განვითარება და თანდათან, კომუ-
ნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე ეს
იდეალი ნორმის, მიბაძვის ნიმუშად იქ-
ცვა. სწორედ ამიტომ უწოდებდა
მ. გორკი ესთეტიკის მომავლის ეთიკას.

გვეტყვიან — რასაც პოეტები ღმერთს
უხმობენ, მორწმუნის ღმერთი ხომ არ
არისო. მართალია, მატერიალისტმა სპი-
ნოზამაც მოიშველია სიტყვა „ღმერთი“,
მაგრამ სინამდვილეში ეს იყო განთვენი-
ლი სუბსტანცია — ბუნება, რომელსაც
მან ღმერთი უწოდა. ჩვენ შორსა ვართ
იმ აზრისაგან, რომ რომელიმე პოეტი
ღვთისმოსავად დავსახოო. მაშ რით
უჩსნათ ეს თეოსოფიური გადახვევები?
მსოფლიო პოეზიამ საუკუნეების მანძი-
ლზე შექმნა ღმერთის, უზენაესის ცნე-
ბასთან დაკავშირებული უამრავი მხატ-
ვრული სახე. ამ ათასჯერ განმეორებულ,

გაცვეთილ სახეებს დღესაც იყენებს
ზოგიერთი პოეტი. ნაცვლად იმისა, რო-
მაც ახალ დროს, ახალ თემებს შეუწყოს
ახალი სალებაგვები, ახალი ფერები, მი-
მართავს ტრადიციულ პოეტურ შაბ-
ლონს, რაც გაუშაფავ მკითხველს, მეტ-
წილად — მოზარდებს ხშირად აბნევს
ხოლო.

„სიძველისადმი გრძნობა, პატივი“ ხა-
ნდისხნ ერთობ შახინჯ. სახეს იღებს
ჩვენი პოეტების იმ ლექსებში, რომლე-
ბიც საქართველოს წარსულს, ისტორი-
ულ პირებსა და ქეგლებს ეხება. ისეთ
შთაბეჭდილებას ქმნიან, რომ თითქოს
ჩვენს ერს ყველაფერი ნამყოში ჰქონ-
დეს და ეს იყოს მთვლი ჩვენი არსების
სული და გული. აი, როგორ გამოხა-
ტავს ამ გრძნობას რესულან მკერვალი-
შვილი.

შენა ხარ ჩემი გერგეთი,
შენა ხარ ჩემი გეგუთი,
საბას-გრეგის ტაძარო,
შენ ჩემი გული გვაუთვნის.
შენა ხარ ჩემი სიონი,
მიძნაძორი და ხახული, —
მამულის გულის გულში ხარ
სათუთად შემონახული.
შენა ხარ ჩემი სამება,
შენა ხარ ჩემი თელეთი, —
ჩემი ქართული სამყაროს
უძირო ზღვა და ხმელეთი.

წარსულის დიდებულ ძეგლებს არას-
დროს არ ჰყოლია უფრო სამედრო პატ-
რონი და დამუსახებელი, ვიდრე ახლა
ჰყავს. ამშიც ჩანს ჩვენ აწმყოს სიდი-
ადე. თუ გარეგის ტაძარი „ქართული
სამყაროს“ ზღვა და ხმელია და პოეტის
გული მას ეკუთვნის, რაღა დარჩენაა
აწმყოში მომხიბლავი და საამაყო! თვით
შვილისადმი მიძღვნილ ლექსშიც ეს გა-
მოსცევის: „ციხე-ტაძრებით, მაღლ
კოშკებით გაგილამაზდეს საწუთრო შეი-
ლო“.

ბუნებამ ნუ ქნას, რომ მარტო ციხე-
კოშკები და ტაძრები ალპაზებდეს ჩვე-
ნი შვილების საწუთროებას, რომ მათი

მარჯვენის, გულისა და გონების ნამო-
ლვაწარი არ ამჟენებდეს დღევანდელო-
ბასა და მომავალს.

სამშობლოს სიყვარული ლოცვა-ვე-
დრებაში კი არა, მოქმედებაში, საქმე-
ში ვლინდება. ამ საღ გრძნობას სარე-
ცხიო კრებულების ავტორები ხში-
რად ქველი მასალითა და ქველი საშუა-
ლებებით გამოხატვენ, დრომოჭმულ
ფორმებს იყენებენ, ნაცვლად იმისა, რომ
ახალი ეძიონ, პოვზია გამდიდრონ ახა-
ლი ფერებითა და სახეებით.

ზოგს ისე წარმოუდგენია, რომ პატრი-
ოტული ლირიკა საზოგადოებრივ ყოფა-
ში მომხდარი ცვლილებების, ჩვეოლუ-
ციური გარდავქნების მიღმა, ვითომ ეს
კეთილშობილური გრძნობაც და მასზე
აღმოცენებული პოეზიაც იზოლირებუ-
ლია მიმდინარე პროცესებისაგან და
მხოლოდ წინაპრებთან კავშირის საშუა-
ლებას წარმოადგენს. ამ შეხელულების
მცდარობას მტკიცება არ უნდა. ლიტე-
რატურა ყოველთვის იყო საზოგადოებ-
რივი ყოფიერების ამსახველი და მისი
არცერთი უარი ამ მხრივ გამონაკ-
ლისს არ შეადგენს. „ადამიანობის კომე-
დიის“ წინასიტყვაობაში ბალზაკმა ალ-
ნიშნა, რომ ის თავის თავს თვლის სა-
ფრანგეთის საზოგადოების მდივნად;
რომ ის ადგენდა მანკიერებისა და სათ-
ნოების ნუსხას, აგროვებდა ენებათა
ჯამოვლინების უმნიშვნელოვანებს შემთ-
ხვევებს და ქმნიდა ტიპებს მრავალრიც-
ხოვანი ერთგვაროვანი ხასიათების ცალ-
კეული ნიშანთვისებების შეკრების
გზით. დიდი ადამიანების მაგალითი ყო-
ველთვის მისაბაძია; დაძაბული შრომა
და სინამდვილის ლრმა ცოდნა მართებს
როგორც პროზაიკოსს, ისე პოეტს, რომ
მისი ნაწარმოების ლირიკული გმირი
იყოს ახალი საზოგადოების სისხლი
სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი
ყველა თვეითი ადამიანური ვნებებით.
ამ თვალსაზრისით თუ მივუღებით
(სხვანაირად არც შეიძლება). სარეცხი-
ო კრებულებში მოთავსებულ საკმა-
ოდ ბევრ ლექსს დაპრავს ზერელობის

დაღი. სანიმუშოდ განვიხილოთ შ. ზორ-
ძის ერთ-ერთი ლექსი, რომლის საჭაულ-
რით „ათასი ზარი“ მონათლულია მთე-
ლი კრებული. ეს ლექსი არც პატარაა,
მაგრამ იძულებული ვართ მთლიანად
მოვიტანოთ.

ჩამოჰკრეს ზარებს სამცხეს და
კლდეკარს,

ჩამოჰკრეს ზარებს,
ზარებს რეკავლენენ.

ეს უეცარი ზარი და რეკვა.

მაღალ მწვერვალებს ხელში ეკავა.
სულგანა ბული უსმენდა მგზავრი,
იცინოდა თუ ტიროდა ზარი...
განათდა გზები, გზები ოუ გზანი,
ვაიმე მართლა ტიროდა ზარი.
ტიროდა ზარი სამცხეს და

კლდეკარს,
და განა მარტო სამცხეს და
კლდეკარს?

ნიხანი რეკდა,
გნონა რეკდა,
ბანა რეკდა და შატბერდი რეკდა.
დარუბანდს, თბილის, მცხეთას,
შაქმართან,

უველა ვარდთან და უველა

ეკალთან, —

უველა გვიხმობდა, ვისაც ხმა

ჰქონდა,

ვისაც ხმა ჰქონდა, უველა რეკავდა.
უველა მმა თავის მოძრეს ეძახდა,
შეილებს ეძახდა დედამთავარი,
უველა ხატთან და უველა ვენახთან,
უველა მწვერვალთან იღგა თამარი.
თამარის მიწა უზანდათ ვერცხლად,
ხელვდა მგზავრი — რეკავდა
ზარზგა...

ცა დაბანელა ომების ცეცხლმა
და განათა ქართულმა აზრმა.

როცა მმის ღმერთს ღედო
ზღვარი,

თამარის ღროშა მარჯვედ გვეკავა,
ირეკებოდა ათასი ზარი,
მამულში დედოზარი რეკავდა.

ამ ლექსის სათაურის გამოტანა წივ-
ნის გარეკანზე, მის მაღალ შეფასებას

უნდა ნიშნავდეს და ამიტომ კრიტერიუმიც მაღლი უნდა მიგუვენოთ.

პოეზიაში და საერთოდ ხელოვნებაში ერთობ უსიმო გრძნობას ბადებს ყოველგვარი გადამლაშება და ხშირად იმის საწინააღმდეგო აღქმას იძლევა, რაც ავტორს ჰქონდა გაზრდული. ასეა აქაც — აძღვი „ჩამოჰკრეს“, „რეკავდნენ“, „რეკაა“, „რეკრენ“, მთელი ეს გამაყრულებელი ხმაური და ოურაური სრულიადაც არ არის დამახასიათებელი იმ ხალხისთვის, რომლის წარსულის ქება-დიდება გულით სწადია პოეტს. თუ ყველა სარეკალზე იყო ჩამოჰდებული, ვინდა იღებდა იარაღს? მერჩე ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ თამარ მეფის დროს ფეოდალური საქართველო თავის ზენიტზე იყო, სხვა სახელმწიფოებს სცემდა შიშის ზარს და მაშინ მტრის შემოსევა ამდენ ალიაქოთსა და შეოთხ არ გამოიწვევდა.

გადამლაშებულია თამარ-მეფის შეფასებაც — „ყველა ხატოან და ყველა ვენახთან, ვველა მწვერვალთან იღგა თმარი“. პიროვნების როლის გაზიადება ყოველთვის ნიშავს ხალხის ამაგის დამიტირებას. ამ მტრივ გარტო ამ ლექში კი არა, სხვაგანაც სცოდავს შ. ზოიძე. კრებულის 32-ე გვერბზე უსათაურო ლექში პოეტი უხმობს თამარს და ლაშას, „ჩალისფერ დროშის უძლიველ ლაშარს“ და უნდა მითხველი დაარწმუნოს, რომ „თამარდედის სახელი ახლაც მამულის არის ძალონე“. 7

თამარ მეფეს არც ე. დავითაძე აკლებს ქება-დიდებას. ერთგან იგი ამბობს: „დროშა თამარის, ბრძოლაში მანათობელი მზესავით“. პიროვნების ამგვარი გალმერობა არ უშესვის ისტორიაში საკმაოდ ჩახდულ ახალგაზრდებს, რომლებმაც კარგად იციან, რომ ღმერთებს და კრებებს არასდროს არ დაუყრიათ ხეირი ხალხისათვის.

აჭარაში თამარ მეფეს ბევრ რამეს მიაწერენ. არაერთ ძეგლს ჰქვია მისი სახელი. ალბათ ამის გავლენაც იგრძნობა

ლექსებში. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს სხვა კუთხეებში უფრო მეტი ხორბა გაისმის და ზოგან კურიოზულ შემთხვევებსაც ვხვდებით. 1912 წელს 3. გელეოშვილს ხევსურეთის ერთ-ერთ სოფელში ატამი მიართვეს. ასე გემრიელი ნაყოფი ნეტავი რაჭიშისაა, იყითხა სტუმარია. მასპინძლებმა უყოყმანოდ მიუგეს — თამარის ატამია, აქ ერთხელ თამარ მეფეს გაუკლია, ატამი მიურომევაა, კურკა გადაუგდა და აი აქიდან ეს ხე აღმოცენებულაო. თამარ მეფისა და სხვა ისტორიული პიროვნებების შედარება მნათობებთან დღეს ისეთსავე ღიმილს იწვევს, როგორც იმ გადაგდებული კურჯის ამბავი.

საქართველოს არცერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია არ გაუკლია ისე სრულად და ხანდაზმულად, როგორც ფეოდალიზმი. ამიტომაც აქამდე პირობითად მაიც შემოგვრჩა ფეოდალური სამთავროების მიწნები... ტერიტორიულად ხელისგულის ოდენა საქართველოს ერთი კუთხის შეილი სიყვარულს ეფიცება მეორე კუთხეს და არწმუნებს, „ჩემი სისხლი და ხორცი“ ხარ. მხედველობაში გვაქვს ც. ანთაძის ლექსი „აჭარას“, რომელიც ასე იწევბა: „მე შევიყვარ შენი მამული, შენი ეზო და შენი კერია“. გეგონებათ, ცხრამთისა და ცხრა ზღვის იქითა სამეფოდან ახალი აბო ეწვია ამ მხარეს და შეეთვისა და შეესისხლორცა მას. ვანგარტებას მოითხოვს მამულის ცნებაც. ამ კონტექტში იგი საშობლოს ნეშნავს და არა უძრავ ქონებას, მიწაწყალს, რომელიც ვისიმე საკუთრებას შეაღებს და მემკვიდრეობით გადაცემა მამიდან შეილს. ეს. მამული-საშობლო ერთიანია, მთლიანია და მისი დანაწევრება ცალცალკე მამულებად ლექსიც კი უსიმოა. ლურუ მეგრელმა ჭირ კადევ როდის თვეა, ყველა კუთხე ჩემი საშობლოა, საყვარელი საქართველოო.

კვლავაც ვიმეორებთ: სარეცენზიონ კრებულების ავტორთა სიყვარული სამ-

შობლისადმი უტყუარია, გულწრფელია, მაგრამ ეს სიყვარული, პატრიოტიზმი ყოველთვის როდის საქმიანი, პრაქტიკული: ხან მთვარის ჩრდილშია, ხან ღმერთს შეეფარების, ხანაც სამეფო მანტია ფარავს, და როცა დღევანდელობის სინათლეზე გამოდის, ერთობ უსახოა. მაგალითად ჩ. ჩხარტიშვილი სამშობლოს ცას ასე მიმართავს: „ჩემო გუმბათო, ჩემო ფუძევ და დედამიწავ!“; ლ. ანაიძე — „ჩვენი სამშობლო ახლა ზღაპრული ბალივით ბრწყინავს“, „შვილთავან ახალ საგმირო საქმეებს ელის მაშული“. ამ სტრიქონებს პოეზიასთან ისევე აქვთ საურთო, როგორც ყველაფერს ყველაფერთან.

ვისაც თუნდაც ერთი ღმე უთეობებია სამშობლოს ბეღზე ფიქრში, კარგად დაკვირვებია ჩვენი მრავალტანჯული ხალხის ისტორიას და გონებით განუსაყია წარსულის მზარე გამოყილება, იგი არ შეიძლება პატივს არ სცემდეს მომე საბჭოთა ერების დიად კავშირს, ადამიანთა ისტორიულ ერთიანობას, კეთილ ურთიერთობასა და თანამშორმლობას. ქართული მშერლობა ყოველთვის შთაგონებული იყო ხალხთა მეგობრობის იდეით და მის ფესვებს საუკუნეების სიღრმეში პოულობდა. პირველი სიტყვა თვით რუსთველმა თქვა: „მათ აკოცს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაპრიდეს“. შემდგომ ეს გრძნობა სულ უზრო ღვივდებოდა და ჩვენს დროში მან საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცავ, ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული წინავლის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. რარივ დასანაია, რომ ამ მოვლენამ შესაფერი ასახვა ვერ პოვა ჩვენი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი იმ ლექსთა კრებულებში, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს დიად საიუბილეო წელს გამოიცა. იმ ამიტომ აკლია მათ პატიოტულ მოტივებს მასშტაბურობა, სიმაღლე, სილალე.

კითხულობთ ზოგიერთ წიგნს და ისე-

თი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ მისი უტირი საქართველოს ფარგლებს გამგებია რეთ ვერაფერს ხედავს, აქ იწყება და აქვთ თავდება მისთვის მთელი სამყარო. ალბათ ამითაც აიბსნება სარეცენზიო კრებულების თემატური შეზღუდულობა.

განსაკუთრებით მივაღევნეთ თვალყური ზაქრო კეცერაძის ლექსებს, რომლებიც ჩვენი სამშობლოს უკიდურეს სამხრეთში, საბჭოთა სახელმწიფოს საზღვართან იშვნენ. ზაქროს და მის ამხანაგებს მასწავლებელი სკოლის ფანჯრიდან უჩვენებდა სასაზღვრო ზონას და უსნიდა, რომ იმის იქით სხვა ქვეყანაა, სულ სხვა სამყაროა, ძალადობაზე და ძარცვა-გლეჭაზე დამყარებული სამყარო, რომ იმის იქით მიტაცებული ქართული მიწებია და ასეულ ათასობით თანამემამულე... და მაიცნ მოახერხა პოეტმა, რომ ამაზე კრინტი არ დაეძრა, მკითხველი-სათვის დაემალა თავისი ადგილსამყოფელი, ორი სამყაროს მიჯნაზე შობილი სულიერი განცდები.

ზ. კეცერაძე ამთავითვე ყალიბდება ეგრეთ წოდებული „შუა ადგილის“ პოეტია, რომელიც ფილოსოფიურ ჰერეტიკა და უწყინარ თემებს აჩხევს, მწვავე განცდებს ერიდება, ცხოვრების კიდეში ჩალიჩობს და იქ ექებს მეორე-მესამე ხარისხოვან მასალებს.

იმპერიალიზმის იდეოლოგები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ახალგაზრდობა ჩამოაშორონ აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას; ოლონდ პოლიტიკას არ გაეკარონ და რაც უნდათ ის აკეთონ: იცეკვონ რკან-რკლი, გაერთონ სპორტით, სიყვარულით, ეწვიონ ღამის კლუბებს, სკონ, თუნდაც იჩხუბონ... აქედან იღებს სათავეს თვითნებობა, ძალადობა, უკანონობა, ადამიანის მორალის სრული დაცემა. ჩვენი იდეოლოგია კი ემსახურება ახალგაზრდობის პოლიტიკურ გათვითცნობიერებასა და კომუნისტური მორალის სულისევთებით აღზრდას, მის ფართოდ ჩამას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრება-

ში. ამდენად საფუძველი გამოცლილი აქვს ყოველგვარ ინდიფერენტიზმს, ფუჭ ჭვრეტას, მიწიერი საზრუნავიდან ყურადღების გადატანას ზეცისაკენ, თანაბედროვეობიდან — წარსულისაკენ.

ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობა ყოველთვის იყო ცხოვრების შუაგულში და გამოიჩინდა ჟაბუკური შემართებით, შეუპოვრობით, შინაგანი ცეცხლით, რომელიც ათბობს და ასხივოსნებს ადამიანის გულსა და გონებას, აღნითებს მას დიდი საქმეებისათვის. უკანასკნელ წლებში მწერლობაში მოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომლის განათლება, პოეტური კულტურა გვაძლევს შეფასების

საზომის გადიდების საკმაოდ მკვიდრ საფუძველს. სამწუხაროდ, ჩვენშიც გერმანული კიდევ არ არის შექმნილი მაღალი გრძელების, დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის ატმოსფერო. ასეთ ვითარებაში ზოგიერთ ახალგაზრდას ამთავითვე, სტარტიდანვე შეექმნა ყალბი წარმოდგენა, რომ იგი მხოლოდ უნდა აქონ, ადიდონ, და ამით საკუთარი ხარვეზები გადააქცია ზურგზე მოკიდებულ გუდად, რომელსაც ვერ ხედავს. ეს გუდა უნდა ჩამოვხსნათ, რომ მისი სიმძიმის ქვეშ კაბუკი სული არ მოიხაროს, არ მოიკავოს, არ დაბერდეს.



იოსებ გაერიშვილი

ანრი გარგიშვილი — საგვარეულოს დიდი მეგოგარი

ფრანგი ხალხის სახელოვანი შვილი, ანტიფაშისტი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანრი ბარბიუსი 1927 წლის სექტემბერში ეჭვია საბჭოთა კავშირს, ოქტომბერში კი აჭარაში ჩამოვიდა. მაშინ დიდ სიძნელებს განიცდიდა ჩვენი ქვეყანა, ჯერ კიდევ ნაკლები იყო სკოლები, კლუბები, სასსრების უქონლობის გამო ნელა ვითარდებოდა აჭარის მრეწველობა, მაგრამ მეგობრის ოვალმა დაინახა მთავარი, რაც ძირფესვიანად ცვლიდა ძველს, ამსხერევდა დრომოქმულს, ძალმომრეობით დაკანონებულს; დაინახა ის ძვრები, რომელსაც განათლება, კულტურა, საამური ცხოვრება მოჰქონდა ხეობებში მშრომელებისათვის.

უადგილო არ იქნება გავიხსე-

ნოთ, რომ ბარბიუსმა ადრე დაიწყო უურნალისტობა და სამწერლო მოღვაწეობა. 1916 წელს გამოაქვეყნა რომანი „ცეცხლი“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო, ომის საწინააღმდეგო ნაწარმოებია მსოფლიო ლიტერატურაში. 1919 წელს მკითხველებს, მიწოდა კიდევ ერთი ამგვარი წიგნი „სიცხადე“. ცნობილია, რომ ორივე მათგანს მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი.

ბარბიუსი იმთავითვე გაბედულად ჩადგა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამცველთა აიგებში. 1919 წელს მან ფრანგი ქომუნისტების გაზეთ „იუმანიტეში“ გამოაქვეყნა სტატია „ჩვენ ბრალს გდებთ“, რომლითაც საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოიტანა სოციალური პროგრესის

მტრები, ისინი ვინც გაჰყვიროდნენ რუსეთის რესპუბლიკის დამხმაბას.

მწერლის მეგობრისა და თანამებრძოლის ანეტა ვიდალის ცნობით 1927 წელს ბარბიუსი ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთვის ზემში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს მოსკოვში. მწერალმა ისარგებლა ამ შემთხვევით და გადაწყვიტა შეესწავლა სხვადასხვა ერების თანაარსებობა ერთ ქვეყანაში. მცირე ერებისა და ეთნიური ერთეულების ბეჭდი სოციალისტურ სახელმწიფოში. ამიტომ იყო, რომ სამოგზაუროდ კავკასია აირჩია. აქეთკენ იმიტომაც გამოსწია, რომ სურდა საკადრისი პასუხი გაეცა საბჭოთა კავშირისა და, კერძოდ, საქართველოს მტრებისათვის. იმსანად კი ბურუუაზიული პრესა, ემიგრანტი ქართველი მენშევიკების გაზეთები ყველა საშუალებით გაჰყიოდნენ, რომ ქართველი ხალხი მშეირი იხოცება, ჩაკვდა მრეწველობა და სხვ. ბარბიუსმა მიზნად დაისახა პირადად გაცნობოდა საბჭოთა საქართველოს და ლახვარი ჩაეცა ცილისმწამებლებისათვის. საამისოდ გადაწყვიტა ეჩვენებია ამიერკავკასიელი ხალხების მდგომარეობა ცარიზმის დროს, მენშევიკებისა და სხვათა ხელში, ის სიახლენი და გარდაქმნები, რომლებიც ახალ ხელისუფლებს თან მოჰყვნენ, როგორც თანამგზავრები.

1927 წლის 7 ოქტომბერს ბა-

რბიუსი უკვე თბილისში დააბიჯებდა. მას ახლდა მწერალ ალექსანდრე ნდრე დიუმას (შვილი) შვილიშვილი სიმონა დიუმა.

— მე ჩამოვედი თქვენთან როგორც გულწრფელი მეგობარი, კომუნისტი. მსურს ნათლად დავრწმუნდე, როგორ შენდება სოციალიზმი თავისუფალი შრომის პირველ ქვეყანაში, რომ პასუხი გავცე ცილისმწამებლებს, რომლებიც გაჰყვირიან თითქოს საქართველო დღესაც ოკუპირებულია. მე ვეტყვი მათ: „აი, ვიყავი საქართველოში, საკუთარი თვალით ვნახე ყოველივე და გეუბნებით — თქვენ სტყუით!“, განაცხადა ძვირფასმა სტუმარმა.

საქართველომ აღაფრთვანა ბარბიუსი. იგი მოხიბლა მისმა ისტორიამ, ბუნებამ, მცხოვრებლებმა, საბჭოთა ხელისუფლების სიკეთემ, აღამიანთა ძმობა-მეგობრობამ, მათმა ენთუზიაზმა. აი ამიტომ იყო, რომ იგი გაცილებით მეტ ხანს დარჩა საქართველოში, ვიღრე ვარაუდობდა.

მწერალმა სიამოვნებით მოიარა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, კერძოდ, მესხეთი და აჭარა, გაეცნ ადამიანებს, დაათვალიერა ისტორიული აღგილები, მატერიალური კულტურის ძეგლები, ესაუბრა გლეხებს.

ანრი ბარბიუსი განაცვილება ჩვენი მხარის წარსულმა, მის მცხოვრებთა თავდადებულმა ბრძოლამ, თანამემამულებთან

შეერთების დიდმა სწრაფვამ, იმ მაგისცემამ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას, ბრძნულ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას გამოეწვია.

ძვირფასი სტუმარი ერთნაირი ხალისით გაეცნო ხულოს სამაზრო საავადმყოფოს, ტაბახმელის ხე-ტყის სახერხ ქარხანას, გაიარა ახლადგაყვანილ გზებსა და ხიდებზე, მოინახულა აგრეთვე ქოხ-სამკითხველოები, სკოლები. მართალია, ისინი პატარა შენობებში გაეხსნათ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ხომ საერთოდ არ არსებობდნენ!

ბარბიუსი მდინარე აჭარის-წყალს დაჲყვა და გზად გაეცნო ყველა სიახლეს, კერძოდ, ორი წლის წინამ აგებულ რკინაბერონის ხიდებს შუახევსა და ქედაში, აჭარის პირველი პიდროველე-ქტროსადგურის მშენებლობას მახუნცეთში, რომელსაც საძირკველი 1924 წლის ივნისში ჩაუყარეს. სადგურის მშენებლობის ვეტერანები იგონებენ, რომ ბარბიუსი განციფრებული იყო სხვადასხვა ეროვნების მუშების მეგობრობით. მათი თავდადებული შრომით. არავინ არ წუწუნებდა სიძნელეების გამო, ყველას ჯეროდა, ხვალინდელი ღლე უფრო ბედნიერი იქნებაო.

უფრო მეტი წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ბარბიუსზე ზღვისპირა აჭარამ, ქალაქმა ბათუმმა. მას აოცებდა სხვადასხვა ერების წარმომადგენელთა თანას-

წორუფლებიანი შრომა, უაღრე-სად მეგობრული დამოკიდებულება.

1927 წლის ოქტომბერში ჩვენს ქალაქში მუშაობდა აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია. მწერალმა მისალმებით მიმართა სესიის მონაწილეებს და მათი სახით აჭარის ყველა მშრომელს. აი ეს მისალმებაც: „ყველგან ვნახე ახალი აღმშენებლობანი, წამოწყებები ხალხის კეთილდღეობისათვის. ყველგან, ქალაქად თუ სოფლად ვნახე საავადმყოფოები, სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, ქოხ-სამკითხველოები, ელსადგურები, ხე-ტყის დასამუშავებელი ქარხნები, ხიდები. ყველგან ვნახე თავდადებული მუშაობა სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად“!

ბარბიუსმა ისე შეიყვარა ჩვენი მხარე, რომ განთიადისას დგებოდა და ფეხითა თუ ავტომანქანით ეცნობოდა ყველს და ყველაფერს. განსაკუთრებით მიზიდა იგი ჩაის პლანტაციებმა და ციტრუსოვანთა ბალებმა, მასინჯაურმა, ბოტანიკურმა ბალმა, ზღვამ, ჩვენმა ქალაქმა. სტუმარი იყო აგრეთვე ნავთობგადასასამუშავებელი ქარხნის მშენებლობაზე, რომელიც ახლად დაეწყოთ.

ბათუმიდან იგი თბილის გაემგზავრა. აქ მას თხოვეს გამოეთ-

1 გაზ. „ფუხარა“, 1927 წ., 18 აგვისტო.

ქვა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. ბარბიუსს ბევრი აღარ უფიქრია, სიხარულით განაცხადა: „ყოველ გულწრფელ ადამიანს დღევანდელი საქართველოს გაცნობის შემდეგ არ შეუძლია არ აღიაროს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველო ჩაუკიდა ისეთ მდგომარეობაში, რომლის მსგავსი არ ახსოვს მის ხანგრძლივ ისტორიას...“

გადაჭრით ვადასტურებ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა სავსებით შეეფერება ყველა ეროვნების მოსახლეობის და, პირველ რიგში, გლეხობის მისწრაფებასა და სურვილებს. ეროვნული პოლიტიკის წარმართვა და ეროვნული კულტურის განვითარება იმ ფორმით, რომლითაც იგი რომელი და ამჟამად, არათუ არ აბრკოლებს ქვეყნის სამეურნეო განვითარებას, არამედ, პირიქით ხელს უწყობს ქვეყნის სამეურნეო წინსვლის, რადგან ასეთი პოლიტიკის წყალობით იქმნება ერთი მთლიანი პოლიტიკური ოჯახი, რომლის წევრები გამსჭვალული არიან თანამშრომლობის წრფელი მისწრაფებით“.

საბჭოთა საქართველოს მიღწევები იმდენად დიდია, ამბობდა ფრანგი ხალხის სახელოვანი შვილი, რომ ერთ საუბარში, სტატიაში მათი ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. განზრახული მაქვს საფრანგეთში ღაბრუნებისთანავე დაწწერო ნარკვევების წიგნი

თქვენს მშვენიერ ქვეყანაზე, ყველას გავაგებინო, რომ ქართველები დიდსულოვანი ადამიანები არიან, მათ აქვთ მდიდარი წარსული, განვითარებული კულტურა და ნათელი მომავალი.

სამშობლოში დაბრუნებული ბარბიუსი პარიზის გარეუბან მიარაღები დაბინავდა და შეუდგა დანაპირების შესრულებას. 1928 წლის მაისისათვის მან უკვე დასრულა ნარკვევების კრებული „აი, რა უყვეს საქართველოს“. მაგრამ არ იყო კმაყოფილი და 26 ივნისს მოსკოვში დაბრუნდა. გადაწყვიტა, წიგნში შეეტანა ახალი სტატიისტიკური მონაცემები, დაეზუსტებინა ზოგიერთი საკითხი. მწერალი მ. გორკის მშობლიურ ქალაქში მიწვიეს, სადაც ავად გახდა და სამკურნალოდ ყირიმს ჩამოვიდა. ვიდალის ცნობით, 1928 წლის ივლისში ბარბიუსი გაგრაშიც ისვენებდა.² აյ მას დაუწერია არაერთი სტატია, რომელიც შეიტანა წიგნში „რუსეთი“. იგი 1930 წელს გამოქვეყნდა.

1928 წლის 29 ივლისს გაზეთ „იზვესტიაში“ დაიბეჭდა ბარბიუსის წერილი „საბჭოთა საქართველო და ამიერკავკასია“. მასში სხვათა შორის ნათქვამია: „ქართველები ნამდვილად ლამაზები

2 ეს და სხვა საინტერესო ცნობა მოგვაძვს წიგნიდან: A. ვიდალ, ანri ბარბიუს—солдат мира, M., 1962 გ.

არიან, კიდევ უფრო ლამაზები არიან ქართველი მამაკაცები”.

გამოჯანსალების შემდეგ მწერალი პარიზს დაბრუნდა და თქვა: მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ყველაფერი, რასაც ბურუუაზიული პრესა და მენშევიკების გაზეთები ავრცელებენ საქართველოს შესახებ, ცილისწამებაა. მე ადგილზე დაკრმუნდი, რომ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლები მეგობრულად ცხოვრობენ, მათ შორის კავშირი სულ უფრო ძლიერდება, ნაციონალური პოლიტიკა სრულად აქმაყოფილებს მათ მოთხოვნებს, საქართველოს ზღაპრული მომავალი აქვსო.

1929 წლის ოქტემბერის გამოცემლობა „ფლამარიონმა“ გამოაქვეყნა მისი წიგნი „აი, რა უყვეს საქართველოს“, რომელიც შედგება ხუთი თავისაგან: „კავკასიური სალამობი“, „დილა“, „ის, რაც მოხდა“, „მიღწევები“, „ეროვნება და თავისუფლება“.

მწერალი მკითხველებს მოუთხრობს ქართველი ხალხის წარსულზე, მოსახლეობის მძიმე ხელზე ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის დროს. ბარბიუსი სამართლიანად წერს, მენშევიკების პოლიტიკა ინტრიგებისა და ოპორტუნისტული დათმობების პოლიტიკა იყო, ხალისით ჟვება სოციალიზმის გრანდიოზულ სამუშაოებსა და ეროვნული პოლიტიკის სწორად გადაწყვეტა-

ზე, რამაც დამეგობრა ხალხის მები.

ახლა კონკრეტულად გავეცნოთ ბარბიუსის ცნობებს აჭარის შესახებ. „კავკასიურ სალამოებში“ აის ქვესათაური „ბათუმი“, რომელშიც მწერალი ჩვენს მხარეს რიციერას დარჩებს. მაგრამ „ახლო წარსულში აქ დიდი გაჭირვება და უბედურება მეფობდა, თანაც განუწყვეტელი ომები წარმოებდა... აჭარისტანი ნამდვილად რომ ვთქვათ, ერთი დიდი ქვაბი იყო, სადაც ეროვნული და სარწმუნოებრივი შუღლი სდულდა, არღა კი აქ ჟოველ ას კაცში 61 ქართველია, 11 სომეხი, რვა ბერძენი და 3 ებრაელი.“³ ყველა ისინი მეგობრულად ცხოვრობენ და შრომობენო.

მეფის რეჟიმის დროს ბათუმში იყო „შვიდი სასწავლებელი, აჭარის სოფლებში კი — არც ერთი“. აქ მრავლად იყვნენ ძმათა-მკლელი ომების მოყვარულები. „საქმაო იყო რამდენიმე წელი მსოფლიო ომისა, რათა ეს ქვეყანა ისე განადგურებულიყო, რომ კეთილგონიერ აღამიანს ეს განადგურება საბოლოო პენებოდა, თუმცა აქაურ გლეხს რაღა ზედმეტი შევიწროება ესაჭიროებოდა... აჭარელი გლეხი ერთი უბატორუკი და ღატაკი ვინმე იყო“ (იქვე, გვ. 36).

შემდეგ ნათქვამია, რომ ზოგი ბოროტება ოფიციალურად კიდე-

3 ა. ბარბიუსი, „აი რა უყვეს საქართველოს“, თბ., 1930 წ., გვ. 34.

ჭაც აიკრძალა, მაგრამ გლეხს
ამით მაინც არა შემატებია რა
პედკრულ აჭარისტანში, რადგან
აქ „ერთი ეროვნებისა და სარწ-
მუნოების ხალხს მეორის წინააღ-
მდეგ ამხედრებდნენ“. აქ მოსახ-
ლეობა გაცილებით მეტ ჩაგვრას
განიცდიდა, ვიდრე სხვაგან, მას
„უფლება ჰქონდა მხოლოდ გასა-
მართლებული ყოფილიყო“, მათ
„ისე ეპყრობოდნენ, როგორც
დამარცხებულთ“, უფრო უარეს
პირობებში უხდებოდათ ცხოვრე-
ბა მუსლიმანებსო. (გვ. 75).

შიგნის მეორე თავშიც, რომე-
ლსაც „დილა“ ჰქვია, არის ქვე-
სათაური ისევ „ბათუმის“ სახელ-
წოდებით. მასში აღწერს იმას,
რაც აჭარაში საბჭოთა ხელისუფ-
ლების წლებში გაკეთდა. ლაპა-
რაკობს მწვანეთი შემოსილ ფერ-
დობებზე, სადაც ჩაი დაურგავთ.
„ომის წინა ღროსთან შედარებით
ჩაის პლანტაციის ფართობი გა-
დიდდა ოთხჯერ. ციტრუსებისა —
ოცჯერ, თამბაქოსა და ხილის ბა-
ლებისა — 12-ჯერ“ (გვ. 55). ჭაო-
ბების დაშრობის შემდეგ ამ
მხრივ უფრო მეტის გაკე-
თება დაუსახავთ მაშინ.

ბათუმში რეინიგზითა თუ სა-
დენით ჩამოაქვთ აზერბაიჯანის
ნავთობი და აქედან გააქვთ მსო-
ფლიონ ბაზარზე, რასაც დიდი
მნიშვნელობა აქვს მთელი კავში-
რისათვის. ამიტომაა, რომ აქ აგე-
ბენ ნავთობის საწმენდ უზარმა-
ზარ ქარხანას. ასე რომ, ბათუმი
ნავთის საგუბარიაო. ბარბიუსი

აქვე შენიშნავს, რომ „მთელი
აჭარისტანის სკოლებში 12 ათასი
ბავშვი სწავლობს, რომლის 30
პროცენტს გოგონები შეადგენენ,
რაც უველაზე უფრო განსაკუიფ-
რებელია“, რადგან აქაურებს ქა-
ლიშვილები არც თუ ისე ახარე-
ბთო. ამით მწერალს იმის თქმა
სურს, რომ ახალმა ღროებამ ჩა-
მორჩენილ აღამიანთა შეგნებაც
კი სულ მაღლე გარდაქმნა, გოგო-
ნებიც შეაყვარა მათ.

ჩვენს მხარეს ბარბიუსი ეხება
მომდევნო თავშიც, რომელსაც
„მილწევები“ შეარქვა. სამი წლის
განმავლობაში აჭარაში აიგო ათი
ხიდი, გაიყვანეს სამანქანე გზა 90
კილომეტრზე. მწერალი უფრო
დაწვრილებით ჩერდება ხულოზე.
„გუშინწინ იქ აჭარელ გლეხს გა-
მწარებული ცხოვრება ჰქონდა.
დაბა ტყეებითაა გარშემორტყმუ-
ლი. ჰოდა ერთ-ერთმა მუშაქმა,
რომელსაც იქაურობის გამოცოც-
ხლება ხვდა წილად, მიამბო რო-
გორ შეუდგა საქმეს ადგილობრი-
ვი მრეწველობისათვის საძირკვ-
ლის გასასკვნელად, ტყის ექს-
პლოატაციის საქმეს. „ჩვენში
ტყეები საჭიროზე უფრო მეტია.
გვაქვს გასასყიდიც. გამოირკვა,
რომ ჩვენებული ხე-ტყე ჩინებუ-
ლი ლირსებისაა, სწორედ ისეთი,
როგორსაც მუსიკალური იარაღე-
ბის გასაკეთებლად ხმარობენ. წინ-
ათ ამგვარ ხეს არავითარ ყურადღე-
ბას არ აქცევდნენ. და აი სამი
წლის წინათ საქმეს შევუდექით
და ახლა 200.000 კუბური მეტრი

ხე-ტყე გაგვაქვს უცხოეთში, გარდა იმისა, რაც აღგილობრივ გვესაჭიროებაო”, უთქვაშს ხულოელს მწერლისათვის.

საამისოდ გაუყვანიათ გზები, აუგიათ ხიდები, გაუმართავთ სამი მექანიკური სახერხავი. ყველა ამას, პარტია ახალ სამყაროდ ოვლის ბარბიუსი და ამბობს, რომ „ამჟამად გლეხი კმაყოფილია და კარგად იცის ხისა და ტყის ღირსება-დაზოგვა“ (გვ. 179), მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია, მომავალში უფრო მეტია გასაკეთებელიო. ბარბიუსი გმობს საქართველოს ე.წ. დამოუკიდებელ და პარიტეტულ კომიტეტებს, რომლებსაც ხალხის მტრები ანდრონიკა-შვილი და ნოე ხომერიკი ხელმძღვანელობდნენ. ემიგრანტი ქართველი მენშევიკებისა და იმპერიალისტების დახმარებით 1924 წლის აგვისტოში ამ ავანტიურის-

ტებმა აჯანყება მოაწყვეს, რომელიც „რამდენიმე შეტაკებით გვა-მოიხატა ორი თუ სამი ღლის გან-მავლობაში“ (გვ. 124). აჭარაში მაშინ უბრალო გამოსვლაც კი არ მომხდარა, პირიქით, „1500 უპარ-ტიომ წინაღადება შეიტანა აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგვიშვი-თო“ და მართლაც დაეხმარენ გურიის მშრომელებს.

ბარბიუსის წიგნმა „აი რა უყვეს საქართველოს“ ლაპვარი ჩას-ცა ევროპელ და ამერიკელ ცი-ლისმწამებლებს, ჩამოაგლიჭა მათ ნიღაბი. ამიტომ იყო, რომ წიგნსა და მის ავტორს ჭორები დააყა-რეს, ხუთწლედი ოცნებად დარჩე-ბა, ყველაფერი ეს უონგლიორო-ბააო. მაგრამ საბჭოთა წყობილე-ბამ თავისი გაიტანა და ყველა და-არწმუნა, რომ ბარბიუსმა მხო-ლოდ სინამდვილე აღწერა.

გალაკტიონის პირველი წიგნი

მოხარული ვიყავ და მოხარული
ვიქნები,
როცა მესმის, რომ გახსოვთ
ჩემი ძველი წიგნები.

გალაკტიონ თაგიძე

გალაკტიონის შემოქმედებითი ცხოვრება სათუთი ძაფებითაა დაკავშირებული ქუთაისთან. აქ გაშალა მან თავისი პოეტური აღმაფრენის ფრთები, მიიღო პირველი ლიტერატურული ნათლობა და თამამად გამოვიდა ახალი პოეზიის ფართო შარაგზაზე. გალაკტიონის სადებიუტო ლექსი იყო „პირველი მაისი“, რომელიც მან წაიკითხა მოსწავლეთა არალეგალურ კრებაზე ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევთა შორის. აქედან დაწყებული მისი პოეტური ბიოგრაფია ღრმად განიმსჭვალა რევოლუციური პათოსით, შავი რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით.

ახალგაზრდა პოეტის ლექსი შთაგონებული იყო ღრმა ოპტიმიზმით. იგი გამოთქვამდა რწმენას, რომ „დრო მოვა და ისევე პროლეტარიატი მაისის ვარდებით სიცოცხლეს აივსებს“.

გალაკტიონ ტაბიძის, როგორც პოეტისა და მოქალაქის, მსოფლი

შეგნებაში ვერც პესიმისტურმა განწყობილებამ და ვერც სიმბოლისტურმა თვალსაზრისმა ვერ ჩაკლა ის მებრძოლი ხმა, რომლითაც იგი ნათელ მომავალს უმღეროდა. მებრძოლი, მხნე, ოპტიმისტური განწყობილება არ ღომინანტობდა პოეტის შემოქმედებაში, მაგრამ მაინც პერსპექტიული იყო. იგი ქართული კლასიკური ლიტერატურის რეალისტურ ტრადიციებს ემყარებოდა და ცხოვრების რევოლუციური განვითარების გზებს ემთხვევოდა.

ჯერ კიდევ 1912 წელს თბილისში გამოვიდა სალიტერატურო კრებული „გრდემლის“ სახელწოდებით, სადაც ვასილ ბარნოვის, სანდრო შანშიაშვილის, უიარალოს, იროდიონ ევდოშვილის, ისაებ გრიშაშვილის, ეკატერინე გაბაშვილის და სხვათა ნაწარმოებებს შორის იყო ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „დახუჭული თვალები“.

რეაქციის წყვდიაღმა ვერ ჩაა-

ქრო პოეტის რევოლუციური ოპტიმიზმი. იგი იმედით შეჰყურებდა ხალხის ბრძოლას და სჯეროდა მისი გამარჯვება. გალაკტიონი მტკიცებ იდგა იქ, სადაც ახალი ცხოვრების გრიგალები ჰქონდა. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ქუთაისმა, მღელვარე და რევოლუციური ცხოვრების ქალაქმა. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ქუთაისში 1914 წელს გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების პირველი წიგნი.

წიგნში შესულმა ლირიკულმა შედევრებმა („მე და ღამე“, „განახლდა გული“, „გურიის მთები“ და სხვ.) საყოველთაო აღიარება და პოპულარობა მოიპოვეს. მათ ერთბაშად დაფუძვიდრეს გალაკტიონს ნიჭიერი პოეტის სახელი.

ამ წიგნში რეალისტური ლექსების, ნათელი რევოლუციური ლექსიკის გვერდით რომანტიკულ - სიმბოლისტური პოეტიკის სალაროდან ამოღებულ ლექსიკასაც დიდი ადგილი უჭირავს. მაგრამ აქ არა მარტო პოეტურ ლექსიკაშია საჭმე, არამედ იმ გარკვეულ იდეურ პოზიციაში, რომლითაც ის ასე უშუალოდ ეხმაურებოდა სიმბოლისტურ მიმართულებას, — მიუთითებს კრიტიკოსი სერგი ჭილაძა.

ავილოთ თუნდაც მისი ცნობილი ლექსი „მე და ღამე“. იგი პოეტმა თვისი შემოქმედების პირველ პერიოდში დაწერა, მასში ერთი შეხედვით იგრძნობა გ. ტა-

ბიძის სულიერი მოღლილობა დაქანცულობა, მოღუნება, ქვეყნის ნიდან განდგომისა და სიმარტოვისკენ ლტოლვა. ყოველივე ეს დამახასიათებელი და ნიშანდობლივი იყო სიმბოლიზმისათვის. ამ ლექსში ნათლად ჩანს სიმბოლისტური სკოლის გავლენა. იბადება კითხვა — რამ მისცა ბიძგი ამ ნაწარმოების შექმნისათვის პოეტს? რა უდევს საფუძვლად მას? — ამ კითხვების პასუხად საგულისხმო ცნობებს გვაწვდის პროფესორი აკაკი თოფურია.

აი რა თქვა ამის შესახებ გ. ტაბიძემ 1956 წლის 20 აპრილს სტალინის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას. მოგვაქვს სტენოგრაფიული ჩანაწერი. „ეს იყო ახალგაზრდობის წლებში. ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ერთი ჩვენა ახლო მეგობარი რევოლუციონერი იჯდა. მე და ჩემს ამხანაგს დავალებული გვქონდა, მიგველო მისგან საიდუმლო ნიშანი. წინასწარ გაფრთხილებული ვიყავით, რომ ის ციხის ზედა საკანიდან ქუჩისაკენ, სადაც ჩვენ უნდა ვყოფილიყავით, პურის ცომისაგან მოზელილ გუნდას გადმოაგდებდა, რომელშიც პატარა წერილი უნდა ყოფილიყო მოთავსებული. და აი, ერთ საღამოეამს დავიწყეთ სეირნობა ციხის ირგვლივ, დათქმულ ქუჩაზე. დიდხანს მოგვიხდა სიარული და ლოდინი. ეტყობოდა, ხელსაყრელ დროს ეძე-

ბდა. ბოლოს ჩემთან ახლოს დაეცა პურის გუნდა. მაგრამ იქვე, ჩემნდა შეუმჩნევლად, ძალი ყოფილიყო და უცებ ეცა მას. მეც ელვისებური სისწრაფით ვერ ძალს და სანამ პირში ჩაიგდებდა პურის გუნდას, კბილებიდან გამოგლიჭე. უმაღლ გავხლიჩე. შივ მართლაც ბარათი იდო, რომელშიც ეწერა: „იარაღი შემოგვინახეთ“. ეს მე საიდუმლოდ შევინახე. აი ამ ამბავმა მომცა ბიძგი დამეწერა „მე და ლამე“.

ეს რეალური ამბავი, — განაგრძობს პროფესორი აკაკი თოფურია, — რაც შთაგონებად დასდებია „მე და ლამეს“ შექმნას, სულ სხვანაირ იდეურ განათებას აძლევს ლექსს, სულ სხვანაირ მნიშვნელობას ანიჭებს მას. განდობილი საიდუმლოების შენახვით გამოწვეული სუბიექტური განწყობილება, განცდა აქ იძენს ზოგად ფუნქციას და ფართო მოქალაქეობრივ უფლებებს.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების პირველ წიგნში გამოხატულია იმ დროის სოციალური უკუმართობით გამოწვეული სევდა, თვითონ პოეტსაც ადვილად ეუფლება ამ ქვეყნისაგან გაქცევის დღუნება და ეძებს ახალ, სრულ-ყოფილ სიცოცხლეს, მაგრამ იგი თანდათან რწმუნდება, რომ ეს არის განუხორციელებელი ოცნება, რომ მისთვის „მარტოდენ

უდაბნო მთელი სოფელი“. ამ ხანებში გალაკტიონის შთაგონება თანდათან ექცევა პირად, ინტიმურ გრძნობათა რკალში, იგი საკუთარი „გულის სიღრმეში“ იწყებს „რამე ნათელის“ ხილვას.

პოეტს მობეზრდა მყუდროება და უსიხარულო ცხოვრება. მას წყურია ბრძოლა. მას უნდა იყოს ქმედითი, „გაარკვიოს გასავლელი გზის სივრცე უცვლელი“, მაგრამ გზაზე შავი ბურუსი დგას, შავი ყორანიც ისევ დასჩხავის დაუშენს მთრთოლვარე გულში უიმედობის ისრებს.

ღრმა ფილოსოფიური აზრია გატარებული გალაკტიონ ტაბიძის პირველ წიგნში მოთავსებულ ლირიკულ ლექსში „მესაფლავე“. აქ წამოყენებულია საკითხი თავდავიწყებული სიყვარულის წარმავლობის შესახებ: „განისვენეთ, განისვენეთ, დავიწყებულ არსთა ძვლებო, თქვენს ყოფაში მე ბევრი მაქვს მწუხარე უამს საოცნებო“.

თავის პირველ წიგნში პოეტი მიმართავდა კლასიკური ლექსის თითქმის ყველა ზომას — ხუთ, რვა, ათ, თოთხმეტ და თექვსმეტ მარცვლიან მეტრებს ქალური და დატერილური რითმებით. წერდა ვაჟური რითმებითაც.

გალაკტიონის პირველი წიგნი ორგანული ნაწილია იმ დიდი სულიერი მემკვიდრეობისა, რომელიც მრავალმხრივ ამდიდრებს

ქართული პოეზიის ოქროს რა ბინა მთაწმინდის სავანეშვილი
ფონდს.

დღეს, როცა გალაკტიონი აღარ სიყვარულით ვიხსენებთ მის პირ-
არის ჩვენთან, ფიზიკურად დაგვ- ველ წიგნს, რომელმაც ჯერ კიდევ
ახალგაზრდა პოეტი დიდების შა-
რავანდელით შემოსა.

გაზეთ „ფუხარას“ წინამორგედნი და აჭარის საპატიო ხელოვნება

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გაჩაღებული მშენებლობა ნათელ ასახვას პოულობდა ჩვენი პრესის ფურცლებზე. საბჭოთა გაზეთები იყვნენ და არიან არამარტო დიადი გარდაქმნებისა და წინსვლის ამსახველი, არამედ თვით გვევლინებიან პარტიის მებრძოლ მექავშირედ და მის მთავარ იდეულ იარაღად ბრძოლის ყოველ ეტაპზე.

ამ მხრივ გამონაკლისს არც ბათუმის გაზეთები წარმოადგენენ. 1921 წლის 19 მარტს დაარსდა გაზეთი „უწყებები“. ეს იყო ბათუმის პირველი ლეგალური ქართული საბჭოთა გაზეთი. „უწყებები“ იმთავითვე იქცა აჭარის, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ — აჭარისტანის, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების გარდაქმნისათვის მებრძოლ ორგანოდ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი აჭარის კულტურულ ფრონტზე. გამარჯვებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ აჭარაში სავალალო მემკვიდრეო-

ბა მიიღო; შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად მუსლიმანურმა ფანატიზმმა მაინც მძიმე დაღი დასვა აჭარლებს. მინარეთებზე ყვავებივით შემომსხდარი მოლების ყივილი ისმოდა. ბათუმში არსებობდა კულტურული ცხოვრების ისეთი კერები, როგორიცაა ოპერა, თეატრი, მაგრამ ისინი ხალხის სამსახურისაგან შორს იდგნენ.

ამ მდგომარეობას იმთავითვე მიაქციეს ყურადღება „უწყებებმა“ (1921 წ. 19 მარტიდან 1922 წ. 1 ივნისამდე) და „პროლეტარულმა ბრძოლამ“ (1922 წ. 1 ივნისიდან 1923 წ. აპრილის დასაწყისამდე, გაზეთის დახურვამდე). შემდგომ ეს საქმე მხრებზე იღო საოლქო გაზეთმა „ფუხარამ“ (1924 წ. 18 მარტიდან 1929 წ. 17 მარტამდე).

„ფუხარას“ წინამორგედების — „უწყებებისა“ და „პროლეტარული ბრძოლის“ ფურცლებზე ხელოვნების შესახებ გამოქვეყნებული სტატიები, კორესპონდენციები თუ შენიშვნები იმდროინდელი აჭარის კულტურული

ცხოვრების სარკეა, სადაც დაკვირვებული თვალი უთუოდ დანახავს საბჭოური ხელოვნების ჩასახვისა და განვითარების ნათელ სურათს.

ხელოვნება აჭარაში ხალხის ნამდვილ სამსახურში ჩადგა 1921 წლიდან. სწორედ ამიტომ ვამოვყავით და ცალკე მსჯელობის საგნად გავიხადეთ საკითხი თუ რას აკეთებდნენ გაზეთები „უწყებები“ და „პროლეტარული ბრძოლა“ საბჭოური ხელოვნების განვითარებისათვის. თვითონ ახალბედა გაზეთები ახალ გზაზე შემდგარ ხელოვნებას მხარში ედგნენ და ეხმარებოდნენ.

„უწყებების“ მეცხრე ნომერში ერთი ახალი განცოფილება გაჩნდა. ესაა „თეატრი და ხელოვნება“. შემდგომ თითქმის მიელი თავისი არსებობის მანერის გვევდება იგი გაზუთში. ამ განცოფილებაში იბეჭდებოდა მასალები უმეტესად ბათუმის თეატრალურ ცხოვრებაზე. გაზეთის ყურადღების ცენტრში ძირითადად იდგა ბათუმის ქართული თეატრი. ორტომ მაინც და მაინც თეატრი იქცა „უწყებების“ თავდაპირველი მსჯელობის საგნად? — ბათუმში ხელოვნების სხვა დარგები თითქმის არც არსებობდა. ძველი ცხოვრებიდან ახალმა სცენამ ერთგვარი მემკვიდრეობა მიიღო და ამდენად უფრო ადრე განვითარდა თეატრი.

მეთორმეტე ნომერში გაზეთი აცხადებს, რომ ბათუმის რევუ-

მის განკარგულებით ჩამოყალიბდა „ქართული სახელმწიფო დრამა, რომელიც დაიწყებს ქართული გენების მართვას მესამე საბჭოთა თეატრში“. შემდეგ გაზეთი ასახელებს დასის შემაღებელობას. როგორც ირკვევა, დასში შედიოდნენ ქალები: მარო მდივანი, ნატო ჯავახიშვილი, ოლღა ლოლობერიძე, ვერა მარგველაშვილი, ელენე იანქოშვილი, ეკატერინე რუხაძე, ნ. ნარეკიძე, ალ. გარნელი, ვ. მოისწრაფიშვილი, სვ. გელოვანი, ელენე ხონელი; ვაჟები: დ. აბდუშელი, გ. აფხაძე, ივ. ბარველი, ალ. ბეჟუაშვილი, გერ. ქუპრაშვილი, გ. მაღალაშვილი, დავ. მგალობლიშვილი, დ. ძეელაძე, ალ. ყალაბეგაშვილი, კირ. მაჭარაძე, გიორგი ნუცუბიძე, შ. ლამბაშიძე, ი. ჭიჭინაძე, ალ. დგებუაძე, ვ. ურუშაძე. რეჟისორებად დაუნიშნავთ ივ. ბარველი და ალ. გუგუშვილი. დასს ჰყოლია ხუთი კაცისაგან შემდგარი საბჭო. გაზეთი მკითხველს უწყებს, რომ თეატრის რეპერტუარში გათვალისწინებულია „უან და მადლენა“, „გუშინდელნი“, „№ 21 ჯვრით“ და „ხანუმა“.

ცოტა მოგვიანებით კი ცხადდება, რომ შმაევსკის თეატრში შექმნილია რუსული საოპერო დასი. გაზეთი აქვე შენიშნავს, რომ ურიკო არ იქნება დასმა თავის რეპერტუარში ქართული ოპერები შეიტანოს. „რაც შეეხება საოპერო კლავირებს, — წერს გაზეთი, — შეიძლება ჩამო-

ტანილ იქნას თბილისიდან. თუნდაც გერ-გერობით დაიდგას ნაკლებ რთული ქართული ოპერები, როგორიცაა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დ. არაყიშვილისა, „ქრისტინე“ რ. გოგნიაშვილისა. გარდა ამისა, გაზეთი შესაძლებლად თვლის ქართული „სამუსიკო საღამოების“ მოწყობას, საღაცდასის მონაწილენი იმღერებენ ქართულ რომანებს.

როგორც ვხედავთ, გაზეთი იმთავითვე გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს ოპერას, რაც სავსებით მართებულად უნდა ჩაითვალოს.

„უწყებების“ როლი სათეატრო ცხოვრების წინსვლაში ძირითადად გამოიხატება იმ რეცენზიებითა და კრიტიკული გამოსვლებით, რომლებსაც ბეჭდავდა ყოველი ახალი სპექტაკლის შემდეგ. მაგრამ „უწყებებში“ გამოკვეყნებული რეცენზიები მკითხველისათვის შთაბეჭდილების გაზიარებას უფრო ჰგავს, ვიდრე სათეატრო წარმოდგენის განხილვას. ავტორები უფრო ხშირად როლებისა და შემსრულებლების ჩამოთვლითა და მათი ნაწილობრივი შეფასებით კმაყოფილდებიან. არის შემთხვევები, როცა გაზეთი უბრალოდ, ინფორმაციით ეხება ამ საკითხს და სპექტაკლის ღირსებასა თუ ნაკლზე გარკვევით არაფერს ამბობს.

ბათუმის საზოგადოებას გულთბილად მიულია პირველი ქართული სპექტაკლები. ალ. ცაგარელის პიესას „ხანუმა“ განსაკუ-

თრებული წარმატება მოუპოვეული ბია. არც სხვა სპექტაკლებს ჰკლებიათ პატივი; „მუდამ გაჭე-დილი ქართული სახელმწიფო დრამის თეატრი და ის საერთო ყურადღება, რომელსაც იჩენს ქართული საზოგადოება ახლა, როდესაც მას სტუმარს — მასპინძლურათ ფართოდ გაუღეს ჩვენი თეატრის კარები — გვაჩვენებს, თუ რა ძლიერ სწყურია ქართველობას მხატვრული შთაბეჭდილებანი. მსახიობები ამბობენ, რომ ახალი მაყურებლის მახვილმა ყურადღებამ შემატა მათ ახალი ძალა შემოქმედებით მუშაობაში, ვხედავთ ახალს მოვლენებს, მყარდება მაყურებლის და მსახიობების ერთობა, რომლისგანაც წარმოდგება ჭეშმარიტი და რეალური ხელოვნება“...!

იმ ხანებში ბათუმის ქართული თეატრი დგამს სიო კანტრურიშვილის „ბურუსს“. წარმატებით ხორციელდება აგრეთვე შალვა დადიანის პიესა „გვშინდელნის“ დადგმა. რეცენზენტი მართებულად ახასიათებს სპექტაკლში მსახიობთა თამაშს, ამასთან გულისტკივილს გამოთქვამს სცენის სიღარიბისა და სათანადო დეკორაციებისა თუ სხვა სასცენო აღჭურვილობის უქონლობის გამო.

ბათუმში ცდილობენ აღადგანონ მუსიკალური სასწავლებლები. ერთგან გაზეთი „უწყებები“

1 გაზ. „უწყებები“, № 24, 16 აპრილი, 1921 წ.

ატყუბინება, რომ, თუმცა კონსერვატორიის მთელი შემადგენლობა და შტატი მზადაა, იგი ჯერ-ჯერობით ვერ იწყებს მუშაობას უსახსრობის გამო. კოტა მოვიანებით გაზეთი საზოგადოებას ქართული საგალობლების შემსწავლელი სკოლის ჩამოყალიბებასაც ამცნობს, ვრცლად მოუთხრობს მკითხველს ქართულ საეკლესიო თუ საერთო გალობა-სიმღერებზე. კონსერვატორიის დირექტორის შიშკოვის ხელშძლვანელობით დაუწყია ამ სკოლას მუშაობა. გაზეთი მნიშვნელოვან და სასარგებლო საქმედ თვლის ამას და იქვე შენიშნავს, რომ „მარტო სკოლის გახსნა და სწავლა ვერ მიაღწევს მიზანს. ჩვენ გვაინტერესებს არა მარტო გავრცელება ქართული მუსიკალური შემოქმედებისა, არამედ მისი შენარჩუნება. ამისათვის კი ზეპირი სწავლა ნაკლები გარანტია. საჭიროა სიმღერების ნოტებზე გადაღება, მათი ფიქსაცია... ეს იქნება საისტორიო საქმე და ქართული ხელოვნების სფეროში ხელოვნების ქვეგანყოფილება ძნელათ შეძლებს ამაზე უდიდესი საქმის გაკეთებასო“.²

ბათუმის იმდროინდელი თეატრის სცენაზე ვხვდებით ჯერ კიდევ ახალბედა მსახიობებს, რომლებმაც შემდგომში საქვეყნო აღიარება ჰპოვეს. შ. დადიანის „გუშინდელნის“ რეცენზიაში ვკი-

თხულობთ: „მიუხედავად იმისა, რომ ამხ. შ. ლამბაშიძე საუცხოო პაპუნა იყო, უნდა შევნიშნოთ, რომ მას შეუძლია უფრო უკეთესი პაპუნა იყოს (ლაპარაკია სპექტაკლის ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირზე. ე. დ.), არ არის დამუშავებული წვრილმანები, ტიპის დეტალები. ჩვენი აწრით, ეს იმით აიხსნება, რომ ლამბაშიძეს უყვარს ბუნებრივი ნიჭით გადასვლა და ტიპის დამხასიათებელ წვრილმანებს არ უკვირდება“³.

გაზეთს შემდეგში გამოჩენილი ქართველი მსახიობის აკ. ვასაძის მაღალი აქტიორული ნიჭიც არ გამორჩენია. ამ დროს იგი შალვა ლამბაშიძეს უწევდა პარტიორობას და მასთან ერთად შ. დადიანის პიესაში ადიკოს როლს ასრულებდა. „ეს ახალგაზრდა მსახიობი უტყუარი ნიჭითაა დაჯილდოებული და მეტად სასიამოვნოა, რომ ნიჭთან ერთად შრომაც უყვარს და როლს საჭირო სერიოზულობით ეპყრობა“⁴.

როგორც ვხედავთ, გაზეთ „უწებებს“ შეუმჩნეველი არ რჩება ცალკეულ მსახიობთა განსაკუთრებული თამაში და მათი ნიჭის ერთგვარ პოპულარიზაცია ას აცემევა.

ამ პერიოდისათვის ბათუმში ქართული თეატრის რეპერტუარი მეტად ღარიბულია. ამიტომ გაზეთიც უაღრესად ძუნწ ცნობებს

3 გაზ. „უწებები“, 24 მაისი, 1921 წ.

4 იქვე.

იძლევა მის შესახებ, ზოგჯერ კი უბრალო განცხადებებითაც კმა- ყოფილდება. როგორც ირკვევა, განყოფილებას „თეატრი და ხე- ლოვნება“ იყენებდნენ ხელოვნე- ბის სფეროში მომხდარი ყოველი ცვლილების გამოსახატავად. აქ ცხადდებოდა თეატრის თანამშ- რობელთა მივლინებებში გამგზა- ვრება და ჩამოსვლა. გაზეთი ამ განყოფილებაშივე ათავსებს შე- ტყობინებებს ცალკეულ მსახიო- ბთა ცხოვრების პირობებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ბუნებრივია, თეატრის მეისტო- რიისათვის დღესდღეობით ამ- გვარ ძუნწად შემონახულ ცნობე- ბსაც მნიშვნელობა აქვს.

გაზეთ „უწყებების“ მიერ გა- მოტანილი დასკვნა ამა თუ იმ სპექტაკლზე ზოგჯერ საკმაოდ კა- ტეგორიულ ხასიათსაც ატარებს. ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება გავიხსენოთ მისი ერთი შენიშვნა. ბათუმის ქართულ თე- ატრს დაუდგამს ანასტასია ერის- თავ-ხოშტარიას რომანიდან გად- მოკეთებული პიესა „მოლიბულ გზაზე“. „უწყებები“ თვით ნაწარ- მოებს მაღალ შეფასებას აძლევს, როგორც უაღრესად საჭირბორო- ტო თემაზე შექმნილს და მაღალ- მხატვრულ ქმნილებას, მაგრამ პი- ესას თვლის სუსტად და ცდი- ლობს მარცხის მიზეზთა ახსნას:

„პიესათ ეს ნაწარმოები ისე ცუდათაა გადაკეთებული, რომ რომანთან შედარებით მისგან მი- ღებული შთაბეჭდილება ერთი-

ათად სუსტდება და პიესა ბევრი- ბათ, გადაკეთებელს დედნის- დაცვის მიზნით ვერ გაუბედავს მასში პიესისათვის საჭირო დამა- ტების შეტანა და ბევრისათვის მისი ნაკვე მიუგნებელი რჩება“... გაზეთი აქვე მიუთითებს, რომ „საჭიროა მეორედ დადგმის ღროს რეუისორმა მიიღოს გადამჭრელი ზომები აღნიშნული ნაკლის შეძ- ლებისდაგვარათ ასაშორებლათ, წინააღმდეგ შემთხვევაში პიესის დადგმას თითქმის მიზანი ეკარგვე- ბა“...

ამ შენიშვნის შემდეგ, რომე- ლიც „უწყებების“ 79-ე ნომერ- შია მოთავსებული, გაზეთი კარ- გახანს დუმს თეატრზე. მხოლოდ 1921 წლის მიწურულს „უწყებე- ბი“ აქვეყნებს „სათეატრო შე- ნიშვნას“, სადაც ლაპარაკია სე- ზონის დაგვიანებაზე. უთეატრობა- ბათუმის საზოგადოებას მაღე და- სტყობია. ხალხი მოითხოვდა სე- ზონის აღდგენას, რის თაობაზე თვით „უწყებებისთვისაც“ მიუ- მართავთ. გაზეთი საპასუხოდ საქ- მაოდ მკაცრი ტონის შენიშვნას აქვეყნებს პირველი დეკემბრის ნომერში: „შესაძლებელია ცენ- ტრი არ იმეტებს ცნობილ მსახიო- ბებს ბათომისათვის... მაგრამ სად- იყვნენ ბათომის ქართული სახე- ლმწიფო ღრამის მესვეურნი, როცა ცენტრი ასეთი მკაცრი ცე- ნტრალიზმის პოლიტიკას დაად- გა? რატომ მყისვე არ აუწყეს ეს გარემოება ფართო საზოგადოე-

ბას და უმთავრესად პრესას?“⁵

„უწყებები“ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ბათუმში წარმოდგენები იმართება რუსულ, სომხურ, ბერძნულ ენებზე და არ არის „აკადემიური, სერიოზული ქართული წარმოდგენები“, რაც თურმე „ნაირ-ნაირ და მეტად არასასიამოვნო მითქმა-მოთქმას იწვევს“ იმდროინდელ საზოგადოებაში. ამიტომ, გაზეთი დაასკვნის, რომ როგორც მსახიობები და თეატრის მესვეურნი, ისე ყველა ამ საქმით დაინტერესებული პირი ვალდებული იყვნენ საჩქაროდ შესდგომოდნენ სეზონის აღდგენას.

ბათუმში თავის დროზე საოპერო წარმოდგენებიც იმართებოდა. ოპერა ბათუმში რევოლუციაშე არსებობდა, რომელსაც მოქმედება რევოლუციის შემდგომაც არ შეუწყვეტია. ღარიბულ სცენაზე წარმოდგენილი ოპერები ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდნენ შეგენებული მაყურებლის მოთხოვნილებას. ერთ-ერთი ასეთი დადგმა ყოფილა „ევგენი ონეგინი“, რომელსაც აკრიტიკებს გაზეთი „უწყებები“. ოპერა თუმცა განახლებული შემადგენლობით წარმოუდგენიათ, მაგრამ გაზეთს მაინც არ მიაჩნია დამაკმაყოფილებლად და გულისტკივილით შენიშნავს: „სამწუხაროდ, ეს მუსიკით მდიდარი, ყველგან

სასიამოვნოთ სასმენი ოპერა მეტისმეტათ სუსტათ ჩატარდა...“⁶ ერთო უთაბეჭდილება ისეთი დარჩა, რომ იქ დამსწრე ძნელათ გაბედავს აპერის მოსასმენათ წასკლას...“ გაზეთი მიუთითებს, რომ ოპერის ძალების გასაძლიერებლად საჭირო და აუცილებელია რამდენიმე მსახიობისა და მომღერლის ჩამოყვანა თბილისიდან, რომელნიც იქ ამ პერიოდისათვის მრავლად ყოფილან.

ცოტა მოგვიანებით გაზეთი, აუწყებს მკითხველს, რომ ოპერის გამგედ დანიშნულია რუსეთიდან ჩამოსული სახელმწიფო ოპერის მსახიობი ვოლეინი, რომელიც უკვე შეუდგა მოსამზადებელ სამუშაოს ოპერის გასაახლებლად.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე „უწყებები“ შეძლებისდაბარად სამსახურს უწევს მწერლობასაც და ხელს უწყობს მის განვითარებას. ასე, მაგალითად, 1921 წლის 10 ივნისიდან (№ 90) იგი რამდენიმე ნომერში სიხარულით აუწყებდა საზოგადოებას, რომ ბათუმში თვის დამღევისათვის გამოვიდოდა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „პოეზიის ყვავილები“, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევდნენ ცნობილი ქართველი მწერალი დ. კასრაძე და ი. ხონელი.

5 გაზ. „უწყებები“, № 206, 1 დეკემბერი, 1921 წ.

6 გაზ. „უწყებები“, № 50, 20 მაისი, 1921 წ.

ვაზეთი „უწყებები“ სხვა გაზეთების მიერ გამოქვეყნებული საყურადღებო წერილების გადმობეჭდვასაც არ ერიდება. ასეთია, მაგალითად, დ. კასრაძის ვრცელი წერილი სათაურით „ჩამკვდარი ხელოვნება“. „უწყებებს“ ბევრი რამ საყურადღებო და სანიშნო დაუნახეს კასრაძის ამ წერილში. ავტორი ქართულ ხელოვნებას და მეტადრე მწერლობას უსაყვედურებს, რომ იგი ხმაჩამკვდარია ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენების მიმართ, როგორიც თან ახლდა საქართველოში მომხდარ რევოლუციას, რომ თავის ღროვაზე, ქართულ ხელოვნებას დანტონისა და რობერტის ქვეყანაში პარიზისა და ვერსალის ცეცხლიც შეუმჩნეველი დარჩენია, „როგორც სალათას ძილით შეპყრობილს, დამბლა დაცემულს ავადმყოფსა“.

„კაცობრიობა ორთის აპოკალიპსისებური ცხოველის წინაშე, რომელსაც რევოლუცია ჰქვიან, ხოლო ქართველი ხელოვანისათვის არც ეს წითელი ცხოველი და არც ზღაპრული მისი მედროშე არაა არც სპარტაკი და არც ატილა, არც ანტიქრისტე და არც მესსია, რომლის ვინაობის ამოსაცნობათ ჰქეშმარიტი მოგვები მთელს ასტრალურს სამყაროს არყევდნენ“. ავტორი აქ არარეალისტურ მიმართულებებსაც გადაჰკრავს მათრახს: „პირიქით, თითქოს განგებ, სწორედ ამ უდიდეს მოვლენათა ღროს, ჩვენ ვუ-

მზერთ „ცისფერ ყანწელთა“ გამოსვლას, მათ ჯამბაზობას და დაცვულებულ კარნავალს, სადაც ბალაგანურ მღვდელმსახურებას ეწევიან იაშვილები და... ტიციან ტაბინები“... ამ შემთხვევაში ჩვენს სახელოვან პოეტებსაც შეეცო კრიტიკა, რაღაც მათი შემოქმედება ნაწილობრივ მართლაც წარმოადგენდა ლიტერატურაში მოღური მიმართულებისადმი ხარჯის მოხდას.

„...ღრო არის, — დასძენს დ. კასრაძე, — ქართულ ხელოვნებას მიუქცეს სათუთა ყურადღება. უნდა გავამრავლოთ უურნალგაზეთები, სადაც ფართო აღილი უნდა დაეთმოს მშრომელთ, რომ გამოსთქვან თავიანთი ჭირ-ვარამი, სიხარული“.⁷

ვაზეთი საქაოდ საყურადღებო, ამასთან პრეტეზიული წერილების ბეჭდვასაც არ გაურბოდა, საზოგადოდ ქართულ ხელოვნებაზე და მწერლობაზე. თუმცა, ამგვარი მასალები „უწყებებში“ იშვიათ გამონაქლისს წარმოადგენენ და აქა-იქ თუ გაიელვებენ.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ გაზეთ „უწყებების“ განყოფილება — „თეატრი. და ხელოვნება“, რითაც შეძლებისდაგვარად, ნათელვყვავით თუ რას აკეთებდა ეს გაზეთი აჭარაში საბჭოური ხელოვნების განვითარებისათვის. ამასთან, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ

7 გაზ. „უწყებები“, № 78, 26 ივნისი, 1921 წ.

ჩვენს მიზანს არ შეადგენდა აჭარის საბჭოური ხელოვნების ამ მონაკვეთის მთლიანი ისტორიის ჩვენება, ვინილავდით გაზეთ „უწყებებს“ წმიწდა უურნალისტური თვალსაზრისით. ამის გამო ზოგიერთ წვრილმან ფაქტს შეგნებულად ავუარეთ გვერდი.

„უწყებები“ აშუქებდა იმდროინდელი საზოგადოებრიობის სულიერ ცხოვრებას, ეხმაურებოდა მნიშვნელოვან მოვლენებს ამ სფეროში და აქვეყნებდა საყურადღებო შეფასებებს. ყოველივე ეს „უწყებების“, ერთ-ერთი მცირეფორმატიანი გაზეთის, ღრასებად უნდა ჩაითვალოს.

* * *

გაზეთმა „პროლეტ არ უ ლ მ ა ბრძოლამ“ განყოფილება „თეატრი და ხელოვნება“ წინამორბედი „უწყებებისაგან“ გადმოიღო. აქ დაბეჭდილი მასალებიც დიდად არ განსხვავდებოდა „უწყებებში“ მოთავსებული მასალებისაგან.

ახალი სათეატრო წარმოდგენების შესახებ განცხადების გარდა „პროლეტარული ბრძოლა“ აქვეყნებდა რეცენზიებს, კრიტიკულ შენიშვნებსა და კორესპონდენციებს, რომელთა უმრავლესობა ისევ და ისევ თეატრს შეხებოდა ან საოპერო წარმოდგენებს. გაზეთი თვალყურს ადგვნებდა ქართული სათეატრო დასის შემოქმედებით მუშაობას და ღრადღადრო აქვეყნებდა წერილებს.

„უწყებებისაგან“ განსხვავებით, „პროლეტარული ბრძოლაში“ ბათუმის ლიტერატურულ ცხოვრებასაც აკვირდება, აწვდის მკითხველს ადგილობრივ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ცნობებს. ამასთან, ხშირად აქვეყნებს ლექსებს. გაზეთში რეგულარულად თანამშრომლობდა ცნობილი პროლეტარული პოეტი ნოე ზომლეთელი. მისი მებრძოლური სულისკვეთებით გაუღენთილი პოეზია კიდევ უფრო მეტი გამარჯვების რწმენით აისებდა ჩვენს მუშებსა და ფუხარი გლეხებს:

„...და მთელს ქვეყანას რომ
მოეცლება,
როგორც უკვდავი თავისუფლება,
აღანთებს ცეცხლით მშრომელთა
გულებს,
წყლულთ განპანს იმათ და
უერთგულებს
და ქვეყნის მპყრობლათ გახდის
ჩაგრულებს!“⁸

6. ზომლეთელის პოეზია კარგად არის ცნობილი ცეკვასათვის, ჩვენ აქ არ შევუდგებით „პროლეტარულ ბრძოლაში“ გამოქვეყნებული მისი ლექსების ანალიზსა და შეფასებას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ 6. ზომლეთელის ლექსებმა გარკვეული სამსახური გაუწია „პროლეტარულ ბრძოლას“, როგორც იდეოლოგიური, ისე მხატვრული თვალსაზრისით. ნოე ზომლეთელი იმუამაღაც ერ-

8 გაზ. „პროლეტ. ბრძოლა“, № 457, 1922 წ.

თობ საპატიო სახელით სარგებლობდა მთელს საქართველოში და ბევრი მისი ლექსი სწორედ „პროლეტარულ ბრძოლაში“ დაიბეჭდა პირველად. აქ გამოქვეყნდა ლექსები: „ტებილი სიზმარი“, „სალამი ბათომს“, „სიმღერა“, „ჩვენს ასოთამწყობთ“, „შემოდგომა“ და სხვ.

ლიტერატურული ცხოვრების გაღვივება აჭარაში უდავოდ უკავშირდება ნოე ზომლეთელის სახელს, რომელიც კარგა ხანს ზრუნავდა აქაური შემოქმედებითი ძლების გაერთიანებაზე და აღზრდაზე. პოეტის დაახლოება აქაურ მკითხველებთან სწორედ რომ „უწყებებითა“ და შემდგომ „პროლეტარული ბრძოლის“ მეშვეობით მოხდა. არ შევდებით, თუ ვიტყვით, რომ შემოქმედის ბიძგის მიმცემი, მასტამულიარებელი ამ მიმართებით, უპირველეს ყოვლისა, „პროლეტარული ბრძოლა“ იყო.

„პროლეტარულმა ბრძოლამ“ გააფართოვა ადგილი მხატვრული შემოქმედებისათვის, მოუხმირა ლექსებისა და ფელეტონების ბეჭდებას. მაგრამ ამ მასალებს არ ათავსებდნენ განყოფილებაში „თეატრი და ხელოვნება“. აქ უფრო საიმდელისო სათეატრო რეპერტუარსა და წმინდა საპროგრამო საკითხებზე მიმღინარეობდა მსჯელობა.

„პროლეტარული ბრძოლა“ სისარულით იუწყებს მკითხველს, რომ ბათუმში გაიხსნა ე. წ. სა-

თეატრო ბიურო, რომელმაც **თავისთვის** დატბაზის ზები სხვა ქალაქებიდან სტუმრად ჩამოსული კოლექტივებისათვის. სათეატრო ბიურო ხელს შეუწყობდა საგასტროლოდ ჩამოსულ მსახიობებს და გულთბილ მასპინძლობას გაუწევდა.

გაზეთი ამავე დროს მხარს უჭერდა ყოველ ახალ წამოწყებას სალიტერატურო საპარეზზე. 1922 წლის 10 ივნისის ნომერში „პროლეტარული ბრძოლა“ აცხადებდა, რომ ბათუმში გამოსვლას იწყებდა ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო უურნალი „კანდელი“, რომ უურნალის პირველი, 32-გვერდიანი ნომერი გამოვიდოდა კვირას, 11 ივნისს და მასში გამოქვეყნდებოდა გ. ტაბიძის, ს. აბაშელის, ობოლი მუშის, ალ. ბლოკის ფოტოსურათები. აქვე მოთავსდებოდა გ. ტაბიძის, კიკნა ფშაველას, ს. აბაშელის, გ. ქუჩიშვილის, შ. ჯანბერიძის, ობოლი მუშის, „კანდიდეს“, პ. აბრამიას, „დარიალის“, თ. სიხარულიძის და დ. კასრაძის ნაწარმოებები.

უპირველესად თვალი გადავლოთ განყოფილებაში „თეატრი და ხელოვნება“ გამოქვეყნებულ მასალებს.

21 ივნისის ნომერში „პროლეტარული ბრძოლა“ განიხილავს და აფასებს აკადემიურ თეატრში წარმოდგენილ ნ. სევერსკის ოპერეტას „ბოშათა რომანსები“. გაზეთი განიხილავს მას, როგორც სუსტ დადგმას, უარყოფით შე-

ფასებას აძლევს მთავარ მოქმედ
პირს, პერსონაჟს, რომელსაც მსა-
ხიობი ლენსკია ანსახიერებდა.
„პროლეტარული ბრძოლის“ კრი-
ტიკა პირდაპირი და მიუღომე-
ლია: „სცენაზე იგი მოჩანს მოუ-
ხეშავი-ულაზათო და ტლანქი, და
თუ ხმაც ჩახლეჩილი აქვს, რო-
გორც ეს ამ საღამოს ჰქონდა.
ვღებულობთ საშინელ კოშმარს“.⁹
წერილის ავტორი, ვინმე „ვინი“
სინანულით აღნიშნავს, რომ ბა-
თუმში იდგმება იმგვარი სუსტი
სპექტაკლები, რომელთა სანახაო-
ბითი მხარე და მხატვრული ღირ-
სება აშკარად დაბალია. და ეს
ხდება მაშინ, როცა „ბათომში
მსახიობები მეტია, ვინემ თეატრ-
ში მოსიარულენი“.

„პროლეტარული ბრძოლა“ მა-
რტო ბათუმში არსებული თეატ-
რალური ცხოვრების ავ-ჯარების
ჩვენებით არ კმაყოფილდება. იგი
ზოგჯერ აქვეყნებს წერილებს
სხვა ქალაქებისა თუ დაბების სა-
სცენო ტრადიციებზეც. ასეთია
ვ. ურუშაძის ვრცელი მოგონება
ოზურგეთის თეატრზე, აგრეთვე
„მუშა და გლეხის“ ფსევდონიმით
დაბეჭდილი წერილი ქუთაისის
თეატრზე. ეს უკანასკნელი მკით-
ხველს მოაგონებს ქუთაისის თე-
ატრის მდიდარ ტრადიციებს, რომ
სწორედ აქ გაითქვეს სახელი
ცნობილმა მსახიობებმა და რეჟი-
სორებმა ვასო აბაშიძემ, ლადო

მესხიშვილმა, ნინო ჩხეიძემ და
სცენებმა. ამგვარი ტრადიციების
მქონე თეატრისათვის კი შეუფე-
რებლად მიაჩნია გაზეთს ქუთაი-
სის თეატრის მაშინდელი უმოქ-
მედობა.

„თუ ორი-სამი წლის წინათ მო-
ქალაქეს უხაროდა ქუთაისის თე-
ატრში შესვლა, დღეს ქუდიც რომ
შეუგდო, არ მიეკარება მას...
წელს სეზონი ქუთაისში ძალიან
მახინჯია, იშვიათად თუ მოგვის-
მენია ამ სეზონის განმავლობაში
ისეთი რამ, რომელსაც შეეძლო
ახალი წვლილის შეტანა ქართუ-
ლი ღრამის ისტორიაში. ერთი სი-
ტყვით, ქუთაისი მოკვდა თუ ქა-
რთული თეატრი, აღარ ვიცით,
მაგრამ დავრწმუნდეთ, რომ
თეატრს შეეძლო ქალაქის გამო-
ცოცხლება, ხალხის მიზიდვა და
თეატრისათვის საკუთარი აუდი-
ტორიის გაჩენა“.

ამგვარი წერილები აქაურ მკი-
თხველს წარმოდგენას უქმნიდა
სხვა ქალაქების თეატრების მდგო-
მარეობაზე და ადგილობრივი
თეატრის მესვეურებსაც შედა-
რებით ორიენტაციის შესაძლებ-
ლობას აძლევდა.

ქართული ღრამის ყოველი სე-
ზონის დაწყება პრობლემურ საქ-
მედ იყო მიჩნეული ბათუმში, მსა-
ხიობთა გაუთავებელი შერჩევა,
აგრეთვე წმინდა სასცენო, ხე-
ლისშემშლელი პირობები, ყოვე-
ლოვის აფერხებდა სეზონის
დროულად დაწყებას. „პროლე-
ტარული ბრძოლა“ არაერთხელ

9 ვაზ. „პროლეტ. ბრძოლა“, № 367,
1922 წ.

შეკაცრად შეხებია ამ საკითხს.
„მოკეთეს“ ფსევდონიმით დაბეჭ-
დილი წერილები ქართული დრა-
მის სეზონისშინა სამუშაოების
შესახებ საშუალებას იძლევა ნა-
თლად წარმოვიდგინოთ თეატრის
მაშინდელი მდგომარეობა.

თეატრის შესახებ გამოთქმული
აზრი ზოგჯერ საკამათოდაც ქცე-
ულა გაზეთისათვის. 1922 წლის
9 სექტემბრის ნომერში (№ 432)
გამოკვეყნებულ გრ. ნუცუბიძის
წერილში გაკრიტიკებულია ზე-
მოთ დასახელებული „მოკეთეს“
აზრი. თითქოს გასული სეზონი
ქართულ დრამას დამაკმაყოფი-
ლებლად ჩაეტარებინოს. ავტო-
რი უარყოფს თეატრის სეზონის
დადებით შეფასებას და გასულ
სეზონს სამარცხვინოდაც მიიჩ-
ნევს:

„შარშანდელმა სეზონმა დაფ-
რთხო ქართველი საზოგადოება
და შეაზარა ქართული სცენა... და
თუ განათლების კომისარიატი და
აკადემიური თეატრი ისეთი სე-
ზონის მოწყობას ფიქრობს, რო-
გორიც შარშან იყო, სჯობს სრუ-
ლიად თავი დაანებონ ქართული
სცენის საქმეს“.

გრ. ნუცუბიძე ამ წერილში იძ-
ლევა ბათუმის თეატრის შეფასე-
ბას, მიმოიხილავს ქართულ მწერ-
ლობას, დრამატურგიას, ხელოვ-
ნების სხვა დარგებს და მიაჩნია,
რომ მათთან შედარებით გაცილე-
ბით დაბალია ქართული თეატრის
დონე. ამგვარი წერილების ბეჭ-
დვით „პროლეტარული ბრძოლა“

აშეარად სცილდება ბათუმის საკა-
ზლვრებს და მთლიანად საქართ-
ველოს თეატრალური ცხოვრების
გულშემატკივრადაც გვევლინება.

ბათუმის თეატრის სხვა თეატ-
რებთან დაპირისპირება და შედა-
რებითი შეფასების ხერხი არც
შემდგომ ნომრებში დავიწყებია
გაზეთს. მიუხედავად იმისა, რომ
ქართული თეატრი ბათუმში უკ-
ვე გამოცხადებული იყო სახელმ-
წიფო თეატრად და მსახიობები
მატერიალური მდგომარეობითაც
ასე თუ ისე უზრუნველყოფილი
იყვნენ, ბათუმელ მაყურებელს
ნამდვილი თეატრალური წარმო-
დგენების ნახვის შესაძლებლობა
მაინც არ ჰქონდა. როგორც ჩანს,
აქ საქმეს პროფესიონალ მსახი-
ობთა უქმარობა აფერხებდა. სწო-
რედ ამის გამო ბათუმის სახელმ-
წიფო თეატრის ქომისარი თბი-
ლისს გამგზავრებულა ახალი ძა-
ლების მოსახებნად და ჩამოსაყვა-
ნად. „პროლეტარული ბრძოლა“
ამ ღონისძიებას ნაგვიანევად
თვლის:

„ზველა წესიერი მსახიობი უკ-
ვე რომელიმე დასშია მიწვევული
და თბილისში „უმუშევრად“ და-
რჩენილ მსახიობთა შორის არა
მვინია ბათომისათვის ვარგისიანი
ვინმე გამოდგეს. ესეც რომ არ
იყოს, დღეს უკვე ოქტომბრის 10
რიცხვია და როდისღა უნდა მო-
ვასწროთ სეზონის გახსნა?“¹⁰ —

10 გაზ. „პროლეტ. ბრძოლა“ № 458,
1922 წ.

გულისტიკივილით კაოხულობს ავტორი. ამასთან, იგი ეხება ბათუმის რუსული თეატრის, აგრეთვე ოპერის მდგომარეობასაც და როგორც ქართული თეატრის, ისე ამ უკანასკნელთა მდგომარეობას საბოლოოდ საგანგაშოდ თვლის. კიდევ მეტიც, იგი ოპერის არსებობის შემდგომ შესაძლებლობასაც საეჭვოდ მიიჩნევს.

„განათლების კომისარიატმა განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს თეატრებზე და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს მათ, თორემ ისედაც უნუგეშო პერსპექტივა ამ სფეროში კიდევ უფრო აუტანელი გახდება და ბათომს მოაქლება ისეთი მნიშვნელოვანი კულტურული ფაქტორი, როგორიც არის თეატრი... ეს კი გამოუსწორებელ დანაშაულად ჩაგვეთვლება“¹¹ — დასკვნის წერილის ავტორი.

„პროლეტარული ბრძოლა“ ცდილობს მიაკვლიოს თეატრის ჩამორჩენის სხვა მიზეზებსაც. ერთგან იგი აცხადებს, რომ თეატრის მუშაობას აფერებს სათეატრო გარდერობისა და სხვადასხვა სასცენო სამკაულთა უქონლობა. გაზეთი ქართული თეატრის რეპერტუარსაც კრიტიკის თვალით გადასინჯავს. მან იცის, რომ თეატრს უპირველესად აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს,

რომ ესთეტიკური ტკბობა ადამიანის სულიერ ჩამოყალიბებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ამის გამო ადგილობრივი მაყურებლის ინტელექტუალური დონის, გემოვნებისა და მოთხოვნილების გათვალისწინებასაც მოითხოვს:

„უნდა გაეწიოს ანგარიში იმას, რომ ბათომი პირველყოვლისა მუშათა ქალაქია. მუშა ელემენტები აქ დიდათ სჭარბობს დანარჩენ ნაწილს ქართულ საზოგადოებისას მაინც. მაშასადამე, პიესებს, რომლებიც ეხებიან და ახასიათებენ მუშათა ცხოვრებას, ლარიბ გლეხთა მდგომარეობას და საერთო რევოლუციონურს მოძრაობას, ასე თუ ისე უნდა დაეთმოს რეპერტუარში საპატიო აღგილი“.

თეატრის კომისრის ვ. ურუშაძის თბილისიდან ჩამოსვლისთანავე „პროლეტარული ბრძოლის“ რედაქტიის თანამშრომელი ვასაუბრებია მას, რის შემდეგაც გაზეთი აუწყებს ბათუმის საზოგადოებრიობას, რომ თეატრის მთავარ რეჟისორად მოწვეული არის კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, ხოლო მეორე რეჟისორად — დამსახურებული მსახიობი ვალერიან გუნია. ამასთან გაზეთი აცნობებს მკითხველს, რომ სათეატრო დასი შეიკრიბება 1. ნოემბერს და წარმოდგენებს დაიწყებს 12. ნოემბრიდან. ამის შემდეგ „პროლეტარულ ბრძოლაში“ ვხვდებით ვინმე კეთილაძის წერილს სათაურით — „ქართული

დრამის სეზონის მოლოდინში“. საღაც გამოთქმულია ბათუმის საზოგადოების იმედი განახლებული თეატრალური ძალებისადმი.

„ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ წლევანდელი სეზონი არ იქნება შაბლონური, ძველ რუტინაზე აშენებული, არამედ ახალი, განახლებული, როს შედეგადაც თეატრის ხელმძღვანელთ არ ექნებათ რა სასაკვედურო. პირიქით, ხალხს სწყურია ჭეშმარიტი ხელოვნების ნახვა, მხატვრული წარმოდგენის მოსმენა და თუ ამას მიაღწევს ჩვენი სცენა, ხალხიც ივლის. მან იცის კარგის და ავის გარჩევა, ის იგრძნობს, როცა მის ამოძახილს ყურად იღებენ და პატივს სცემენ...“¹²

თეატრის სეზონის მოლოდინში „პროლეტარული ბრძოლა“ აქვეყნებს მწერალ დავით ქასრაძის წერილებს ამ საკითხზე, რომელიც მისთვის დამახასიათებელი დამაჯერებლობითა და საქმის ღრმა ცოდნით მსჯელობს როგორც ბათუმის, ისე მთლიანად ქართული თეატრის ახლანდელსა და მომავალზე.

იმ ხანებში „პროლეტარულმა ბრძოლამ“ ბათუმის ქართული თეატრის ახლადშერჩეული დასის შემადგენლობაც გამოაცხადა. აქ შედიოდნენ: ანეტა ქიქოძე-ანდრონიკაშვილისა, მარო მდივანი. ელენე ციმაკურიძე, გოგუცა ივე-

რიელი, ფაცია ვადაჭვორია. ელენე გურული, ვალერიან გურია, მირა ხეილ გელოვანი, კირილე მაჭარაძე, შაქრო გომელაური, ვიქტორ ბახტაძე, ტიმოთე აღსაბაძე, ლუდე ძნელაძე, გიორგი უურული და შალვა ბეგუაშვილი.¹³

დასის ამ შემადგენლობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დ. ქასრაძეც. იგი იმედოვნებს, რომ „ეხლა მაინც იქნება გამოხსნილი ბათომის საზოგადოებისადმი ძველი ცოდვა“, რომ ალბათ ახლა მაინც გამოისყიდდა ქართული თეატრი ძველ უმაღურობას და მაყურებელს ხელოვნების ღირსეული ნიმუშების ხილვით გულს გაუთბობდა.

„პროლეტარული ბრძოლა“ შემდგომშიც არაერთხელ აქვეყნებს. დ. ქასრაძის წერილებსა თუ რეცენზიებს, რითაც ხელს უწყობს ბათუმის საზოგადოების თეატრთან დახლოებას.

ყველასათვის ცნობილია ის დიდი ღვაწლი და ამაგი, რაც გამოჩენილმა ქართველმა რეჟისორმა კიტე მარჯანიშვილმა დასდო საბჭოთა და მეტადრე ქართულ საბჭოთა თეატრს. სწორედ იმ ხანებში მარჯანიშვილი რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა თბილისში ახალი თეატრის დაარსების საქმეს.

გაზეთმა „პროლეტარულმა ბრძოლამ“ თავისებურად გაუზია-

12 გზ. „პროლეტ. ბრძოლა“, № 477, 1922 წ.

13 გაზ. „პროლეტ. ბრძოლა“ № 479, 1922 წ.

հա յս նոերով լու դա օմեցո պատ-
հուս սահոցագոյեցած. մանցը, 1922
թվուն 7 դեկտեմբերիս նոմերին ցա-
նչետ „յոմշնունութիւնան“ ցամոնեցի-
ւա ցըլցըլո թէրունու սատայրուու—
„յարտուլո տյագիրու աղջանա“,
հուտաւ աղջուլոնձուզո մյուտեզելո
յարտուլո տյագիրու աելած դամ-
ցեցիս քշմարութ սոեարով ածո-
ահա.

այցե պնդա աղջնունու, հոմ
„პրոլետարով ծրագրու“ այցե-
պնդա ցանցեացեցիս հոգորու
յարտուլ, ույ հուսուլ թարմուցա-
նցեցից.

հոգորու զտյզու, „პրոլետա-
րով ծրագրումու“ լութէրաթուրու-
լո նախարմուցեցիու օկցէցեծուու.
ցանչետ սպանա յ. թ. լութէրաթու-
րով ցանցուցուլուցիս պեմուց-
իս. ամցարո ցանցուցուլուց սյուլ
որչյուր մուլու. პորցյու թուաց-
սեծուլուա 3 սեյժութեամբիս (յն 427,
1922 թ.), ხոլո թեորյ — 10

ՍԵՅԺՈՒԹԵԱՄԲԻՍ ԵՆՈՄԵՐԻՇՈ (№ 433, ՀԱՅԱՍՏԱՆ
ՑՈՒՑԱԿԱՐԱՎՈՐՈՒՅՈՒՆ)

1922 թ.).

Սալութէրաթուրո ցանցուցուլու-
թամի ծածկութունու ցեմեն Շենցը-
լասի, Շալվա Կոնգուլու, Վ. Կոեյ-
լու, ցանցութու պամանուրուլու, Ռ. Խա-
նճերունու, մանցելու, Վ. ծուրունու-
մցուլու, Ճ. Կուպունու Կրոսայ-
լու դա პութուրո նախարմուցեցիու,
հոմելու օդեպր-մեսաթըրուլո
քանց սայմառու մարալու.

ամրոցած, հոգորու զրժմանցու-
թու, լութէրաթուրով նախար-
մուցեցիս ծցուցուու դա սայրուու-
մեսաթըրուլո նոմուշեցիս ցամուցե-
նուու, „პրոլետարովում ծրագրում“
Քննարկութէ սպանութան“ Շյ-
ժարային թին ցամացա նածոչու, յա-
նհուածուու ցամացա դա ամսու-
լու մատու մեսաթըրուլո քանց, յո-
ւալուց ամուտ կո տացուսո մոյրա-
լութու թըլուլո Շյութանա պատ-
հուս սածուուրո ելուցեցիս ցա-
նչուարեցիս սայմեշո.

ნიგნეაბის მიმოხილვა



პროფ. ჩ. შამელაშვილი

ვრცელებულ ხალვაშის კოეფიციენტი

ქართულ პოეზიაში კარგახანია გაისმის ფრიდონ ხალვაშის ომანიანი ხმა. როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ეს ხმა თანდათან იწმინდება და უფრო ხავერდოვანი ხდება. ამ ხმას არაერთი გული აუღელვებია და ჭეშმარიტი მამულიშვილური გრძნობები გაუღვივებია.

ფრ. ხალვაში რამდენიმე წიგნის ავტორია, მაგრამ მისი ახლახან გამოცემული ლექსები და პოემები ეს არის ერთგვარი შეჯამება, რეზიუმე ყოველივე იმისა, რაც პოეტმა გააქეთა თავისი მოღვაწეობის თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე; ეს არის ვრცელი ანგარიში უაღრესად მომთხოვნი ქართველი მკითხველის წინაშე.

ფრიდონ ხალვაში, მამულიშვილობა, ლექსები და პოემები, „მერანი“, თბილისი, 1972.

უდავოდ სწორად მოიქცა ავტორი, როცა ამ მშვენიერ ლექსთა კრებულს, რომელსაც თამამად შეგვიძლია ერთტომეული ვუწოდოთ, კარგად დაწერილი წინათქმა წარუმდოვარა. ამ წინათქმას პრინციპული მნიშვნელობა აქვს პოეტის სულიერი სამყაროს გასაცნობად. ენათმეცნიერები მასში იპოვიან საყურადღებო მასალას აჭარული ტოპონიმიკისათვის. მარტო ის ფაქტი, რად ლირის, რომ ფრ. ხალვაშის პოეზიაში ასე მდიდრულად წარმოგვიდგა აჭარის ადგილთა სახელები. პოეტი თვითონვე წერს უდაოდ მართებულად: „ყოველ ყანას, მთას, ხევს თუ ტყეს თავისი განუმეორებელი სახელი ჰქვია. რამდენჯერ შევპირებივარ ჩემი ბავშვობის საყვარელ ადგილებს, თქვენს სახელებს ქვეყანას გავაცნობ-მეთქი. მაგრამ მცირედიც ვერ შემისრულებია.

მაპატიეთ, რატომდაც, ნაცვლად ლექსების სათაურებისა (ამას წიგნშიც იხილავთ) შშობლიურ ადგილთა ზოგი სახელი უნდა გავიხსენო: გვანცა, ბერთვენახი, ნასაყდრალი, ჭანჭახი, აკვანეთი, მელიკალო, გორადუბე, საჭორიათი, ჭერული, ნაასლევი, გობა, შამბაური, ლიე, გუთაური, საცერაული, კვახიეთი, ვანიხევი, წილობანი, ნაქერქია, ჯორისახოხავი, ნაბაევი, ყორნალა“. ეს უბრალო ჩამოთვლა როდის აჭარის ტოპონიმებისა. აქ თითოეული სოფლისა თუ ნასოფლარის, მთების, ტყეებისა თუ ველების სახელები თავისებურ ასოციაციასაც იწვევს პოეტის შემეცნებაში. მაგრამ მე, როგორც ენათმეცნიერს, აქ სხვა რამეც მაინტერესებს, სახელდობრი ის, რომ აჭარის „გეოგრაფიულ სახელთა წარმოება ძირითადად მისდევს საერთო ქართულ ტოპონიმთა სიტყვაწარმოების ძირითად ტიპებს“ (იხ. შ. ნიუარაძე, აჭარის ტოპონიმიების ძირითადი საკითხები. შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 15, ბათუმი, 1969, გვ. 205). ამ დებულების საილუსტრაციოდ ფრ. ხალვაშის პოეზია მდიდარ მასალას იძლევა.

განა შეიძლება აუღელვებლად წაიკითხოს ქართველმა ადამიანმა პოეტის სიტყვები: „მიხარია, რომ სამასი წლის სიჩუმის შემდეგ ჩვენი ტკბილი საქართველოს უძვე-

ლესმა, ულამაზესმა, მრავალწამებულმა მხარემ ისევ ამოიღვა და მისმა შვილებმა თავიანთი მოკრძალებული სიტყვის სანთლები ქართული მწერლობის დიდ ტაძარში აანთეს“. იმშიც ვეთანხმებით ფრიდონს, რომ თავისთვზე ლაპარაკი, მართლაც, ძნელია, ამიტომ მოღით, ავალაპარაკოთ მისი პოეზიის ენა.

სარეცენზიო წიგნი რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება. პირველი განყოფილებისათვის ავტორს „ლეიძლი“ დაურქმევია. მასში წარმოდგენილი ლექსები ემოციური და შთამბეჭდავია, ზოგს ავტობიოგრაფიული ელფერი გადაპერავს. აბა, დაუგდეთ ყური ხალვაშისეულ მართალ, გულიდან ამოსულ სტრიქონებს.

თუმცა ხშირად ბედი ჩემი
ჭოროხივით იმღვრეოდა,
ჩადრიანი დედა მაინც იავნანას
მიმღეროდა.

ან კიდევ:

ნანა, შვილო, იძილებიზლე,
დრო-ჟამს ყური მიაპყარი,
საქართველოს ხვალე შენ ხარ,
გახდი მისი წინაპარი.

(გვ. 14)

ფრ. ხალვაშის წერის მანერისათვის დამახასიათებელია გრძელი სიტყვის მოკლედ თქმის ოსტატობა. პოეტმა იცის წერტილის დასმის დრო. ამიტომაა, რომ იგი სათმელს მოკლედ და ლაკონიურად ამბობს. შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ ფრ. ხალვაშის არც ერთ ლექსს არ ეტყობა

გაჭიანურება. ნიმუშისათვის შეიძლება ავიღოთ „ფიცი გიორგი ლეონიძეს“, რომელიც ისეა დაწურული, შეკუმშული, რომ „სიტყვები სივიწროვეს. გრძნობენ, აზრები — სილადეს“, როგორც ამას მაქსიმ გორჯი იტყოდა. ფრ. ხალვაში მომართავს გ. ლეონიძეს:

მარადიდს ზარავს ბუბუხი შენი,
იქნება გაღმელ ქმასც ეშველოს...
შენ რომ მომეცი, იმ ცოცხალ

რწმენით
ვემსახურები მე საქართველოს.
(გვ. 21).

ფრ. ხალვაში წერს მარილიანი ქართულით, რომელიც კიდეც გხიბლავთ, გიტაცებთ და გაღელვებთ. ინტერესით იყითხება „სამი სიმონეთი“, რომელსაც ასეთი ეპიგრაფი აქვს: „მე ვიცნობ სამ სიმონეთს: პირველი სოფელი ჭოროხთანაა, მეორე — იმერეთში, მესამე, — ბურსასთან, თუოქეთში (გვ. 26). ამ ლექსს პოეტი უძლვნის ცნობილ მწერალს სერგო კლდიაშვილს. ლექსი გვხიბლავს თავისი ზომიერი შხატვრული სამკაულებით.

ერთ უსათაურო ლექსში, რომელსაც თარიღად 1970 წ. უზის, პოეტი წერს:

მიყვარს ქედაში რგული ხეხილი,
ხევი თამარის ხილით მშვენდება,
ეს ჩემი სული ქვის ნატეხივით
სამშობლოს კადელს ჩაშენდება.
(გვ. 28).

გარგად არის ნათქვამი: „ეს ჩემი სული ქვის ნატეხივით სამშო-

ბლოს კედელს ჩაშენდება“. რა არის სული? ერთ ბრძენ უთქვამს: სული რა არის არ ვიცი, მაგრამ ეს კი შემიძლია ვთქვა, უსულოდ ბალახი თვალი იქცევა, ხე — შეშად და აღამიანი — ლე შადო. სწორედ ამ სასწაულმოქმედი სულის შესახებ ლაპარაკობს ვოეტი თავის ლექსში და ამიტომაც არის ეს სტრიქონები ასე ეძოციური.

ფრ. ხალვაშის ლექსებს წითელ ზოლად გასდევს პატიმიზმის სულისკვეთება. როგორც ცნობილია, სულიერთა სამყაროდან ერთადერთი არსება აღამიანია, რომელმაც იცის, რომ იგი უნდა მოკვდეს, მოკვდავია. ვაჟაც ხომ ლალადებს:

უველას სიკვდილი მოგველის,
ვინც დედის მუცლით შობილა,

მიუხედავად ამ მწარე სინამდვილისა, ფრ. ხალვაში ლექსში „გარდასახვები“, პირდაპირ ამბობს:

ნუ გეტანებათ გულნი, კეთილნო,
ყოფნის ვადებით.

ჩვენ არ მოვკვდებით,
ჩვენ, ალბათ, სხვებში დავიბადებით.

სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემა ასე თავისებურად, უმტკივნეულოდ გადაწყვიტა პოეტმა, ამ ლექსის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს, ჩვენი აზრით, „ვინ მელოდება დანდლოს ხიდთან?“

ვინ მელოდება დანდალოს ხიდთან?
თამარის ხიდთან ვინ მელოდება?
ჩემი ბავშვობა ჩემთან მოვიდა?
ბავშვობა ჩემი განმეორდება?
(გვ. 38)

სარეცენზიო წიგნში ლექსების
მეორე რეკლამი „ნუგეში“. ამ
ციკლის ლექსებიდან ჩვენს ყურა-
დლებას იპყრობს 1967 წელს და-
წერილი „გმადლობთ“. აი, ასე
ანკარა წყაროსავით მოჩქეფს მი-
სი სტრიქონები:

გმადლობთ, სიყმაწვილის ტკბილო
სიყვარულო,

ჩუმად გაპარულო,
სადღაც მიმალულო.

გმადლობთ სიხარულო,
გმადლობთ, ტკვილებო.

მთვარევ, გვანცაზე რომ ისევ
მიიღევი,

გმადლობთ, მთვარისფერო
რუის გვირილებო.

გმადლობთ წისქვილებო.
სავსე ხვიმირებო.

მამის გაჯვრებავ,
დედის ღიმილებო.

(გვ. 73).

უშუალობა და სიმართლე აქ-
ცევს ფრიდონ ხალვაშის ლექსებს
ესოდენ შთამბეჭდავად. ორიგინა-
ლური გაზრებითა და მხატვრუ-
ლი სახეებით გამოირჩევა ლექსე-
ბი „ნუგეში“, „მზე იგვიანებს?“,
„ფიქრი ზაფხულის დღეზე“,
„ბერთვენახი“, „მე და ხე“, „სა-
ხე“, „მეგობრის სახლში“, „მე
რომ მინდოდა“, „სიცოცხლე“,
„როგორც ყოველთვის“, „ხმა
უნდა იყოს“, „მთაში“ და სხვ.

აი ლექსი „შენი ჭირიმე“. მას-
ში სიყვარულის წრფელი გრძნო-
ბაა გამომზეურებული. ამ ლექსის
წაკითხვისას ჩვენ გვატყვევებს.
პოეტის ღრმა განცდები. ფრ. ხა-
ლვაშის „შენი ჭირიმე“ ერთხელ
კიდევ ადასტურებს იმ ჭეშმარი-
ტებას, რომ პოეტური განცდის
გარეშე შექმნილი ლექსი ისეთ
ბუხარს ჰგავს, რომელშიც ცეცხ-
ლი არ ანთია. ამგვარი ბუხრის
გარშემო კი ადამიანები არ სხდე-
ბიან. აი, ამ მშვენიერი ლექსის
სტრიქონები:

შენი ჭირიმე, გოგოვ, მწვანე ყანაში
მღვარო,
ფოთლების დედოფალო, მთების
ლამაზო დარი.
მინდა შუბლს დამეყაროს შენი
ნაწნავის კონა,
შენ იყო ჩემი მეფე, მე ვიყო შენი
მონა.
(გვ. 151).

წიგნის მომდევნო განყოფილე-
ბას პქვია „გენაცვალე“. „გენაც-
ვალე“ ფრ. ხალვაშის საკმაოდ
გახმაურებული ერთი ლექსის სა-
თაურია, რომელმაც გამოქვეყნე-
ბისთანავე მიიპყრო მკითხველთა
ყურადღება. ეს ერთი ლექსი ცა-
ლკე მსჯელობის საგნად აქცია
პოეტმა ვიქტორ გაბერსკირიამ,
რომელმაც აღფრთოვანებული
რეცენზია უძლვნა ჩვენს რესპუბ-
ლიკურ გაზეთში ამ, მართლაც,
მშვენიერ ლექსი. გენაცვალე ძი-
რეული ქართული სიტყვაა. ცნო-
ბილი ეთნოგრაფი, ისტორიკოსი

და ლინგვისტი თელო სახოკია ამ სიტყვის შესახებ წერს, რომ პირდაპირი მნიშვნელობით იგი ნიშნავს შენს მაგიერ, შენს ნაცვლად მოვკვდე, გადატანით კი — მზადა ვარ შენთვის ყველაფერი ვქნა, სიკვდილსაც კი პირისპირ დავუდგე, გთხოვ, გევედრები.

გენაცვალე ზრდილობისა და ხვეწის ფორმულაა. წარმომდგარია ჩვენი ხალხის რწმენისაგან სიკვდილის შესახებ. სახელდობრ: ხალხს პვრინია, რომ გადადებული სენის მორჩენა, როცა ყოველგვარი, ავადყოფის პატრონისათვის ხელმისაწვდომი წამლობა გამოყენებულია და უშედეგოდა დარჩენილი, შესაძლებელია სიკვდილის ერთგვარი მომაღლიერებით, მასთან ერთგვარი შეთანხმების დადებით მოევლოს გაჭირვებას.

მომაკვდავისათვის სიკვდილის თავიდან ასაცილებლად მისმა პატრონმა სიკვდილს უნდა შეაძლიოს მომაკვდავის სანაცვლოდ და სამაგიეროდ თავისი თავი, საქონელი (ხბო, ცხვარი, მამალი), ავეჯი (რკინეულობა, სკილენის ჭურჭელი) და დაიმედებული უნდა იყოს, რომ ასეთი ანაზღაურების, ასეთი შენაცვლების შემდეგ სიკვდილმა შესაძლებლად დაინახოს უშუალო სასიკვდილო ობიექტზე ხელი აიღოს და დასჯერ-

დეს მის სანაცვლოდ შეძლეულს— (იხ. თ. სახოკია, ქართული ხატონების ცალკეული განი სიტყვათქმანი, ტ. I, შოთა ძიძიგურის რედაქციით, თბ., 1950, გვ. 58).

ასე წვრილად იმიტომ შევეხეთ ამ ერთ სიტყვას, რომ მკითხველმა ნათლად დაინახოს, როგორიცის, როგორ წვდება ჩვენი ენის სტიქიას პოეტი. „გენაცვალეს“ ავტორი გამოცდილი მეზღვაურივით დანავარდობს ქართული ენის ლექსიკის ზღვაში და იქიდან არჩევს ისეთ სიტყვა-გამოთქმებს, რომლებიც ადეკვატურად გადმოგვცემს სათქმელს. სიტყვასთან ჰიდილში პოეტი გამარჯვებული გამოდის. ეს ნათლად ჩანს ამ ერთი ლექსის მაგალითზეც, სადაც, როგორც სარკეში, ისე ვხედავთ „გენაცვალესთან“. დაკავშირებულ ყოველ ნიუანსს.

სწორი ხარ — გეწამლება,
ჭაბუკი ხარ — შეგაყვარებს,
მოხუცი ხარ — მოგაშორებს
უბბლებე წელთა ჩანალარებს.
გაწყენინეს? —
დაგავიწყებს ყველა ფლიდს და
ენამწარეს.
ლარიბი ხარ — გაგამდიდრებს,
ასეთია გენაცვალე.

(გვ. 158).

მგრძნობიარე სიტყვა ქართველ კაცს აკვნიდანვე მოჰყვება, ის მიწაში ჩაითესა. ამ სიტყვით შეუძლვება მასპინძელი სტუმარს ოჯახში და ამ სიტყვითვე უმასპინძლდება, ეს სიტყვა დედის ძუ-

ძუსავით ტკბილია, უფრო სწო-
რად, ამ სიტყვასავით ტკბილია
ჩვენი წყალი და პაერი, ჩვენი პუ-
რი და ღვინო. ჩვენი აზრით, ამ
სიტყვის ქებათა-ქების კულმინა-
ციურ წერტილს აღწევს პოეტი,
როცა წერს:

„გენაცვალეს“ მღერის ქარი,
ემატება ხილს შაქარი,
სიტყვა ძველი, თან ახალი,
რბილი არის, თან მაგრა.

გენაცვალე ისეთი სიტყვაა,
რომელიც არც ერთ ენას არ მოე-
პოვება მსოფლიოში, გარდა ქარ-
თულისა. იგი უთარგმნელად, ამ
ფორმით შედის სხვა ენებში და
ესეც „გენაცვალეს“ პოპულარო-
ბას უწყობს ხელს.

პოეტი გრძნობს, რომ სიტყვას-
თან ჭიდილი იოლი როდია, ამი-
ტომაც ლექსში „ხვეწნა“ ასეთ
სტრიქონებს ვხვდებით:

კალამო, თუ გსურს იყო დღეგრძელი,
მშობლიურ ფერში რომ ჩაეწები,
მშობელი სიტყვის წერა შეძელი,
ნუ წაქევევი,
შენ გახვეწები!

(გვ. 167).

ფრ. ხალვაშის პოეზია იმავე
მოტივებს უმღერის, რასაც საერ-
თოდ ქართული საბჭოთა პოეზია.
მაგრამ ეს პატარა შენაკადი დიდ
მდინარესთან, რომელსაც ქართუ-
ლი საბჭოთა პოეზია ეწოდება,
შეიცავს ისეთ ნიუანსებსაც, რომ-

ლებიც მხოლოდ ხალვაშისეუ-
ლია და მისთვის სპეციფიკულია. ეს
არის მზიური აჭარის, მისი
მთებისა და მდინარეების, პლან-
ტაციებისა და გამრჩე ადამიანე-
ბისადმი მიძღვნილი ლექსები.

აჭარის, თემატიკა ფრ. ხალვა-
შის შემოქმედებაში ცალკე
კვლევის საკითხია. რა თქმა უნ-
და, მისი პოეზია აჭარით სუნთ-
ქვს, უმღერის მის გმირ ადამია-
ნებს, ახალი ცხოვრებით აღფრ-
თოვანებულთ. ეს ჩვენთვის სავ-
სებით ნათელი და გასაგებია.
ფრ. ხალვაში დაიბადა, გაიზარდა
და დავაუკაცად სწორედ აჭარაში,
აქ დაირწა მისი აკვანი. კარგად
წერს პოეტი: „მე ფეხშიშველი
თუ ქალამნიანი, კარგად ვახსოვარ
აქაურ ბილიკებს, აღმართ-დალ-
მართს, ბარსა თუ ზეგანს, ტყესა
თუ ღრეს“. და კიდევ ერთ პა-
ტარა ციტატას დავესესხებით პო-
ეტს: „ჩემი სიმღერის პატარა ნა-
კალულს მართლაც ერთგვარი
ცხოველმყოფელობა, სიცოცხ-
ლის სწრაფვა და სიწრფელე თუ
ახლავს, ეს იმ ნანგრევებიდან,
ხევებიდან, მთებიდან, იმ პირვე-
ლი ფიქრებიდან, იმ პირველი სუ-
ლის ძახილიდან მიიღო“.

სარეცენზიო წიგნში აჭარულ
თემატიკას დიდი აღგილა უჭი-
რავს და ეს სავსებით ბუნებრი-

ვია. ავილოთ თუნდაც „ემრულა“. ამ ლექსის ასეთი ეპიგრაფი ახლაც — „ემრულა აჭარა-იმერხევში სილამაზით, ვაჟკაციაბით, უსამართლობასთან შეურიგებლობით სახელგანთქმული იყო. ამ უბრალო სოფლელი ბიჭის სახელის ხსენება მთავრობის მოხელეებსა და აღა-ბეგებს შიშის ზარს სცემდა. დაიჭირეს ღალატით 1883 წელს და ციხეში მოკლეს“. ემრულა აჭარაში აღამიანის საკუთარი სახელია. იგი ნაწარმოებია სიტყვისაგან ემრი, რომელიც არაბულად, ნ. მარის ახსნით, განკარგულებას, პრძნებას ნიშნავს, ლექსიც კი არსებობს: „საუთ ბატონმა მომწერა, შენი ვარ ღმერთის ემრითა“, ან კიდევ — „მოწყალე ღმერთის ემრია, ხან წვიმაა, ხან დარია“ (იხ. შ. ნიუარძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971, გვ. 189).

აუღელვებლად შეუძლებელია წაკითხოთ ფრ. ხალვაშის „ემრულას“ დასკვნითი სტრიქონები:

ახლა ახალ აჭარაში
ჩემი ნატერის დღე თუ არის,
ჩამომძახეთ, მომიგონეთ,
გამახარეთ ემრულაიც.

(გვ. 172).

უაღრესად ემოციურია ლექსი „სალამ ალეიქუმ“, რომელსაც

პოეტი ასეთ სიტყვებს ურთავს: „აჭარის ზოგ სოფელში ასე ესალონის მებიან“. პოეტმა შვევნივრად იცის ამ ორი სიტყვის წარმომავლობაც და ეტიმოლოგიაც. ეს სიტყვები არაბულია, ნასესხებია, რომელსაც თან მოუტანია ხანდარი, ვაი და ვაება. შესანიშნავად ამბობს პოეტი:

დღეს კი რა ღმერთი გაგიშურა;
რაღა გჯებს დასამალავი —
ქართული ენის პატრონმა
სხვისგან ისესხო სალამი?

(გვ. 173).

ეს საკითხი, ფრ. ხალვაშის პოეზიაში პირველად დასმული და მართებულად გადაჭრილი, მთელი სივრძე სიგანით დააყენა ჩვენმა პედაგოგიურმა საზოგადოებამ. გაზეთ „სახალხო განათლების“ ფურცლებზე დისკუსიაც კი გაიშალა ამ საკითხზე — რატომ ვხმარობთ გამოთქმას „სალამი პატივცემულო მასწავლებელო“. მაშინ, როცა გვაქვს ქართული გამარჯობა. ამ საკითხზე აი რას წერს აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი: „ოქვენს შეკითხვაზე მისალმების ტერმინის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ მწერალ ალ. ბეგაშვილის წინადაღება გარკვეულ შემთხვევებში მიენიჭოს უპირატესობა სიტყვას „გამარჯობა“ (და არა სიტყვას „სალამი“).

ნება პოეტის ერთ-ერთი აღრინ-
დელი ლექსით — „ჭოროხის ზევალი
შიაღი“.

მოდის და ამბობს ჭოროხი.
როგორ გაჩნდა და იწვალა.
მოაქვს შლამი და გოროხი, —
ესეც ხომ ჩვენი მიწა?!

(გვ. 278).

ამ სტრიქონებმა შეუძლებელია
ასოციაციით არ მოგაგონოთ ცნო-
ბილი კრიტიკოსის იპ. ვართაგა-
ვას სიტყვები იმის შესახებ, რომ
აჭარაში თურქეთის ბატონობის
შედეგად მოისპოვა, გავერანდა
ძველი ქართული კულტურისა და
ყოფაცხოვრების მაჩვენებელი
ნაშთები, ჯვარი ვაზისა შეცვალა
ნახევარმთვარებ, გაპქრა ქრისტი-
ანობის ზიარებაში ხმარებული
ღვინო ზედაში, მოისპოვა ღვინის
კულტურა, ვენახები, ზვრები, და-
ცარიელდა ვეებერთელა ჭურები,
შეწყდა უძველესი საქართველოს
ლხინი, აღარ ისმოდა მრავალუ-
მიერის გუგუნი, ქართველ ვაჟკა-
ცთა ხელში აღარ ცელქობდნენ
ქართული ყანწები, აღარ რაკრა-
კებდნენ ჭინჭილები და დარღიმა-
ნდულად არ გასძახოდნენ: „ამავ-
სებ ღვინით? აგავსებ ლხინით,
შესვი! გაამოს!“ (იხ. „მამულო
საყვარელო“, ბათუმი, 1971, გვ.
373-374).

სავსებით გასაზიარებელია რო-
გორც ისტორიულად, ისე გრამა-
ტიკულად. ისტორიულად იმი-
ტომ. რომ ქართველი ხალხი ისეთ
პირობებში ცხოვრობდა, რომ
მტერზე გამარჯვება, მტრის დაქ-
ლევა ქართველის უპირველესი
სურვილი და საქმე იყო მუდამ;
გრამატიკულად იმიტომ, რომ სი-
ტყვის შიგნით „ვე“ იქცა „ო“-დ
(გამარჯვება — გამარჯობა). სწო-
რედ მისალმების გამოსახატავად
და ამ გზით გამოიჭედა ახალი სა-
ტყვა. ბევრ ენაზე მიმიწვდება ხე-
ლი. არ მეგულება მსოფლიოში
სხვა ენა, რომელშიც მისასალმე-
ბელი ტერმინი შეიცავდეს ცნებას
„მტერზე გამარჯვება“ (იხ. გაზ.
„სახალხო განათლება“, 19. 3. 1971,
გვ. 3).

პატრიოტიზმის დიადი გრძნობა
გამოსჭვივის პოეტის სტრიქონე-
ბში.

ცხოვრებამ ქვეყნად ბევრი მატარა,
შობლიურ სიგრცეს ბევრჯერ

გავფილდი.

მე ერთ პეშვ შენსა წყალსა ანკარას
ოკეანეშიც კი არ გავცლიდი.

(გვ. 184).

ჩვენ თანდათან ვუახლოვდებით
სარეცენზიონ წიგნის ყველაზე
ძლიერ განყოფილებას — „ფიქ-
რები ჭოროხთან“, რომელიც იხს-

აჭარისთვისაც ამობრწყინდა „მზე დიდებული“. ჯერ აჭარა გათავისუფლდა ბარბაროსი დამპყრობლებისაგან, შემდეგ კი წითელი დროშაც აფრიკალდა ამ საოცნებო მხარეში, განახლდა, აღორძინდა და იყვავდა. სწორედ ამ განახლებული აჭარის მთელი ხმით მომღერალია ფრ. ხალვაში, რომელმაც მშვენივრად იცის თავისი კუთხის წარსული, აწმყო და მომავალი. პოეტი ერთი წუთითაც არ ივიწყებს აჭარის შავბზელ წარსულს, მან იცის, რომ

დამპყრობლებმა დაწვეს ყველა სახლი, ტაძარი, სამას წელიწადს ჩემს მამულში ენთო ხანდარი.

ლექსში მშვენიერი მხატვრული ფერებით გადმოცემულია ის, თუ როგორ გაუმასპინძლდა ბარბაროსი თურქი იმ აჭარელს, რომელიც ჩონგურჩე, ამ შემთხვევაში ქართველობისა და საქართველოს სიმბოლოზე, უკრავდა; ჩონგური ქვაზე დაანარცხეს, თვითონ კი მოკლეს. მან ასეთი ანდერძი დაუტოვა შთამომავლობას:

მთებო, როს აღდგეს ქართველობა
დამწვარ მდელოზე,
ოქვთი, რომ ვმღეროდი დატანჯული
საქართველოზე“.
· (გვ. 280)

აუდელვებლად შეუძლებელია წაიკითხოთ განყოფილება — „ჩვენებურები თურქეთის გზებზე“. ამ ციკლის ლექსებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა: „მით-

ხარ როგორაა მემლექეთი“, „და მამი- დი ბაზარი სტამბოლში“, „მამი- და“, „ხეთურ ნანგრევებთან“, „ჩვენებურია?“, „სულხან-საბას ხელნაწერი“ და სხვ.

მოგზაური პოეტის უშუალო შთაბეჭდილებებია გაღმოცემული სარეცენზიო წიგნის ცალკე განყოფილებაში — „შორეული სიახლოევ“.

იდეური მიზანდასახულობით, პოეტური განცდების უშუალობით, ინტონაციით გამოირჩევიან ფრ. ხალვაშის პოემები, რომელ- ბიც ამ წიგნშია შესული.

როგორც ცნობილია, ლექსის სათავე პოეტის სულიერი ცხოვ- რებაა, მისი განცდებია. ფრ. ხალ- ვაში იმაზე წერს, რასაც განიც- დის, რაც კარგად იცის. მისთვის უცხოა სტანდარტული, ტრაფა- რეტული ლექსები, რომლებიც პოეზიის ბაღში სხვა არაფერია თუ არა სარეველა ბალახი, რო- გორც ამას სამართლიანად წერდა ერთი კრიტიკოსი.

ფრ. ხალვაში ლირიკოსი პოე- ტია. იგი სათქმელს ყოველთვის შეკუმშულად ამბობს და მკით- ხველს შინაგანად ძლიერ შთამბე- ჭდავ ემოციებს უქმნის.

ფრ. ხალვაში განვლო ექსპე- რიმენტების, ძიებისა და ცდების პერიოდი. მას უკვე აქვს ე. წ. შინაგანი გემოვნება. იგი სახეებზე. მოულოდნელ შედარებებზე შეყვარებული პოეტია, მაგრამ ყოველივე ეს არასოდეს გაუხდია

თვითმიზნად. მასთან იშვიათად
თუ იპოვით ცუდ რითმებს ან
ურითმო სტრიქონებს. აზრის სი-
ლარიბე, გრძნობის პრიმიტიულო-
ბა, ტრაფარეტი და შაბლონი
უცხოა წიგნში მოთავსებული ლე-
ქსებისათვის.

ფრ. ხალვაშვილი მშვენივრად
იცის ქართული ენა, გრძნობს
მას. ყოველ სიტყვას სინჯავს, წო-
ნის, ელოლიავება, მაგრამ არ ტა-
ნჯავს. სიტყვასთან ჭიდილში გა-
მარჯვებული გამოდის. ამით აიხს-
ნება მისი ენის სისადავე და სასა-
უბრო მეტყველებისათვის დამა-
ხასიათებელი სიმსუბუქე.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისა—
გან, რომ ფრ. ხალვაშვის ამ კონკრეტული
გვერდიან წიგნში არ გვხვდებო-
დეს მხატვრული თვალსაზრისით
შედარებით სუსტი ლექსები, ან-
და ცნობილი ინტონაციები თუ
პასაუები. მაგრამ ისინი იმდენად
მცირეა, რომ მათზე არც კი ღირს
ცალკე მსჯელობა.

ფრ. ხალვაშვილი დიდი პასუხის-
მგებლობის მქონე პოეტი და მო-
ქალაქეა, პირდაპირ ვიტყოდით,
ბუნებით პოეტია. მასში სინთე-
ზურადაა შერწყმული აზრიც და
გრძნობაც. ეს წიგნიც ხომ ამას
მოწმობს.

ვარ 40 ააპ.

**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

„ЧОРОХИ“

**ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ**

ИНДЕКС 78118